საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№04 (380)
1 - 7 თებერვალი, 2017
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## «ლიბერალური უტოპია წავიდა, პრაგმატიზმის დროა» 6

## როგორც აფთრები, ისე ელოდებიან «მეუფე ყანდურები» სიკვდილს პატრიარქისა 9



«დაგვიძახეთ, ქუდზე კაცი გამოვალთ და გაგვიძეხით, რათა ყანდურთა ტყვეობიდან დავიხსნათ ჩვენი დედაეკლესია, ანუ სრულიად საქართველო!..»

## 10 საქართველოს კონსტიტუცია თუ «შთაბეჭდილებების წიგნი»?

## ვინ არიან სტრასბურგის სასამართლოს მიერ უარყოფილი ქართველი მოსამართლეები 6

«დიახ, მე შევუშალე ხელი ევროსასამართლოში საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეების დანიშვნას» 2

## «თუ რუსეთთან ურთიერთობა არ აღვადგინეთ, თუ აფხაზებსა და ოსებს არ დაველაპარაკეთ, ამ ქვეყანას სასიკეთო არაფერი უწერია» 7

## «ვინ ხართ, რა ჯიშის ხართ, რა გიყოთ და რას დაგამსგავსოთ მამაძაღლმა ამერიკამ და მოსაპობმა ევროკავშირმა, არ დაფიქრებულხართ?» 13



## «ივანიშვილს წასვლის საშუალება აღარ აქვს, გამოსასვლელ კარს ველარ პოულობს» 8

## სანდრა რულოვსს დეპუტატის მანდატზე უარი არ უთქვამს, იგი ოფიციალურად ინარჩუნებს უფლებამოსილებას 2



## ჰილარი კლინტონის საბედისწერო შეცდომები 5

## ლე პენი საფრანგეთში ფრანგული ვალუტის შექმნას უჭერს მხარს 3



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„26 დეკემბერს დააკავეს ნათელა გოდერიძე და ზეინაბ კოსტავა, მათი დაკავება პოლიტიკური მოტივითაა განპირობებული. ჯერ ბრალი დამტკიცებული არ აქვთ და უკვე წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ბრალდებაში წერია: „ჩაიდინა სავარაუდო დარღვევა, სავარაუდოდ, თაღლითობა“. თაღლითობად კი ნოტარიუსის შეცდომაში შეყვანა ჩაუთვალეს. ადვოკატებმა საჯარო რეესტრიდან გამოტანილი დოკუმენტები მიაწოდეს ნოტარიუსს“.**



# სუბარი გამოფხიზლდა

**ევროპის სახალხო პარტიის (EPP) პრეზიდენტი ჯოზეფ დოული აქტიურ კონსულტაციებს გადის საქართველოს მთავრობასთან, რათა პრემიერმინისტრის მეშვეობით უზენაეს სასამართლოზე ზემოქმედება მოახდინოს და გათავისუფლებულ იქნან ენმის წევრი, ე.წ. პოლიტპატიმრებად მონათლული პოლიტიკოსები.**

დოულმა კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს პრემიერმინისტრს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს პოლიტპატიმრები.

დოულის საპასუხოდ მთავრობის ადმინისტრაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ **საქართველოს მთავრობა არ აპირებს, ზეგავლენა მოახდინოს უზენაესი სასამართლოს განაჩენზე და მით უფრო ვერ ჩაერევა სასამართლოს მიერ პასუხისგებაში მიცემული პირების სასჯელისგან გათავისუფლების პროცესში მხოლოდ მათი პოლიტიკური კუთვნილების გამო.**

ოპოზიციისგან განსხვავებით, უმრავლესობა ეთანხმება მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებას იმის თაობაზე, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არ არიან.

საქართველოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის — სოზარ სუბარის განცხადებით, იპპ-ის ლიდერებისა და ცალკეული პირების მსგავს განცხადებებს ფასი არ აქვს. **„რაც შეეხება ევროპის სახალხო პარტიის ლიდერებს და ცალკეულ წევრებს, კარგი იქნებოდა, ისინი მაშინ ჩამოსულიყვნენ საქართველოში და მაშინ გაეკეთებინათ განცხადებები, როდესაც პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა ადამიანის დაპატიმრება, ქუჩაში დახვრეტა, ქონების წართმევა. დღეს ამაზე ლაპარაკი არის, უბრალოდ, კოჭის გაგორებაა კონკრეტული ადამიანებისათვის, მეტი არაფერი“,** — განაცხადა სუბარმა.

დოულის განცხადებაზე კომენტარი გააკეთა, ასევე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე **გია ვოლსკიმ:** „ვფიქრობ, საკმაოდ არაადეკვატურია მთავრობის თავმჯდომარისგან მოთხოვნა გარკვეული პირების ციხიდან განთავისუფლების თაობაზე. გადაწყვეტილება აქვს მიღებული სასამართლოს და ეს გადაწყვეტილება საფუძვლიანია“.

# სანდრა რულოვსს დეპუტატის მანდატზე უარი არ უთქვამს, იგი ოფიციალურად ინარჩუნებს უფლებამოსილებას



**მეცხრე მოწვევის პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით გასულ სანდრა-ელისაბედ რულოვსს პარლამენტიდან ხელფასი და სახელფასო დანამატი დაერიცხა, სულ 1675 ლარი, მიუხედავად მისა, რომ ყოფილმა პირველმა ლედიმ დეპუტატის მანდატზე უარი არჩევნების დასრულებიდან რამდენიმე დღეში თქვა და მის ნაცვლად პარლამენტში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი ღვინიაშვილი შევიდა, რომელსაც, რულოვსის მსგავსად, ხელფასიც დაერიცხა და სახელფასო დანამატიც.**

რამდენად ჯდება კანონის ნორმებსა და ჩარჩოებში ის, რომ დეპუტატმა უარი თქვას მანდატზე და ხელფასს მაინც იღებდეს?!

ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიომ“ რამდენიმე კომენტარი ჩაწერა.

**დიმიტრი ლორთქიფანიძე, ყოფილი პარლამენტარი:**

— თუ პირზე, რომელიც არჩეულ იქნა დეპუტატად და შემდეგ უარი თქვა დეპუტატის მანდატზე, გაცემულია ხელფასი, ეს იმას ნიშნავს, რომ რეალურად მას არ დაუწერია განცხადება და მისი უფლებამოსილება შეწყვეტილი არ არის. ჩვენ უახლეს ისტორიაში გვახსოვს ასეთი შემთხვევა, როცა რამდენიმე დეპუტატმა უარი თქვა საპარლამენტო მანდატზე და, უარის მიუხედავად, ინარჩუნებდნენ, როგორც ხელფასს, ისე სახელფასო დანამატს და სხვა კვოტებსაც. რულოვსის შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, ასე მოხდა და ცხადია, ეს შემთხვევითი არ არის. როგორც ჩანს, შეიქმნა განცდა, თითქოს მან უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე, რეალურად კი ეს ჩვეულებრივი აფერა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე ხელფასი არ უნდა გაცემულიყო...

**ია მეტრეველი, პოლიციელების მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის დედა:**

— ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია, რატომ და რა პრინციპით უნდა გაიცეს ხელფასი ან სახელფასო დანამატი დეპუტატზე, რომელმაც გააუქმა მანდატი და ოფიციალურად აღარ არის პარლამენტის წევრი. რა თქმა უნდა, ეს არის მიუღებელი და ასეთი რამ ნორმალურ ქვეყანაში არ უნდა ხდებოდეს. ძალიან მაინტერესებს, რას იტყვიან ამაზე თვით ქალბატონი რულოვსი და ის პირები, რომლებსაც განმარტების გაკეთება ევალებათ. ჩემი აზრით, ეს ვერანაირი კანონის ჩარჩოებში ვერ ჯდება, არანაირი სამართლებრივი ახსნა და გამართლება ამას არ აქვს.



# ზაზა ხატიაშვილი: დიახ, მე შევუშალე ხელი ევროსასამართლოში საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეების დანიშვნას, რადგან მურუსიძეები აქაც გვეყოფა

**„ერთად შეკრებილი ამდენი ადვოკატი რევოლუციასაც მოახდენს“, — ასე მიმართა ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა ზაზა ხატიაშვილმა დავით ალმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში 28 იანვარს შეკრებილ ასობით ადვოკატს, რომლებიც შეშფოთებას ვერ მალავდნენ ბოლო პერიოდში ადვოკატების დაკავების შემთხვევათა სიმრავლის გამო.**

**ზაზა ხატიაშვილი:**

— ბოლო პერიოდში ადვოკატების დევნა გახშირდა. 26 დეკემბერს დააკავეს ორი ადვოკატი. მათი დაკავება პოლიტიკური მოტივითაა განპირობებული. ჯერ ბრალი დამტკიცებული არ აქვთ და უკვე წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს. ბრალდებაში წერია — „ჩაიდინა სავარაუდო დარღვევა, სავარაუდოდ, თაღლითობა“. თაღლითობად კი ნოტარიუსის შეცდომაში შეყვანა ჩაუთვალეს. ადვოკატებმა საჯარო რეესტრიდან გამოტანილი დოკუმენტები მიაწოდეს ნოტარიუსს.

**— თქვენ „ნაცმოძრაობის“ ადვოკატ ონიანსაც იცავდით...**

— **ონიანი** პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდა. მასეუბნებოდნენ, კანონიერი დაკავების უკანონო ორგანიზატორი ხარო და ეს ოფიციალურ დოკუმენტებში ეწერა. **გეკითხებით: კანონიერ დაკავებას შეიძლება უკანონო ორგანიზატორი ჰყავდეს?** მთავრობები სამართლის პრინციპებს ღალატობენ და მეც სწორედ ამის წინააღმდეგ ვიბრძვი. თუ მე მანქანა მოვიპარე, კოსმოსური რაკეტის მოპარვა არ უნდა დამაბრალო, მით უმეტეს, როცა ადვოკატი ვარ და კანონებში არავისზე ნაკლებად არ ვერკვევი, მეტად თუ არა.

ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი როცა გავხდი, საქართველოში 111 ადვოკატი იყო დაპატიმრებული. ბელარუსში წერილი გავგზავნე, რათა გამერკვია, რამდენი პატიმარი ადვოკატი ჰყავდათ. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 8 ადვოკატი იჯდა ციხეში. სწორედ მაშინ დავიწყე ამ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა. სანამ ისინი ციხიდან არ გამოვიყვანე, ვერ მოვისვენე.

ორი ადვოკატის დაკავების გამო 7 თებერვალს საფრანგეთის დედაქალაქში, პარიზში, ფრანგ ადვოკატებთან ერთად დიდ საპროტესტო აქციას ვმართავ. საფრანგეთიდან მივაწვდი მსოფლიოს ინფორმაციას, რა ხდება საქართველოში. ამ ქვეყანაში ადვოკატთა ინსტიტუტის დისკრედიტაცია და დევნა ხდება.

**— ასეთი საქციელისთვის დაგდოთ ბრალი იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა. მან თქვა, ზაზა ხატიაშვილი ევროსასამართლოში ჩვენ მიერ წარდგენილი მოსამართლეების ფოტოებით დადიოდა და ყველას ეუბნებოდა, მხარი არ დაეჭირათო...**

— ცხოვრებაში ერთხელ თქვა **თეა წულუკიანმა** სიმართლე. **დიახ, მე შევუშალე ხელი ევროსასამართლოში საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეების დანიშვნას, რადგან მურუსიძეები აქაც გვეყოფა,** ევროსასამართლოში რომ არ გავგზავნოთ. **რიგითი მურუსიძის ევროპაში გაშვება ჩვენი ქვეყნის სირცხვილია. ევა გოცირიძე, რომლის იქ გაშვებაც უნდოდათ, არ შეესაბამება იმ მაღალ მორალურ სტანდარტებს, რომლებსაც მოსამართლე უნდა აკმაყოფილებდეს.**

9 თვის შემდეგ ამ თანამდებობას დავტოვებ, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ადვოკატი დაჩაგრული არ იყოს.

**ადვოკატთა კორპუსის შეხვედრას უხუცესი ადვოკატი ქეთევან ჭაბუკიანიც ესწრებოდა, მას 50-წლიანი საადვოკატო გამოცდილება აქვს.**

— აქ მოვედი, რათა მომესმინა, რისთვის არიან დაკავებულნი ჩემი კოლეგები, — **თქვა მან,** — წაყენებულ ბრალს გავეცანი და მინდა გითხრათ, რომ აღშფოთებული ვარ, გული მტკივა, როცა დღეს მსგავს ინფორმაციას ვისმენ.

50 წელიწადია, ამ საქმეს ვემსახურები, რა არ მინახავს, მაგრამ ახლა დრო შეიცვალა, ინსტიტუტებს დიდ პატივს სცემენ ყველგან, ჩვენთან კი არაფერი იცვლება. დღეს დაპატიმრებული არიან ჩვენი კოლეგა ქალბატონები, რომლებიც უკვე პენსიონრები არიან. ასე არ შეიძლება. დავდგები იქ, სადაც სიმართლეა.

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

# რას გვერჩის «გირჩი»?

**„ევრონიუსის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კოლუმბიის მთავრობამ ადგილობრივ ფერმერებს წინადადებით მიმართა, რომ მარიხუანის მოყვანაზე უარის თქმის სანაცვლოდ ყოველთვიურად 350 დოლარს გადაუხდის.**

**ცნობისთვის:** ნარკოტიკების წარმოება კოლუმბიაში ფართოდაა გავრცელებული. 1993—1999 წლებში ეს ქვეყანა კოკაინის ძირითად მწარმოებლად ჩამოყალიბდა მსოფლიო მასშტაბით. 2006 წლის მონაცემებით, ამ კულტურის წარმოებით დაკავებული იყო 67 000 საოჯახო მეურნეობა.

1970 წლების შუა პერიოდში, 16 თვის განმავლობაში, ერთ-ერთმა ბანდამ, სახელწოდებით „შავი თინუსი“, რომელიც მაიამიში იყო დაბანაკებული, აშშ-ში 500 ტონაზე მეტი მარიხუანა შეიტანა.

ნარკოტიკები კოლუმბიაში 1914 წლიდანაა აკრძალული, დაუშვებელია ოპიატებისა და კოკაინის წარმოება და მოხმარება. 1937 წელს კანონში შეიტანეს ცვლილებები მარიხუა-



ნის, თამბაქოსა და ალკოჰოლის, 1964 და 1968 წლებში კი სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსა და სტიმულატორებთან, ანტიდეპრესანტებთან, ჰალუციოგენებთან და ა.შ. დაკავშირებით.

ნაცების ძირზე აღმოცენებული ჩვენი გირჩელები კი ამ კულტურის მოყვანა-გავრცელების მოთხოვნით სულელურ აქციებს მართავენ. გაუგებარია: თავად აცხადებენ, თესლები ვართო ნაძვის, ანუ გირჩი. მაშ, მიხედონ „მწვანე დედოფალს“, მარიხუანის თავსატეხი კი კოლუმბიას დაუტოვონ, ქვეყანას, სადაც ამ კულტურის წარმოება ტრადიციულად მოსდგამთ.

იქ ამოძირკვის პოლიტიკას განახორციელებენ, აქ — დარგვასა და გავრცელებას გვახვევენ თავს. ხელისუფლება კი ისე უყურებს, თითქოს ბავშვები ანცობენ.

**არმაზ სანებლიძე**

**საქართველო „ბლუმბერგის“ რუკაზე მაღალი რისკების მქონე ქვეყნებს შორის მოხვდა (11,6 ქულით). ექსპერტებმა საქართველოში უმუშევრობის რისკფაქტორი 11,4%-ით შეაფასეს, ინფლაციისა კი — 4,4%-ით.**

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლე პენი საფრანგეთში ფრანგული ვალუტის შექმნას უჭერს მხარს

**„ეროვნული ფრონტის“ ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი მარინ ლე პენი საფრანგეთის ევროზონიდან გამოსვლას და საკუთარი ვალუტის შექმნას მხარს უჭერს. აღნიშნულის შესახებ მარინ ლე პენმა რადიოსადგურ Europe1-ის ეთერში განაცხადა.**



**„მე მხარს ვუჭერ ეკონომიკურ პატრიოტიზმს, თუმცა საამისოდ საჭიროა ევროკავშირის რიგი წესების ეჭვქვეშ დაყენება“,** — განაცხადა მარინ ლე პენმა. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში ის დაუყოვნებლივ დაიწყებს „ოთხი სუვერენიტეტის პროგრამის“ განხორციელებას და ევროკავშირთან მოლაპარაკებებს.

**„პირველ რიგში, ეს ტერიტორიული სუვერენიტეტია, რათა ქვეყანა დავიცვათ მიგრანტების შემოდინებისგან; ეს შენგენის ზონის შესახებ შეთანხმების გადახედვაა, მაგრამ ეს საკითხი ასევე ეხება ეკონომიკურ-საბიუჯეტო და სავალუტო სუვერენიტეტს და, რა თქმა უნდა, საკანონმდებლო სუვერენიტეტსაც“,** — აღნიშნა „ეროვნული ფრონტის“ ლიდერმა.

მისი აზრით, ევროს სისტემა კრახით სრულდება, რადგან ევროს შემოღებამ ევროკავშირის ქვეყნებში ფასების ზრდა გამოიწვია, სავალუტო სუვერენიტეტი კი საკუთარი ეროვნული ვალუტის შექმნას ნიშნავს.

# სრულიად ოსმალეთის პრეზიდენტი



**თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი ცდილობს, გახდეს თურქეთის აბსოლუტური და ერთპიროვნული მმართველი. ის უკვე, ფაქტობრივად, საფინიშო ხაზთან იმყოფება. ამის მისაღწევად ისღა დარჩენია, საპარლამენტო რესპუბლიკა საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყნად აქციოს.**

იმის მიუხედავად, რომ მისი ასეთი ქმედებები მუდმივად იწვევს წინააღმდეგობას როგორც საზოგადოებაში, ისე კანონმდებლებში, დიდი შანსია, მან საწადელს მალე მიაღწიოს. საინფორმაციო პორტალი Lenta.ru შეეცადა, ანალიზი გაეკეთებინა იმ მოვლენებისთვის, რომლებიც ბოლო პერიოდში ხდებოდა თურქეთში და ამგვარად ლოგიკურ დასკვნამდე მიეყვანა მკითხველი.

„კონსტიტუციაში შესწორების შეტანა გამოიწვევს რეჟიმის აბსოლუტურ შეცვლას. თურქეთი, სადაც ფაქტობრივად დამყარდება ავტორიტარული მმართველობა, გახდება სასულთნო. ასეთი რამ არ ხდება არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში. ძალაუფლების მქონე ყველა ორგანოს უშუალოდ პრეზიდენტი რომ განაგებდეს და სრულად აკონტროლებდეს, ბალანსი სრულიად დაირღვევა. ბევრი თურქი შეშფოთებულია, მათ ეშინიათ, რომ ახალი კონსტიტუცია ერდორანს უფლებას მისცემს, მართოს ქვეყანა საკუთარი სურვილისამებრ, დანიშნოს მნიშვნელოვან პოსტებზე თავისი ნათესავები, მაგალითად, პრემიერმინისტრად და მინისტრებად“, — განაცხადა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა უკზელ სეზგინმა The Washington Post-თან ინტერვიუში.

ცოტა ხნის წინათ თურქეთის პარლამენტმა მიიღო საკონსტიტუციო რეფორმა, რომელიც თურქეთის პრეზიდენტს სრულ ძალაუფლებას ანიჭებს; **ერდოღანი ამჟამად ერთპიროვნულად მართავს თურქეთს დე ფაქტო, იმის მიუხედავად, რომ პრემიერმინისტრი დე იურე ფლობს დიდ ძალაუფლებას. თუ ერდოღანის მიერ ინიცირებული ცვლილებები კონსტიტუციაში ხორცს შეისხამს, ეს წინააღმდეგობაც არ იარსებებს. ახლა ჯერი თურქეთის მოქალაქეებზეა: აპრილში რეფერენდუმზე მათ მოუწევთ, გადაწყვიტონ: დატოვონ ერდოღანი იმ მდგომარეობაში, როგორშიც დღეს იმყოფება, თუ მიანიჭონ განუსაზღვრელი ძალაუფლება.**



# პრემიერმინისტრმა დავით ბაქრაძეს პერსონალური დაცვა დაუნიშნა

**საინფორმაციო სააგენტო ICK-ს ცნობით, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, პარლამენტის ექს-სპიკერს, ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს დავით ბაქრაძეს პერსონალური დაცვა დაენიშნა. 2017 წლის 1 დეკემბრამდე მის უსაფრთხოებას სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური დაიცავს.**

აღნიშნული განკარგულება, რომელსაც ხელს პრემიერმინისტრი გიორგი კვირიკაშვილი აწერს, მთავრობამ 2016 წლის 30 დეკემბერს გამოსცა. ოფიციალური ინფორმაციით, პარლამენტის წევრისთვის პერსონალური დაცვის დანიშვნას საფუძვლად დაედო მონაცემები, რომელთა თანახმადაც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ვინ და რატომ ემუქრება დავით ბაქრაძეს, ამის შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებენ.




# «ბლუმბერგი»: საქართველოს ეკონომიკა მაღალი რისკის ზონაშია. ლარი შეიძლება კვლავ გაუფასურდეს

**საფინანსო ბაზრების მონაწილეებისთვის ინფორმაციის ძირითადმა მიმწოდებელმა, ამერიკულმა სააგენტო „ბლუმბერგმა“ გლობალური რისკების რუკა გამოაქვეყნა. გამოცემამ შეაფასა საფრთხეები, რომელთა წინაშეც მსოფლიოს ქვეყნები მიმდინარე წელს შეიძლება აღმოჩნდნენ.**

„ბლუმბერგის“ რისკების რუკა შედგენილია 29 ინდიკატორის მიხედვით, მათ შორისაა ინვესტორთა წინაშე არსებული ფინანსურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები.

რუკაზე „ბლუმბერგი“ გამოყოფს ოთხ ძირითად კომპონენტს: **რეზერვებს, უმუშევრობას, ინფლაციასა და სავალუტო რყევებს კონკრეტულ ქვეყანაში.** საერთო რისკის მაჩვენებელი 0-დან 100-მდე ქულით ფასდება. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მით ნაკლებია ქვეყანაში რისკის დონე.

საქართველო „ბლუმბერგის“ რუკაზე მაღალი რისკების მქონე ქვეყნებს შორის მოხვდა (11,6 ქულით). ექსპერტებმა საქართველოში უმუშევრობის რისკფაქტორი 11,4%-ით შეაფასეს, ინფლაციისა კი — 4,4%-ით.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, მაღალი რისკის ზონაში მოხვდა 16 ქვეყანა. საქართველოს (70-ე ადგილი ერგო 82 ქვეყანას შორის) გარდა, ეს ქვეყნებია: ეგვიპტე, მონღოლეთი, პარაგვაი, ტუნისი, კენია, ეკვადორი, განა, ნიგერია, ჰონდურასი, ტანზანია, ვენესუელა, იორდანია, დომინიკის რესპუბლიკა, პაკისტანი და შრი-ლანკა.

რაც შეეხება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს, რუსეთი საშუალო რისკების ქვეყნებს შორისაა, უკრაინა და თურქეთი კი — შედარებით მაღალი რისკების ქვეყნებს შორის.

ყველაზე დაბალი რისკების მქონე ქვეყნების პირველ ხუთეულშია ნორვეგია, შვეიცარია, შვედეთი, ჰონგ კონგი და გერმანია.

**„ბლუმბერგის“ ექსპერტთა მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკისთვის მთავარი რისკებია უმუშევრობა (შრომისუნარიანი მოსახლეობის 11,4%) და ინფლაცია (4,4%). რისკები, რომლებზეც წერენ „ბლუმბერგის“ ექსპერტები, მიუთითებს, რომ საქართველოს ეროვნული ვალუტა კვლავ შეიძლება გაუფასურდეს.**

# ისრაელის სპეცსამსახურის ექსუფროსი: ნატო წელს დაიშლება, ევროკავშირი ამერიკელებს აღარ სჭირდებათ

**ისრაელის სპეცსამსახურის — „ნატივის“ ყოფილი შეფი, საზოგადო მოღვაწე იაკობ კედმი სენსაციურ განცხადებას აკეთებს. მისი პროგნოზით, ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსი და ქართველი პოლიტიკოსების გულთამპყრობელი ნატო 2017 წლის ბოლომდე დაიშლება.**



„წელს შეიცვლება, როგორც ევროპა, ისე ნატო. იმ ფორმით, როგორსაც დღეს ჩვენ მას ვხედავთ, ის აღარ იარსებებს, თუმცა ორგანიზაცია დარჩება. როგორი იქნება ის, ძნელი სათქმელია, მაგრამ არ იქნება ისეთი, როგორიც დღესაა. **ნატო შეერთებული შტატებისთვის არანაირ ღირებულებას აღარ წარმოადგენს, ამერიკა რუსეთთან სერიოზული, პირდაპირი დიალოგისთვის ემზადება.** მოლაპარაკებაზე, რომელზეც საუბარი იქნება ყველა არსებულ უთანხმოებაზე აშშ-სა და რუსეთს შორის, ყველა არა, მაგრამ ნაწილი, რა თქმა უნდა, მხარეთა სასარგებლოდ გადაწყდება. ევროპის ლიდერების დღევანდელი განცხადებები მათი ისტერიული ფონითაა გამოწვეული. ისინი ცდილობენ, რამენაირად შეაფერხონ ეს პროცესი. რუსული ისტერიის ფონზე ისინი საკუთარი კაპიტალის გაზრდას ცდილობდნენ. ან რა სარგებელი უნდა მოეტანა ბალტიისპირეთს ევროპისთვის?

ტრამპმა ხელისუფლებაში მოსვლის პირველსავე დღეს გააუქმა წყნარი ოკეანის ხელშეკრულება, რომელიც აშშ-მა შექმნა, რათა გაეძლიერებინა თავისი გავლენა ჩინეთზე. დღეს ის ევროპის გვერდის ავლით, ევროპის საზიანოდ უფრო მჭიდრო ურთიერთობას ამყარებს დიდ ბრიტანეთთან.

**ევროკავშირი ამერიკელებს აღარ სჭირდებათ. ევროკავშირმა დაკარგა პოლიტიკური მომხიბვლელობა. ახალ ამერიკას სჭირდება ორმხრივი, პირდაპირი კავშირები, პირდაპირი მოლაპარაკებები რუსეთთან, ჩინეთთან... ტრამპის მიზანია, ყველა უთანხმოება გადაჭრას მოალაპარაკებების და არა კონფრონტაციის გზით“,** — განაცხადა კედემმა რუსულ ტელეკომპანია „რასია 1“-თთან გადაცემაში ჩართვისას.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ხელისუფლების არც ერთმა წარმომადგენელმა არ აუხსნა ბუკიკიოს ამ ცვილებების არსი და არ აუფრიალა ვენეციის კომისიის 2010 წლის დასკვნა, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ ახალ პირობებში პრეზიდენტი შეიძლება ხელისუფლების სხვა შტოებთან კონფლიქტში შევიდეს და ამის ალბათობას სწორედ ის ზრდის, რომ მას პირდაპირი წესით აირჩევენ.**

# კონსტიტუციის გაუპატიურება: 41-ე სერია

**დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს ყველა ხელისუფლება ცდილობდა კონსტიტუციის მორგებას საკუთარ ინტერესებზე. სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მყარად დამკვიდრდა ტერმინი „კონსტიტუციის გაუპატიურება“, ხოლო შესაბამისი პროცესი, სამართალდამცავების თქმის არ იყოს, განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით გამოირჩევა.**

საკონსტიტუციო კომისიამ ცვლილებების პროექტი ამა წლის 30 აპრილამდე უნდა მოამზადოს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ მისი მუშაობა სრულყოფილი ვერ იქნება. კომისიის წევრები ფიზიკურად ვერ მოახერხებენ შემოსული მრავალრიცხოვანი წინადადების განხილვას, კვალიფიციური დასკვნების მომზადებასა და არგუმენტირებული მოსაზრებების შეჯერებას. კომისიის ხელმძღვანელები, სავარაუდოდ, იძულებულნი შეიქნებიან, სწრაფად მოიშორონ თავიდან ალტერნატიული ვარიანტები და მხოლოდ ხელისუფლებისათვის სასურველს დაეყრდნონ. შესაბამისად, ადგილი ექნება ჩვეულებრივი პოლიტიკური ბრძოლის პროეცირებას კონსტიტუციონალისტების მუშაობაზე, ეს კი ზემოთ ნახსენები გაუპატიურების უტყუარი ნიშანია.

საქართველოს დღევანდელი კონსტიტუცია 1994 წლის ოქტომბერში ჩიკაგოს უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საკონფერენციო დარბაზში დაიწერა, სადაც ათი ქართველი იურისტი, ამერიკელებთან ერთად, ორი კომპიუტერის გამოყენებით, ერთდროულად ქართულ და ინგლისურ ტექსტზე მუშაობდა. **ლარი ლესიგი**, რომელიც იმხანად „აღმოსავლეთევროპული კონსტიტუციონალიზმის შესწავლის ცენტრის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ, იხსენებდა, რომ სტუმრები ხშირად ეკითხებოდნენ მასპინძლებს, რა უნდა გაეკეთებინათ, თუმცა მათ ყოველთვის პასუხობდნენ, რომ ტექსტი თვითონ ქართველებმა უნდა დაწერონ („იუნივერსიტი ოფ ჩიკაგო ქრონიკლ“ 07.12.95). მაშინ ჩვენ ისეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკა მივიღეთ, რომელიც ამერიკელებს პოსტსაბჭოთა რეალიებისთვის საუკეთესოდ მიაჩნდათ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ **სააკაშვილმა** „ჰიპერსაპრეზიდენტო მოდელი“ შექმნა; პრეზიდენტს ლამის ძველი ეგვიპტის ფარაონის უფლებები მიენიჭა. 2010-ში მან დაიწყო მზადება იმისთვის, რომ პრემიერმინისტრის სავარძელში გადამჯდარიყო და მკვეთრად გააფართოვა პრემიერის უფლებები, ხოლო პრეზიდენტი „საპატიო ნოტარიუსად“ აქცია. თუმცა მის მიერ შექმნილი მოდელი „კლასიკური საპარლამენტო“ არ არის და მორგებულია იმ პოლიტიკურ ბალანსზე, რომელიც დღეს აღარ არსებობს.

კონსტიტუციის კორექტირება „სტანდარტულ“ საპარლამენტო მოდელზე გადასასვლელად სრულიად ლოგიკურია, მაგრამ ეს პროცესი პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლასაც გულისხმობს, ის კი **ბიძინა ივანიშვილის** ოპონენტების მიერ წარმოჩენილია, როგორც პრეზიდენტის ინსტიტუტის დამორჩილების სურვილი და დემოკრატიის საწინააღმდეგო ნაბიჯი. ალბათ, ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ვენეციის კომისიის პრეზიდენტი **ჯანი ბუკიკიო**, რომელიც ახლახან თბილისში იმყოფებოდა, ამ თემაზე საუბრისას საკმაოდ ბუნდოვანი და ზოგადი კომენტარით შემოიფარგლა, რომელიც არასამთავრობო სექტორის ზოგიერთმა წარმომადგენელმა აღიქვა, როგორც ნეგატიური პოზიციის გამოხატვა. როგორც ჩანს, ხელისუფლების არც ერთმა წარმომადგენელმა არ აუხსნა ბუკიკიოს ამ ცვილებების არსი და არ აუფრიალა ვენეციის კომისიის 2010 წლის დასკვნა, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ ახალ პირობებში პრეზიდენტი შეიძლება ხელისუფლების სხვა შტოებთან კონფლიქტში შევიდეს და ამის ალბათობას სწორედ ის ზრდის, რომ მას პირდაპირი წესით აირჩევენ — „მთავრობა შეიძლება იყოს საპარლამენტო უმრავლესობის გამოხატულება, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს იმ უმრავლესობისგან, რომელმაც მხარი არჩევნების დროს პრეზიდენტს დაუჭირა, რადგან საპარლამენტო არჩევნები ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ხოლო საპრეზიდენტო — ყოველ ხუთ წელში ერთხელ“. იქვე იყო სხვა კრიტიკული შენიშვნები და ხელისუფლების წარმომადგენლებს ისინი არგუმენტებად უნდა გამოეყენებინათ, აგრეთვე, მიეთითებინათ სხვა საპარლამენტო რესპუბლიკების გამოცდილებაზე, რომლებშიც პრეზიდენტს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ირჩევს. მაგრამ ქართველი და უცხოელი დამკვირვებლების მეხსიერებაში დარჩა არა მსგავსი არგუმენტირებული საუბრები, არამედ ბიძინა ივანიშვილის თავდასხმები პრეზიდენტ მარგველაშვილზე, რომელიც, თავის დროზე, თავად შეარჩია და პრაქტიკულად აიძულა მხარდამჭერები, ხმა მისთვის მიეცათ. მიუხედავად იმისა, რომ მისი კრიტიკა მეტწილად სამართლიანი იყო, სწორედ ის იქცა მთავარ მიზეზად იმისა, რომ პროცესი წარმოჩენილია, როგორც საკონსტიტუციო კომისიის მიერ ივანიშვილის პოლიტიკური დაკვეთის შესრულება, მეტიც — ბრძოლა დემოკრატიის წინააღმდეგ და არა სისტემური ხარვეზის გამოსწორება. უჩვეულო ამაში არაფერია — უნიათო ხელისუფლებამ საკუთარ თავს მორიგი პრობლემა შეუქმნა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ყურადღების ცენტრში მოექცა, საარჩევნო სისტემის შეცვლაა. ყველა თანხმდება, რომ დღევანდელი შერეული სისტემა, მის მაჟორიტარულ ნაწილში, მანკიერია. მას შემდეგ, რაც ბარიერი მაჟორიტარებისთვის 50%-მდე გაიზარდა, ის ხელისუფლებისათვის მანდატების ერთგვარ ყულაბად იქცა და სწორედ მისი წყალობით მიიღო „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა. არადა, მისი მხარდამჭერების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ის ამას არ იმსახურებდა. განიხილება რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი, მათ შორის — ჩვეულებრივ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა ან ისეთზე, რომლის ფარგლებში დეპუტატების ნახევარს ძველი პროპორციული წესით, ხოლო ნახევარს სამხარეო-პროპორციული წესით ავირჩევთ. აგრეთვე, არის ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს არჩევნების გადაყვანას სამხარეო-პროპორციულ მოდელზე და თითოეული ასეთი წინადადება ორპალატიანი პარლამენტის იდეის მიმართ უნდა განვიხილოთ, თუმცა ამ ეტაპზე, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ.

მაჟორიტარული სისტემა დღევანდელი სახით ხელს უწყობს რაიონებში ადგილობრივი გავლენიანი პირების, ერთგვარი „ახალი ფეოდალების“ აღზევებას, რომლებიც ხმების მობილიზების სანაცვლოდ ხელისუფლებისგან სადეპუტატო მანდატებსა და სხვადასხვა პრივილეგიას იღებენ, მაგრამ მოდერნიზებული მოდელის დამკვიდრება ამ შემთხვევაში არაფერს შეცვლის; ასეთი ადამიანების ინტერესები გათვალისწინებული იქნება, როგორც პროპორციული, ისე სამხარეო-პროპორციული სისტემის ფარგლებში. ამასთანავე, ძველი მაჟორიტარული სისტემა ქმნიდა თუნდაც თეორიულ შანსს იმისა, რომ სუსტი პარტიის წარმომადგენელი ან დამოუკიდებელი კანდიდატი, ანუ „არასისტემური ელემენტი“, პარლამენტში მოხვედრას შეძლებდა, მაგრამ ბარიერის აწევამ (რაც უკვე მოხდა) და დაგეგმილმა გადასვლამ პროპორციულ ან სამხარეო-პროპორციულ მოდელზე ამის ალბათობა ნულამდე დაიყვანა.

დღეს, როდესაც ოპოზიციური პარტიები დაშლილი და დასუსტებულია, მათი წარმომადგენლები პარლამენტში ხელისუფლებისათვის სერიოზულ პრობლემას აღარ წარმოადგენენ. გაცილებით დიდი საფრთხე შეიძლება დამოუკიდებელმა კანდიდატებმა შეუქმნან, რომლებიც ანგარიშვალდებული მხოლოდ საკუთარი ამომრჩევლების წინაშე იქნებიან და არა ამა თუ იმ პარტიის კორუფცირებული ხელმძღვანელობის წინაშე. დღეს საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად გააიაფა და გაამარტივა დამოუკიდებელი აქტივისტების, ექსპერტებისა და ბლოგერების „რასკრუტკა“, ხოლო ძველი პოლიტიკური ელიტა დაინტერესებულია, რომ მათ გზა გადაუღობოს. ამ შემთხვევაში ყველა ძველი ტიპის პარტია და პოლიტიკოსი ერთმანეთის მოკავშირე ხდება. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელ მაჟორიტარული სისტემა უამრავი მანკიერებასთან არის დაკავშირებული, პარადოქსულ ვითარებამდე მივდივართ – თუ დამოუკიდებელი კანდიდატების მდგომარეობა კონსტიტუციის ჩასწორების შემდეგ გაუარესდება, ეს იქნება არა დემოკრატიისკენ, არამედ საპირისპირო მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, მით უმეტეს, რომ ასპარეზი გაუმაძღარ, თხემით ტერფამდე კორუფცირებულ, ბელადზე ორიენტირებულ მსხვილ პარტიებს დარჩება. ახალი სისტემის აშკარა უსამართლობის ნაწილობრივ დასაბალანსებლად ხელისუფლებამ შეიძლება დასწიოს ბარიერი, მაგალითად, 3%-მდე, მაგრამ ამ მხრივ სასიკეთო ჯერჯერობით არაფერი ისმის. ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე **მამუკა მდინარაძე** ბარიერის დაწევის წინააღმდეგია და, შესაძლოა, ის ხელისუფლების პირველი პირების შეჯერებულ პოზიციას ახმოვანებს.




ფრიდრიხ ებერტის ფონდის ბოლო კვლევამ აჩვენა – ახალგაზრდების მხოლოდ 25-26% ენდობა ადგილობრივ პოლიტიკურ ინსტიტუტებს –პარტიებს, პარლამენტს, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას. თბილისში გამოკითხული ახალგაზრდების 51% აცხადებს, რომ საერთოდ არ ენდობა პოლიტიკურ პარტიებს. ეს საკმაოდ საგანგაშო სიგნალია ელიტისთვის, რადგან აშკარაა, რომ „სოციალური ქსელების თაობის“ წარმომადგენლები აუცილებლად იპოვიან ახალი ტიპის ლიდერებს, რომლებსაც სუფთა წარსული ექნებათ და არჩევნებში მხარს სწორედ მათ დაუჭერენ. მათთვის გზის გადაღობვის მცდელობა ქვეყანას რევოლუციამდე მიიყვანს, თუმცა, როგორც ჩანს, ივანიშვილის ხელისუფლებას ურჩევნია, მუშაობა ძველ პოლიტიკურ ელიტასთან განაგრძოს, ვინაიდან მისი მართვა (ყიდვაც) ძალიან იოლია.

**გამოკითხული ახალგაზრდების 51% აცხადებს, რომ საერთოდ არ ენდობა პოლიტიკურ პარტიებს. ეს საკმაოდ საგანგაშო სიგნალია ელიტისთვის, რადგან აშკარაა, რომ «სოციალური ქსელების თაობის» წარმომადგენლები აუცილებლად იპოვიან ახალი ტიპის ლიდერებს, რომლებსაც სუფთა წარსული ექნებათ და არჩევნებში მხარს სწორედ მათ დაუჭერენ. მათთვის გზის გადაღობვის მცდელობა ქვეყანას რევოლუციამდე მიიყვანს, თუმცა, როგორც ჩანს, ივანიშვილის ხელისუფლებას ურჩევნია მუშაობა ძველ პოლიტიკურ ელიტასთან განაგრძოს, ვინაიდან მისი მართვა (ყიდვაც) ძალიან იოლია**

კონსტიტუციის ჩასწორების პროცესში ხელისუფლება, სავარაუდოდ, შეეცდება, მოსახლეობის კონსერვატიული უმრავლესობის მოწონება დაიმსახუროს. ამისთვის ის, ლიბერალური ჯგუფების წინააღმდეგობის მიუხედავად, შეიძლება წავიდეს კონსტიტუციაში ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირის, განსაზღვრაზე, უცხოელებს საქართველოში მიწის შესყიდვის შესაძლებლობა შეუზღუდოს და ა.შ. ამ დროს საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას შეცდომა და დისკუსიაში შესვლისას არ დაივიწყოს სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. საკმაოდ ბევრი დეტალი მიუთითებს იმაზე, რომ საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელობა მოწადინებულია, უზრუნველყოს ჰიბრიდული ოლიგარქიული რეჟიმის მდგრადობა და მრავალგზის გაუპატიურებული კონსტიტუცია მის ინტერესებს მოარგოს. ამიტომ, როდესაც მოგვეჩვენება, რომ მნიშვნელოვანი წარმატება მოვიპოვეთ, მიწის გაყიდვის ან ქორწინების არსის განსაზღვრის საკითხებში, უნდა მიმოვიხედოთ, რათა დავრწმუნდეთ, რომ ამასობაში დემოკრატია და თავისუფლება არ დავკარგეთ.

**ბრძოლამ დემოკრატიული პარტიის შიგნით, რომელშიც მნიშვნელოვან როლს კლინტონების დაუკმაყოფილებელი ამბიცია ასრულებს, შეიძლება ხელი შეუწყოს დონალდ ტრამპის გამარჯვებას 2020 წლის არჩევნებშიც, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საკმაოდ ბევრი რადიკალურად განწყობილი ოპონენტი ჰყავს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ამერიკული ისტებლიშმენტის დიდი ნაწილი შეშფოთებით ადევნებს თვალს ახალი პრეზიდენტის რადიკალურ ნაბიჯებს, ხოლო ექსპერტები კვლავ უბრუნდებიან წინასაარჩევნო პერიოდს და ცდილობენ, დაადგინონ, რატომ გაიმარჯვა დონალდ ტრამპმა. ბევრი მიდის დასკვნამდე, რომ მნიშვნელოვანი წვლილი ამაში კლინტონების ოჯახის სტრატეგიულ შეცდომებს მიუძღვის.**

# ჰილარი კლინტონის საბედისწერო შეცდომები



ბილ კლინტონმა, თავის მეუღლესა და გარემოცვასთან ერთად, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში შექმნა ერთგვარი კლანი, რომელიც არა მხოლოდ დემოკრატიულ პარტიაში, არამედ ამერიკულ ელიტაში დიდი გავლენით სარგებლობს. მის მთავარ მიზანი, დიდი ხანია, **ჰილარი კლინტონის** გაპრეზიდენტებაა. პირველი ცდა წარუმატებელი გამოდგა — 2008-ში შიდაპარტიულ ბრძოლაში, პრაიმერის ეტაპზე, ჰილარი კლინტონი დამარცხდა და დემოკრატიული პარტიის კანდიდატი **ბარაკ ობამა** გახდა. საგულისხმოა, რომ მნიშვნელოვანი როლი ობამას დაწინაურებაში სწორედ ბილ და ჰილარი კლინტონებმა შეასრულეს. 2004 წელს, როდესაც ობამამ დააპირა, გამხდარიყო სენატორი ილინოისის შტატიდან, მათ ბევრი იზრუნეს მისი საარჩევნო ფონდის შევსებაზე და იმაზე, რომ ობამა მედიის ყურადღების ცენტრში დარჩენილიყო. კლინტონებს მიაჩნდათ, რომ ენერგიული, პერსპექტიული აფროამერიკელი გააძლიერებდა დემოკრატიულ პარტიას და მათი ერთგული „უმცროსი პარტნიორი“ გახდებოდა. სწორედ ამიტომ ობამას გადაწყვეტილება, პრეზიდენტი გამხდარიყო, მათ აღიქვეს, როგორც უკიდურესი უმადურობა. მას შემდეგ, რაც ობამამ არჩევნები მოიგო, ჰილარი კლინტონს სახელმწიფო მდივნის პოსტი შესთავაზა. ორივე მხარე იქცეოდა ისე, თითქოს კონფლიქტი ამოიწურა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, კლინტონები შურისძიებისთვის ხელსაყრელ მომენტს ელოდებოდნენ. ისინი შეცდნენ, როდესაც 2004-ში ობამას ამბიციები არასწორად შეაფასეს და ამას ნამდვილი „ჯაჭვური რეაქცია“ მოჰყვა.

2012-ში, როდესაც ობამა კენჭს მეორედ იყრიდა, წამყვან მედიასაშუალებებში წინა პლანზე გამოვიდა თემა, რომელიც ადრე მხოლოდ მარგინალურ საიტებზე განიხილებოდა. საუბარი ეხებოდა იმას, რომ ობამა აშშ-ის ფარგლებს გარეთ დაიბადა და, შესაბამისად, უფლება არ ჰქონდა, პრეზიდენტობის. მნიშვნელოვანი როლი ამ თემის აქტუალიზებაში **დონალდ ტრამპმა** შეასრულა, რომელიც კლინტონების ოჯახის, მეგობარი თუ არა, ძველი ნაცნობია. მოგვიანებით მან განაცხადა, რომ ინფორმაცია ობამას დაბადების შესახებ კლინტონების გარემოცვიდან მიაწოდეს.

პრეზიდენტი იძულებული შეიქნა, დაბადების მოწმობა წარმოედგინა. სკანდალი ჩაცხრა, მაგრამ ობამას ადმინისტრაციასა და კლინტონების ოჯახს შორის ფარული საინფორმაციო ომი დაიწყო. მისი ერთ-ერთი გამოვლინება, სავარაუდოდ, ის „გაჟონვაც“ იყო, რომლის შედეგად იფეთქა სკანდალმა ჰილარი კლინტონის ელექტრონული ფოსტის გამო, რაც პრეზიდენტობის კანდიდატის რეიტინგზე უარყოფითად აისახა. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ობამას გუნდის ერთ-ერთი „საპასუხო დარტყმა“ იყო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ შურისძიების სურვილით შეპყრობილმა კლინტონებმა კიდევ ერთი სერიოზული შეცდომა დაუშვეს.

ბოლო არჩევნების წინ მათ მოახერხეს შიდაპარტიული ბრძოლის მოგება, რადგან ობამას ჯგუფმა პრეზიდენტობის კარგი კანდიდატი ვერ იპოვა. ვიცეპრეზიდენტ **ჯო ბაიდენს** 2015-ში ვაჟი გარდაეცვალა, ის დეპრესიაში ჩავარდა და პოლიტიკური ბრძოლის ინტერესი დაკარგა. სხვა კანდიდატები ნაკლებად ძლიერი იყვნენ და ობამა, თავის გარემოცვასთან ერთად, იძულებული შეიქნა, მხარი ჰილარი კლინტონის კანდიდატურისთვის დაეჭირა. მან კი, თავის მხრივ, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ალტერნატიული დემოკრატი კანდიდატები რაც შეიძლება სუსტები ყოფილიყვნენ, რათა პრაიმერი უპრობლემოდ მოეგო.

მაგრამ **ბერნი სანდერსმა**, რომელსაც კლინტონები სწორედ ასეთ „კომფორტულ კონკურენტად“ განიხილავდნენ, კინაღამ სასწაული მოახდინა, რის გამოც მის წინააღმდეგ საჭირო გახდა აკრძალული ილეთების გამოყენება. ცნობილი ჰაკერული შეტევის შემდეგ „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრთა მიმოწერა, რომელშიც ისინი მსჯელობდნენ, როგორ შეეჩერებინათ სანდერსი. ამ სკანდალმა, აგრეთვე, დიდი ზიანი მიაყენა ჰილარი კლინტონის კამპანიას, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანი სხვა რამ იყო — სანდერსის წარმატება გახდა მკაფიო სიგნალი იმისა, რომ კლინტონის ბანაკში რაღაცა ისე არ მიდიოდა, როგორც საჭირო იყო; რომ ის, კონსულტანტების ძალისხმევის მიუხედავად, კვლავინდებურად საკმაოდ სუსტ კანდიდატად რჩებოდა. ამ პრობლემის გააზრებამ კლინტონების ოჯახი კიდევ ერთ, ამჯერად საბედისწერო შეცდომამდე მიიყვანა.

კლინტონები კიდევ ერთხელ მივიდნენ დასკვნამდე, რომ საუკეთესო გამოსავალი სუსტი მოწინააღმდეგის მოძებნა იქნებოდა და ასეთად თავისი ძველი ნაცნობი დონალდ ტრამპი ჩათვალეს. მათი აზრით, გავლენიანი რესპუბლიკელების ნეგატიური დამოკიდებულება მის მიმართ გამოიწვევდა მოწინააღმდეგე პარტიის ორ ბანაკად გაყოფას და წინასაარჩევნო პერიოდში უეფექტოს გახდიდა. ამასთანავე, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ტრამპის გასვლა საპრეზიდენტო მარათონის ფინალში, გააერთიანებდა ყველა იმ ამომრჩეველს, რომელთათვის მიუღებელი იყო მისი იდეები, ჰილარი კლინტონის როგორც „ნაკლები ბოროტების“ გარშემო.

**ბილ და ჰილარი კლინტონები აპირებენ, პოლიტიკურ ავანსცენაზე თავიანთი ქალიშვილი ჩელსი გამოიყვანონ (სხვათა შორის, ის ტრამპის ქალიშვილის — ივანკას ახლო მეგობარია) და უზრუნველყონ მისი არჩევა კონგრესში, თუმცა ცხადია, ჩელსის მრავალწლიანი მომზადება დასჭირდება იმისთვის, რომ მაღალი პოსტებისთვის იბრძოლოს**



**ბრძოლამ დემოკრატიული პარტიის შიგნით, რომელშიც მნიშვნელოვან როლს კლინტონების დაუკმაყოფილებელი ამბიცია ასრულებს, შეიძლება ხელი შეუწყოს დონალდ ტრამპის გამარჯვებას 2020 წლის არჩევნებშიც**

ეს სტრატეგია ექსპერტებმა ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ გაშიფრეს და სწორედ ის ფიგურირებს გასულ კვირას „ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულ კიდევ ერთ წერილში, რომელიც კლინტონის შტაბმა დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის წევრებს 2015 წლის 7 აპრილს გაუგზავნა. დემოკრატების ან ცალკე აღებული კლინტონების ოჯახის გავლენის ქვეშ მყოფმა ლიბერალურმა მედიასაშუალებებმა დაიწყეს ტრამპის სკანდალური გამოსვლების ტირაჟირება და მისი უდიდეს საფრთხედ წარმოჩენა. ამ დროს იმუშავა ცნობილმა ფორმულამ „ანტიპიარიც პიარია“ და საუბარმა ტრამპზე, როგორც საფრთხეზე, ხელი შეუწყო მის გამარჯვებას რესპუბლიკურ პრაიმერში.

თავდაპირველად სხვაობა კლინტონისა და ტრამპის რეიტინგებს შორის საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ თანდათან შემცირდა. მნიშვნელოვანი როლი ამაში ელექტრონულ ფოსტის გარშემო ატეხილმა სკანდალებმა შეასრულა, აგრეთვე, ჰილარი კლინტონის, როგორც საჯარო კანდიდატის, სისუსტემ. მას, ტრამპისგან განსხვავებით, მარტივად რომ ვთქვათ, ამომრჩეველთა ენაზე ლაპარაკი უჭირდა. ამასთანავე, მის კამპანიაში იყო რამდენიმე სხვა, უპირველესად, ფსიქოლოგიური ხასიათის ქვეტექსტი. მაგალითად, კლინტონის შტაბმა საკმაოდ ბევრი რესურსი დახარჯა იმ შტატებში, რომლებშიც დემოკრატიული პარტიის კანდიდატი აპრიორი იმარჯვებდა, იმისთვის, რომ იქ ძალიან დამაჯერებლად მოეგო — უფრო მეტი ხმა მიეღო, ვიდრე თავის დროზე ბარაკ ობამას ერგო, მაშინ, როდესაც საჭირო იყო კონცენტირება სადავო შტატებზე, რომლებშიც ტრამპის პოზიციები თანდათან უმჯობესდებოდა. რაღაც მომენტში ცხადი შეიქნა, რომ საფრთხე რეალურია, მაგრამ ამის გამოხატვა კლინტონებისთვის საკუთარი სტრატეგიული შეცდომის აღიარების ტოლფასი იყო, რადგან ტრამპი ყველაზე უსაფრთხო კონკურენტი როდი აღმოჩნდა. ამიტომ ჰილარი კლინტონი და მისი გარემოცვა საარჩევნო შტაბში გარდაუვალი გამარჯვების ატმოსფეროს ამკვიდრებდნენ, მისი გავლენის ქვეშ თავადვე ექცეოდნენ და საკმაოდ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, ვინ რა თანამდებობას დაიკავებდა მას შემდეგ, რაც კლინტონი პრეზიდენტი გახდებოდა. სულ სხვა საბრძოლო განწყობა სუფევდა ტრამპის შტაბში, სადაც მარცხის რეალურმა საფრთხემ ძალთა სრული მობილიზება გამოიწვია.

დონალდ ტრამპს საკმაოდ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს და არსებობს არაერთი წინაპირობა იმისთვის, რომ დემოკრატებმა 2020-ში სერიოზული ბრძოლა გაუმართონ, მაგრამ პრობლემა არის ის, რომ დემოკრატიული პარტიის ელიტა ერთიანი არაა. ჰილარი კლინტონი ისევ რევანშზე ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ 2020-ში მას, სავარაუდოდ, გაცილებით სუსტი პოზიციები ექნება, ვიდრე 2008-ში ან 2016-ში. ძნელი სათქმელია, შეძლებენ თუ არა რეალისტი თანაპარტიელები, რევანშისა და შურისძიების სურვილით განპირობებული გადაწყვეტილება შეაცვლევინონ. საინტერესოა, რომ ბილ და ჰილარი კლინტონები აპირებენ, პოლიტიკურ ავანსცენაზე თავიანთი ქალიშვილი **ჩელსი** გამოიყვანონ (სხვათა შორის, ის ტრამპის ქალიშვილის — ივანკას ახლო მეგობარია) და უზრუნველყონ მისი არჩევა კონგრესში, თუმცა ცხადია, ჩელსის მრავალწლიანი მომზადება დასჭირდება იმისთვის, რომ მაღალი პოსტებისთვის იბრძოლოს. ამასთანავე, ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი გუნდის ბირთვი და კლინტონების კლანის საპირწონედ დემოკრატიულ პარტიაში საკუთარი კლანი შექმნას, შესაძლოა, არა იმდენად გავლენიანი და გამოცდილი, მაგრამ გაცილებით ენერგიული. ობამას ჯგუფის კანდიდატი მომავალ არჩევნებში შეიძლება გახდეს ჯო ბაიდენი, მიუხედავად იმისა, რომ ასაკი ამაში ხელს ნამდვილად არ უწყობს. აგრეთვე, საუბრობენ იმაზე, რომ ბარაკ ობამა შეიძლება ბილ კლინტონის გზით წავიდეს და ავანსცენაზე მეუღლე გამოიყვანოს, თუმცა ორივე ნახსენებ კანდიდატს სერიოზული მინუსები აქვს და იმის ალბათობა, რომ ობამას ჯგუფი მხარს დემოკრატიული პარტიის სხვა წარმომადგენელს დაუჭერს, საკმაოდ დიდია.

ბრძოლამ დემოკრატიული პარტიის შიგნით, რომელშიც მნიშვნელოვან როლს კლინტონების დაუკმაყოფილებელი ამბიცია ასრულებს, შეიძლება ხელი შეუწყოს დონალდ ტრამპის გამარჯვებას 2020 წლის არჩევნებშიც, მიუხედავად იმისა, რომ დღეს საკმაოდ ბევრი რადიკალურად განწყობილი ოპონენტი ჰყავს.

**ლუკა ნემსაძე**

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუკი ევროპელებს არ სჭირდებათ ევროკავშირი და მიაჩნიათ, რომ იგი უნდა დაიშალოს, თუ ამერიკის პრეზიდენტის მიდგომა ნატოს მიმართ კარდინალურად იცვლება, რა თქმა უნდა, საქართველოსაც ძირეულად აქვს პოლიტიკა შესაცვლელი. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული კლიშეებზე და, საერთოდ, საქართველოს ხელისუფლება ახლა მაინც უნდა მიხვდეს, რომ რუსეთის ლანძღვა ჩვენს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს“.

# «ლიბერალური უტოპია წავიდა, პრაგმატიზმის დროა»

## რას ფიქრობენ ექსპერტები საქართველოს ევროატლანტიკურ პერსპექტივაზე?

**ყოფილი თუ მოქმედი ევროპელი მაღალჩინოსნები უკვე დაუფარავად ამბობენ, რომ საქართველო ვერც ნატოში შევა და ვერც ევროკავშირში. პარალელურად კეთდება განცხადებები რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე — ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთისა და სხვა ევროპული სახელმწიფოების მთავარი ოპოზიციური პარტიების ლიდერები რუსეთთან ურთიერთობის მკვეთრად გაუმჯობესებას პრიორიტეტად ისახავენ. არადა, მსგავსი სცენარით მოვლენების განვითარებაზე (როგორც „საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა წინა ნომერში (№3,2016) და, აქედან გამომდინარე, გამოწვევების გასანეიტრალებლად აუცილებლად მისაღებ ზომებზე ხელისუფლებას ჯერ კიდევ წლების წინათ აფრთხილებდა პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია. დღეს საქართველოს ეძლევა შანსი, თავი დააღწიოს დესუვერენიზაციის პროცესს და იპოვოს საკუთარი ადგილი მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება არ ჩქარობს საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებში კორექტივების შეტანას. მიუხედავად გარდაქმნებისა, რომლებიც დაიწყო ამერიკასა და ევროპაში, საქართველოს მმართველი ელიტა თავს არ ანებებს ნატოსა და ევროკავშირში გაერთიანების აკვიატებულ ბოდვით იდეას. რა ელის საქართველოს ახალი მსოფლიო წესრიგის პირობებში? რა ცვლილებებია საჭირო ქვეყანაში, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნოდეს“ და არის თუ არა მზად ამისთვის ხელისუფლება? „საქართველო და მსოფლიო“ კომენტარისთვის ექსპერტებს დაუკავშირდა.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— იქიდან გამომდინარე, რასაც დღეს ამერიკის ახალარჩეული პრეზიდენტი ამბობს და არა მხოლოდ ამბობს, არამედ უკვე საქმეზეც გადავიდა, აშკარაა, რომ მისი დამოკიდებულება კავშირებისა და გაერთიანებებისადმი ძალიან ნეგატიურია. ყოველ შემთხვევაში, ის თვლის, რომ ამერიკას უნდა ჰქონდეს არა რაიმე კავშირთან ურთიერთობა, არამედ — ცალკეულ ქვეყნებთან ერთი-ერთზე. ეს ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე რაღაც კავშირებისა და გაერთიანებების დრო წარსულს ბარდება.

რაც შეეხება საქართველოს, **თუკი ევროპელებს არ სჭირდებათ ევროკავშირი და მიაჩნიათ, რომ იგი უნდა დაიშალოს, თუ ამერიკის პრეზიდენტის მიდგომა ნატოს მიმართ კარდინალურად იცვლება, რა თქმა უნდა, საქართველოსაც ძირეულად აქვს პოლიტიკა შესაცვლელი.** ჩვენ არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული კლიშეებზე და, საერთოდ, საქართველოს ხელისუფლება ახლა მაინც უნდა მიხვდეს, რომ რუსეთის ლანძღვა ჩვენს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს; ამ მხრივ სერიოზული საფიქრალი გვაქვს და, სანამ ფიქრს დავიწყებთ, ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ როგორმე თავი შევიკავოთ მოსკოვთან ღია დაპირისპირებისგან. **იმ პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს, არ არის გამორიცხული, მარტო დარჩენილ ქვეყანას ვიღაცამ კორტნა დაუწყოს და ასეთ შემთხვევაში ერთადერთი ქვეყანა, რომელიც ჩვენ დაგვიცავს, მართლმადიდებლური რუსეთია. სხვა ასეთი ძალა, არც მეზობლებში და არც მის ფარგლებს გარეთ არ მეგულება...**



**გულბაათ რცხილაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— რომც არ მომხდარიყო პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთში, საქართველოს ევროატლანტიკური პერსპექტივა მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა, მაგრამ **დღეს ჩვენ საერთოდ ამოვარდნილი ვართ მსოფლიოს პოლიტიკური კონიუქტურიდან. მით უფრო სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ის მდგომარეობა, რომ ხალხი, რომელიც ადრე ამერიკას მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად აცხადებდა, დღეს დგას და სწორედ ამერიკას ლანძღავს.** ხელისუფლება თანდათან უნდა გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან, მაგრამ ქვეყნის ამჟამინდელ ხელმძღვანელობაში სახელმწიფოებრივი აზროვნების ადამიანებს თითქმის ვერ ვხედავ. **დღეს ქვეყნის სათავეში არიან ევროპასა და ამერიკაში ორკვირიან სემინარებზე მომზადებული ადამიანები, რომლებსაც არც სათანადო განათლება არ აქვთ და არც გამოცდილება. ისინი ვერ უძღვებიან სახელმწიფოს ისე, როგორც საჭიროა და, ცხადია, ეს ადამიანები უნდა მოშორდნენ ხელისუფლებას.**



**ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი:**

— ამერიკაში განვითარებული მოვლენების ფონზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნების თავისუფლების ხარისხი ძალიან გაიზარდა, მაგრამ, როგორ აისახება ეს პოლიტელიტასა და მთლიანად პოლიტიკურ სპექტრზე, დრო გვიჩვენებს. ტრამპის გამარჯვება ნიშნავს, რომ ე.წ. ლიბერალური პარადიგმა შეცვლილია და იწყება სერიოზული იდეოლოგიური გარდაქმნა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ნეოლიბერალური უტოპია დამთავრდა და ახლა იწყება რაღაც სხვა. რა იქნება ეს, კონკრეტულად თქმა ჯერჯერობით ძნელია, მაგრამ ქრისტიანული პერსპექტივიდან თუ შევხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ ლიბერალური უტოპია წავიდა, მოვიდა ადამიანი...**



**ვახტანგ მაისაია**, ექსპერტი:

— დასავლეთში პოლიტიკური კონფიგურაცია იცვლება და ორიენტირები, რომლებიც ადრე იყო, აღარ იქნება, მაგრამ არის ადგილობრივი პოლიტელიტის ფაქტორიც. შეძლებს თუ არა იგი ცვლილებებისთვის ფეხის აწყობას, დრო გვიჩვენებს. დღეს მოვლენები ძალიან სწრაფად ვითარდება.

რაც შეეხება ტრამპს, მისი პოლიტიკა ბევრს მოსწონს და ეს გასაგებია, რადგან ის არის კონსერვატორი თავისი ხედვითა და იდეოლოგიით. მისი ადმინისტრაციის პირობებში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ შეიცვლება და ვფიქრობ, ჩვენ პირისპირ მოგვიწევს დგომა იმ სახელმწიფოსთან, რომელთანაც დღეს მაინცდამაინც შესაშური ურთიერთობა არ გვაქვს... აი, ამისთვის უნდა ემზადებოდეს დღეს ხელისუფლება და ეძებდეს გზებს, რათა არ აღმოჩნდეს დიდ გაუგებრობაში. მით უფრო, რომ აქ საუბარია ქვეყნის მომავალზე და არა ერთ რომელიმე პოლიტიკურ ჯგუფზე, საქმე ეხება სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივას.

მოამზადა **ჯაბა ჭყანიამ**

# ვინ არიან სტრასბურგის სასამართლოს მიერ უარყოფილი ქართველი მოსამართლეები



**ევროპის საბჭოს საპარლამენტო კომიტეტი ქართველი მოსამართლეების კანდიდატურის დაწუნებასთან დაკავშირებით ტელეკომპანია „იმედს“ პასუხად წერილობით დოკუმენტს უგზავნის. როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მოსამართლეთა სამკაციანი სია წარუდგინა, რომელიც შესაბამისმა კომისიამ უარყო და უკან დააბრუნა.**

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო კომიტეტის წერილში აღნიშნულია, რომ სიის უარყოფა კანდიდატების დაბალი კვალიფიკაციის გამო მოხდა. „საქართველო და მსოფლიო“ დაინტერესდა ამ მოსამართლეების ვინაობითა და კვალიფიკაციით. ესენი არიან:**

**ევა გოცირიძე** — იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. 1987 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1980 წლიდან მუშაობდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობაზე: 1980—1981 წლებში იყო კოდიფიკატორი; 1980—1984წლებში — ინსპექტორი; 1990—1991 წლებში — მოქალაქეთა მიღებისა და საჩივრების განყოფილების კონსულტანტი; 1996—1997 წლებში სასამართლოს პრაქტიკის განზოგადების განყოფილების უფროსი; 1997 წელს — ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორი; 2000 წლიდან — საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექტორი; 2005 წლიდან — საქართველოს უზენაესი სასამართლოს მრჩეველი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში; 2011 წლიდან — საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი.

1998 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „იმპიჩმენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში“; 2006 წელს — სადოქტორო დისერტაცია თემა „აზრის გამოხატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში“.

**ალექსანდრე ბარამიძე** — იუსტიციის მინისტრის მოადგილე. 1983 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სპეციალობით.

2002 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართალმცოდნეობის სპეციალობით;

2002—2012 წლებში მუშაობდა კომპანია „პროცესში“;

2003 წელს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში გაიარა სამკვირიანი ინგლისურენოვანი ტრენინგი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საკითხებზე;

2004—2005 წლებში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიჰყავდა მედიასამართლის კურსი ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტებისთვის;

2011—2012 წლებში იურიდიულ მომსახურებას უწევდა, როგორც საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას“, ისე პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებას“, მის თავმჯდომარეს, კოალიციაში შემავალ პარტიებსა და ფიზიკურ პირებს, აგრეთვე, კოალიციის წევრების კონტრაქტორ ფირმებს.

**გიორგი ბადაშვილი** — ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისტი. 2003 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

2014 წლის 21 იანვრიდან საქართველოს მთავარი პროკურორია;

2006—2008 წლებში — საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის აჭარის სამმართველოს გამომძიებელი;

2008—2011 წლებში — საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოს გამომძიებელი;

2011—2013 წლებში — საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს უფროსის მოადგილე;

2013—2013 წლებში — საგამოძიებო სამსახურის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს უფროსი;

2013—2013 წლებში — საქართველოს შს სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) დირექტორის მოადგილე.

როგორც ცნობილია, ზემოჩამოთვლილი მოსამართლეების კანდიდატურა საქართველოს მთავრობამ შეარჩია და შესაბამისი პროცედურების დაცვით სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაუგზავნა, მაგრამ აღნიშნული ნუსხა უარყოფილ იქნა. ამჟამად ევროსაბჭო საქართველოს ხელისუფლებისგან ახალ სიას ელოდება, რომლის მომზადებასაც გარკვეული დრო სჭირდება.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდა თავში აზრად მიწის გაყიდვა? უნდა დავინტერესდეთ, ეს საკითხი საიდან და როგორ დადგა დღის წესრიგში. ეს 1990-იან წლებში დაგვავალეს იმ ადამიანებმა, რომლებიც მთავრობას აფინანსებდნენ — მიწის გაყიდვის კანონს თუ არ დაამტკიცებთ, თანხას ვერ მიიღებთო. ეს დღეს უკვე ტრაგედიად იქცა, რომლითაც ბევრმა იხეირა“.

## ჯუმბერ პატიაშვილი:

# თუ რუსეთთან ურთიერთობა არ აღვადგინეთ, თუ აფხაზებსა და ოსებს არ დაველაპარაკეთ, ამ ქვეყანას სასიკეთო არაფერი უწერია

## «ეკონომიკის აღორძინებაზე საუბრობენ. მხოლოდ ეს გვიჭირს? რომელი დარგია აღორძინებული, რომელ სფეროში გვაქვს საქმე კარგად?»

**საბჭოთა კავშირში შემავალი უმდიდრესი რესპუბლიკა, სახელად საქართველო, 25 წლის წინათ დაინგრა, განადგურდა, გაიყიდა და დღემდე ეს პროცესი შეუქცევადია. რამ მიგვიყვანა აქამდე? ვის მიუძღვის ბრალი ამ ყველაფერში? როგორი საქართველო გვქონდა, როგორი ხელისუფალნი იყვნენ წინათ? — ამ და სხვა საკითხებზე ბატონი ჟუმბერ პატიაშვილი გვესაუბრება.**



**— ბატონო ჯუმბერ, 1980-იანი წლების ბოლოს საქართველოს ხელისუფლების სათავეში იყავით. დღევანდელი გადმოსახედიდან რას იტყვით ამჟამინდელ ხელისუფლებაზე?**

— ჩემი შესაფება, იქიდან გამომდინარე, რომ კომპარტიისდროინდელი ხელისუფალი ვარ, ცუდად იქნება აღქმული, მაგრამ შედარება მაინც შეიძლება. საზოგადოების დამოკიდებულებაზე ვისაუბრებ. როგორ უყურებდა საზოგადოება პრობლემებს იმხანად და დღეს. იტყვიან, ადრე პასიურები იყვნენო, ინფორმაცია არ ჰქონდათო... არა, ბატონებო, ინფორმაციაც ჰქონდათ და აზრსაც გამოთქვამდნენ. გამოთქმული აზრი კი ყველასთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებო იყო. **ჩვენ საზოგადოების ხმას ვუსმენდით, მათ დაკვეთას ვასრულებდით.**

ხელისუფლებას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ხალხისადმი. მაგალითად, თუ ადამიანი არ მუშაობდა, ვეკითხებოდით მიზეზს და შესაბამისად ვასაქმებდით. ახლა ამას არავინ არავის ეკითხება. **ყველაფერს ვაკონტროლებდით. ვიცოდით, სად რა შენდებოდა, ვინ სად უნდა ყოფილიყო, ვის რა შესაძლებლობა ჰქონდა. დღეს კი, ვისაც რა მოესურვება, იმას აკეთებს. ათასჯერ კონტროლდებოდა დოკუმენტი, რომელზეც ხელს ვაწერდით. შეცდომის უფლება არ გვქონდა. ვზუნავდით მომავალ თაობაზე. ყველაფერი ამაზე იყო გათვლილი. ახლანდელ ხელისუფლებას კი ყველაფერი თავისი ჰგონია, წინ და უკან არ იხედება, შედეგიც არის ის, რომ ტერიტორიები დავკარგეთ.**

საზოგადოებაც ინერტული გახდა, შედეგზე არ არის ორიენტირებული. საზოგადოებას ტელევიზიაც არ აქვს. **რას ვუყურებთ საზოგადოებრივ არხზე? არ აშუქებენ ქვეყანაში არსებულ პრობლემებს. მთავრობას არ აინტერესებს, მაგრამ ტელევიზია ხომ უნდა დაინტერესდეს?! ჩვენი მთავრობის წევრები მხოლოდ ბრიუსელში, ამერიკასა და სტრასბურგში დადიან. არჩევნების გარდა, თუ გაიხსენებთ, საქართველოს შიგნით ემოგზაუროთ და საშინაო პრობლემებით დაინტერესებულიყვნენ? ასეა საზოგადოებრივი მაუწყებელიც.**

**— ხალხისგან იღებდით შენიშვნებს?**

— პირადად ვხვდებოდით ადამიანებს. თვეში, სულ ცოტა, ას კაცს ვიღებდი კაბინეტში და მათ პრობლემებს ვისმენდი. მადლიერ ადამიანებს დღესაც ვხვდები... ბიუროკრატია მძლავრობდა, მაგრამ კარგი დედის შვილი იყო ვინმე და დაკისრებული მოვალეობა არ შეესრულებინა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ამის შესახებ ვიცოდი.

**— თქვენი მმართველობის პერიოდში რომ შეგეტყოთ ერთ-ერთი მინისტრის მევახშეობის შესახებ, რას იზამდით?**

— რას ამბობთ, ამას ვინ გაბედავდა? მინისტრი ან რომელიმე თანამდებობის პირი, რომელსაც წლიური შემოსავალი 3500 მანეთი ჰქონდა და ოჯახთან ერთად ევროპის გარშემო 5 ათას მანეთად იმოგზაურებდა, თვალის დახამხამებაში თვითონვე წერდა განცხადებას და სამსახურიდან უხმაუროდ მიდიოდა.

მაწუხებს ამ ქვეყნის ბედი, ყველაფერზე ვდარდობ. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ სოფელი დაცარიელდა. მიწის გაყიდვას ვიღაც ეთანხმება, ვიღაც — არა. არადა, ამ თემაზე საუბარი საერთოდ არ შეიძლება. **რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდა თავში აზრად მიწის გაყიდვა?**

უნდა დავინტერესდეთ, ეს საკითხი საიდან და როგორ დადგა დღის წესრიგში. ეს 1990-იან წლებში დაგვავალეს იმ ადამიანებმა, რომლებიც მთავრობას აფინანსებდნენ — მიწის გაყიდვის კანონს თუ არ დაამტკიცებთ, თანხას ვერ მიიღებთო. ეს დღეს უკვე ტრაგედიად იქცა, რომლითაც ბევრმა იხეირა. საქართველო საბჭოთა კავშირიდან გამოსვლამდე დაინგრა. ეს ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც დაინგრა. ჩვენ ყველაფერი გავყიდეთ ჯართად.

**— რა უნდა გააკეთოს საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ? ჩვენი გაზეთის ბოლო ნომერში გამოქვეყნდა პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიას რამდენიმე წლისწინანდელი ინტერვიუებიდან ამონარიდები. ერთგან ის დიდი ილიას მსგავსად ამბობს, დადგება დრო, როდესაც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“, რადგან ჩვენთვის აღარავის ეცლებაო...**

— **ალექსანდრე ჭაჭიას** ნაფიქრალსა და ნააზრევს ვეთანხმები. ჩვენ ერთად ვიყავით, თანამოაზრეები ვართ... ჩვენი ქვეყნის საქმე ცუდადაა. რა უნდა ეშველოს იმ ქვეყანას, რომელშიც მარიხუანის ლეგალიზებაზე საუბრობენ? ამ ქვეყანაში ყველა ერთმანეთს იცნობს, ყველა ახლობელია და მიკვირს, როგორ არ რცხვენიათ, როდესაც მსგავს განცხადებებს აკეთებენ. ამერიკას ბაძავენ, ერთმანეთს ემთხვევა აქაური და ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსის მოთხოვნები... ასეთ ვითარებაში, რა გინდა, გააკეთო?

**— ბატონო ჯუმბერ, სააკაშვილმა დაიბრალა შევარდნაძის დამხობა. არადა, შევარდნაძის სკამი მაშინ შეირყა, როდესაც თქვენ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გაგიყალბეს. არ ფიქრობთ, რომ დადგა დრო, ხმა ამოიღოთ, თანამოაზრეები შეკრიბოთ და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდეთ?**

— ქვეყანაში, სადაც არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა სათანადოდ არ შეფასებულა, სადაც თავისი სახელი არაფრისთვის დაურქმევიათ, რა უნდა დაიწყო და გააკეთო?! **გმირებად „ინათლებიან“ ადამიანები, რომლებიც დამნაშავეები იყვნენ.**

**არჩევნები, რომელზეც თქვენ ლაპარაკობთ, მართლაც გაყალბდა. ყველა მასალა მაშინვე გადავეცით პროკურატურას, მაგრამ რეაქცია არ მოჰყოლია. ის ადამიანები, რომლებმაც მშვენივრად იცოდნენ, რომ არჩევნები გაყალბდა, დღეს ხელისუფლებაში არიან. გამყალბებლები პარლამენტში სხედან.**

არავინ დაინტერესებულა, საიდან აქვთ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს ამდენი ქონება, საიდან დააგროვეს? ერთ ლარად გაიყიდა საწარმოები, სამეცნიერო ინსტიტუტები. ვინმემ იცის, ვის ეკუთვნის ქონება, რომელიც ეკონომიკის ყოფილმა მინისტრმა **კახა ბენდუქიძემ** ჩაიგდო ხელში? დღეს ყველაფერი მის შვილს ეკუთვნის, პატარა გოგონას, რომელიც საქართველოში არც ჩამოსულა. რაც ჩამოვთვალე, იქიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ აქ ახლა არაფრის გაკეთება არ ღირს.

**ხელისუფლებას მნიშვნელოვან საკითხთა ნუსხა არ აქვს. არ იციან, რომელია უმთავრესი საკითხი. წლებია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არ უხსენებიათ. პრეზიდენტობის კანდიდატებიც არ ახსენებენ, რაც ჩვენი ერის უდიდესი ტრაგედიაა.**

ყველა ერიდება, ხმამაღლა თქვას: **თუ ჩვენ რუსეთთან ურთიერთობა არ აღვადგინეთ, თუ აფხაზებსა და ოსებს არ დაველაპარაკეთ, ამ ქვეყანას სასიკეთო არაფერი უწერია. მე მეტი არაფერი მაინტერესებს. გული მტკივა, იზრდებიან ბავშვები და არ იციან, სად არის აფხაზეთი, ცხინვალი არ იციან.**

ეკონომიკის აღორძინებაზე საუბრობენ. მხოლოდ ეს გვიჭირს? რომელი დარგია აღორძინებული, რომელ სფეროში გვაქვს საქმე კარგად? დაწყევლილები ვართ.

**საქართველო ყოველთვის იდგა არჩევანის წინაშე. მე-12 საუკუნე ოქროს ხანად იწოდება, თამარ მეფე მართავდა ქვეყანას და ეს უდიდესი მმართველი ჯერ რუსს მივათხოვეთ, მერე — ოსს, იმიტომ, რომ ქვეყნისთვის ასე იყო საჭირო. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.**

ხშირად ახსენებენ **სულხან-საბა ორბელიანს**, რომელიც საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-სთან მივიდა, იქ რა მოხდა, არავინ იცის, მაგრამ ის ხომ ვიცით, სად არის დაკრძალული. მისი საფლავი მოსკოვშია. ასტრახანში გვყავს მეფეები დაკრძალული... დღეს ჩვენ იქ ვერ ჩავდივართ. **გამოდიან, ჭკუას გარიგებენ, არადა, თვითონ ფასეული არაფერი შეუქმნიათ.**

**— ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობას როგორ შეაფასებთ?**

— ივანიშვილი 90-იან წლებში გავიცანი, ნგრევა რომ დაიწყო, მაშინ. 500 ტრაქტორი შემოიყვანა საქართველოში. ეს იყო 1994 წელს. მერე ვადევნებდი თვალყურს მის საქმიანობას და მომწონდა.

**— გამოდის, ის შევარდნაძესაც ისევე ეხმარებოდა, როგორც სააკაშვილს.**

— დიახ, ივანიშვილი შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ბევრ საქმეს აკეთებდა. **ბიძინასთან შეკითხვები მაქვს: რატომ არ შეაფასა ყველაფერი, რასაც მოესწრო, ვისთან გააბა კოაბიტაცია — მტაცებლებთან, მკვლელებთან?.. მან ხომ იცის, როგორ იყიდებოდა ერთ ლარად ქონება, თანაც განა ერთი და ორი შენობა, მთელი კომპლექსები, ინსტიტუტები და ა.შ. ყველაფერს იტაცებდნენ, დოკუმენტებს იპარავდნენ... ახლაც არ არის გვიან, გამოარკვიონ, ვინ რა გზით, რა ხერხით, რის ფასად ჩაიგდო ხელში უდიდესი ქონება.** ვიდრე ყველაფერს თავის სახელი არ დაერქმევა, არაფერი გამოვა.

უამრავი მტკივნეული თემაა, სწორედ მათზე უნდა მუშაობდეს საზოგადოებრივი არხი. ამ თემებზე უნდა მუშაობდნენ ჟურნალისტები.

**— თქვენ ილია ჭავჭავაძის დარბაზი გააკეთეთ...**

— 1987 წელს ილიას 150 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს ვხელმძღვანელობდი. ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ შევისწავლე, გავიგე.. უამრავი აღდგენითი სამუშაო ჩავატარეთ საგურამოში, გამოვეცით ტომეულები. ილიას საიუბილეო საღამო რომ ჩატარდა, სტუმრების რეკორდული რაოდენობა მივიღეთ — 32 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. აფრიკიდან გვესტუმრნენ შავკანიანები, რომლებსაც ხელში ილიას წიგნი ეჭირათ და მითხრეს, ეს ჩვენი სულიერი მამააო. როცა აფრიკელი გეუბნება, ილია ჩემი სულიერი მამააო, როგორ შეიძლება, ქართველი არ ეთაყვანებოდეს მას. **ილიას მკვლელობის დეტალები გამოვიკვლიე, გამოძიება უნაკლოა, ყველა დაისაჯა. ის ქართველებმა მოკლეს.** გურამ შარაძე იყო მივლინებული დასავლეთ გერმანიაში, რათა საარქივო მასალები შეესწავლა. სწორედ მან ჩამოიტანა ეს ინფორმაცია. სამწუხაროდ, ღირსეული ქართველი გურამ შარაძე ისევ ქართველებმა მოკლეს. საშუალება მქონდა, დიდი ილიას ხსოვნისთვის პატივი მიმეგო და ეს გავაკეთე კიდეც. მინდა, ილიას დარბაზში შევიკრიბოთ, ქვეყნის ბედიღბალზე ვისაუბროთ, მნიშვნელოვანი მოვლენები აღვნიშნოთ, ვიმსჯელოთ. მოკლედ, მინდა, კულტურულ კერად იქცეს.

ახლა დავუბრუნდები **ალექსანდრე ჭაჭიას** სიტყვებს, სადაც ის ილიას ციტირებს, — დაგვიდგება დრო, როცა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“. **დღეს ჩვენ ჩვენი თავი არ „გვეყუდვნის“, რაც უმადურობის, უზადრუკობის, ამპარტავნობისა და უცოდინარობის ბრალია. თუ ამას გავითავისებთ, იქნებ გვეშველოს. მართლაც დადგება დრო, როდესაც საკუთარ თავთან დავრჩებით და მერე?** რით ვიწყებთ ქვეყნის აშენებას, ჩვენ ხომ ფასი არ ვიცით იმ კარ-მიდამოსი, რომელიც უფალმა გვიბოძა?! ჩვენ ხომ ყველა მხრივ მდიდრები ვართ. **თუ არ გამოიყენებ შენი ქვეყნის სიმდიდრეს, არ გამოიყენებ ადგილმდებარეობას, არ დააფასებ მეგობრებს, ვერ იქნები საკუთარი ქვეყნის ბატონ-პატრონი.** ღმერთი არ გვაპატიებს უმადურობას. ქვეყანა თვალწინ დადნა, დაპატარავდა და გზას ვერ ვპოულობთ, რომ ვუშველოთ. მხოლოდ **ადა მარშანიამ** გაბედა, მაღალი ტრიბუნიდან ეკითხა: სად გვინდა შესვლა — ნატოში თუ აფხაზეთში?

მართლაც, საით მივდივართ? რა გვინდა?

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხალხმა იცის, რომ ხელისუფლებაში მყოფი არც ერთი ადამიანი გადაწყვეტილების მიმღები არ არის. ისინი პასუხისმგებლები არ არიან არაფერზე. ამბობენ, ქუმსიშვილი მევახშეაო, ჯეჯელავა — კომბლე... მაგრამ მერე რა? ასეთია მიდგომა. მინისტრების საქციელი აგრესიას არ იწვევს. ისინი არაფერს წარმოადგენენ. ყველა პაიკია, პაიკების მიმართ კი აგრესიის გამოხატვა არასერიოზულია“.**



# გია ხუხაშვილი: ივანიშვილს წასვლის საშუალება აღარ აქვს, გამოსასვლელ კარს ვეღარ პოულობს

**იანვარი მიიწურა, მატულობს ხალხის უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ. ეროვნული ვალუტის კურსი კვლავ ეცემა, პირველადი მოხმარების პროდუქტები ძვირდება, ყოველი მეორე ოჯახი ბანკის „მძევალია“. ქვეყანაში მხოლოდ ბანკები, ლომბარდები, ონლაინსესხების ოფისები მუშაობს. გაირკვა, რომ ხელისუფლებაში მევახშეებიც გვყოლია... ვინ ნიშნავს მინისტრებად ადამიანებს? რა ხდება ქვეყნის რეალური მმართველის, ბიძინა ივანიშვილის, კარზე? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში — გია ხუხაშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო გია, დამოუკიდებელ საქართველოს ახსოვს ყაჩაღების მთავრობა, აგრეთვე, — მექრთამეების. გვახსოვს ხელისუფლება, რომელმაც ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა და ქუჩაში ადამიანებს ხვრეტდა... რას დაარქმევთ დღევანდელ მთავრობას?**

— დღევანდელ ხელისუფლებას სახელს ჯერ ვერ დაარქმევ. ეს არის ხელისუფლება, რომელიც ცდილობს, არაფერი გააფუჭოს, მაგრამ არც არაფერი გააკეთოს. პოლიტიკური ელიტა არ არსებობს, ამიტომ თქმაც არაფერის შეიძლება. ყველაფერი ისევ ორპოლუსიანობისკენ მიდის. ახალი ხელისუფლება წინასგან მტრის ხატის შექმნას ცდილობს და ამით სურს ძალაუფლების შენარჩუნება. ასე გააკეთა **შევარდნაძემ**, შემდეგ — **სააკაშვილმა.**

**— რას იტყვით მინისტრებზე? მაგალითად, ფინანსთა მინისტრს ბრალს მევახშეობაში სდებენ, ამის ფაქტებიც არსებობს; გვყავს განათლების მინისტრი ჯეჯელავა, რომელიც არაადეკვატურია... ვის მოჰყავს ეს ადამიანები ხელისუფლებაში, ვინ წყვეტს ამ საკითხს?**

— ეს სისტემური ხარვეზია. საზოგადოებას აქვს განცდა, რომ არავინ არაფერს წარმოადგენს, შესაბამისად, კონცენტრირებული აგრესიაც არ აქვთ. არ ვიცი, **ქუმსიშვილს** რა უკეთებია, მაგრამ მინისტრის პოსტზე მის ყოფნას ფასი არ აქვს... ქუმსიშვილი კი არა, პრემიერი **ღარიბაშვილი** ორი წლის თავზე თანამდებობიდან წავიდა და სამ დღეში აღარავის ახსოვდა.

ხალხმა იცის, რომ ხელისუფლებაში მყოფი არც ერთი ადამიანი გადაწყვეტილების მიმღები არ არის. ისინი პასუხისმგებლები არ არიან არაფერზე. ამბობენ, ქუმსიშვილი მევახშეაო, ჯეჯელავა — კომბლე... მაგრამ მერე რა? ასეთია მიდგომა. მინისტრების საქციელი აგრესიას არ იწვევს. ისინი არაფერს წარმოადგენენ. ყველა პაიკია, პაიკების მიმართ კი აგრესიის გამოხატვა არასერიოზულია.

**— თქვენ იყავით „ქართული ოცნების“ გუნდში, თანაც — მნიშვნელოვანი პერსონა. რას იტყვით, რა ხდება ივანიშვილის კარზე, ივანიშვილს ხელს აძლევს ასეთი პაიკების ყოფნა ხელისუფლებაში?**

— ამ გუნდში აღარ ვარ. თავისუფლება ვამჯობინე. თავიდანვე განვაცხადე, ციკლი დასრულდება და წავალ-მეთქი, მაგრამ ადვილად ვერ მოვახერხე გამოსვლა, დიდი მორალური ზარალიც მივიღე... ივანიშვილი ცდილობდა ჩემს შენარჩუნებას. თავდაპირველად ვმონაწილეობდი გუნდის ფორმირებაში და პასუხისმგებლობასაც ვიღებ ამაზე, თუმცა მაქვს გამამართლებელი მოტივიც. გარდამავალ პერიოდში მოვიყვანეთ გუნდი ფილტრაციის გარეშე. ვცდილობდით, ხელისუფლებაში მოგვეყვანა ისეთი ადამიანები, რომლებიც დაიკისრებდნენ ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობას. ეს იყო გადაწყვეტილება იმ ხალხის, რომელიც პოლიტიკაში მუდმივად დარჩენას არ აპირებდა, ასე ფიქრობდა ბიძინა ივანიშვილიც. მე გამოსვლა მოვახერხე, მაგრამ ივანიშვილი — ვერა, რადგან არ ხერხდება ფორმირება ისეთი გუნდისა, რომელიც დაიკისრებს პასუხისმგებლობას.

პარადოქსულ ამბავს გეტყვით: **ივანიშვილს აღარ სურს ძალაუფლება, ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები კი კომფორტულ პირობებში არიან — რაც უნდა გაფუჭდეს, ყველაფერი ივანიშვილს ბრალდება. ასე მუშაობა ადვილია, ამიტომაც ივანიშვილს წასვლის საშუალება აღარ აქვს, გამოსასვლელ კარს ვეღარ პოულობს.**

**— რა თქმა უნდა, დაბრალდება ივანიშვილს... მაგალითად, ერთი საშუალოზე დაბალი დონის ადვოკატი და უფრო დაბალი დონის პოლიტიკოსი აგერ უკვე მეორე მოწვევის პარლამენტარია. ეს არ არის ბიძინას ბრალი?**

— მართალია. ჩვენ მივიღეთ პოლიტიკურად გამოუცდელი ელიტა, მაგრამ ეს არ არის პრობლემა, შეიძლება იყო გამოუცდელი პოლიტიკოსი, მაგრამ განვითარდე, გაიზარდო. ჩვენ კი უკუპროცესის მომსწრენი ვართ — ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსები დეგრადაციას განიცდიან.

ივანიშვილის პასუხიმგებლობას იმაში კი არ ვხედავ, რომ ავტორიტარულად მართავს, მან ვერ მოახერხა ისეთი ადამიანების მოყვანა, რომლებიც განვითარდებოდნენ, ვერ შექმნა ლიდერები. ყველა მომსახურე პერსონალის წარმომადგენელია.

**— ბევრს მიაჩნია, რომ კვირიკაშვილისნაირი უნიათო პრემიერი საქართველოს არ ჰყოლია...**

— **კვირიკაშვილზე** აღმატებულ რეგისტრში ვერ ილაპარაკებ, მაგრამ აგრესიასაც ვერ გამოავლენ. ის ბევრს ლაპარაკობს სიყვარულზე, რაც მისი საქმე არ არის...

**ივანიშვილის არჩევანი ყოველთვის შეზღუდულია, ცდილობს, მაგრამ წრე ვიწროვდება, ხალხი შემოეცალა; შერჩა ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურ ინკუბატორში დაიბადნენ.** ზოგი სპორტიდან მოვიდა, ზოგი — კინოდან, ზოგი ბუღალტრობდა. მათი მხრიდან სისხლიან ცხრა წელზე აპელირება სასაცილოა, რადგან, როდესაც იმ ცხრა წელს ვაპროტესტებდით, ბევრი მათგანი ბრაზდებოდა კიდეც... არ მოვწონდით, მუშაობაში ხელს ვუშლიდით. ბიძინას დიდი მინუსია, რომ არ განავითარა პოლიტიკური ელიტა. მან არასწორი მენეჯმენტი აირჩია. არსებობს ორი სახის მენეჯმენტი: ერთი, როდესაც ადამიანში საუკეთესოს წარმოაჩენ და ხელს შეუწყობ, და მეორე, როდესაც ადამიანში ეძებ ცუდს, როგორც კომპრომატს და ამით აყალიბებ სისტემას. ივანიშვილმა მეორე აირჩია. ის აქცენტს ადამიანის სისუსტეებზე აკეთებდა, რაც განვითარებას უშლის ხელს.

**— გამოდის, რომ ივანიშვილს ხელს აძლევს განუვითარებელი ხელისუფლება...**

— შევარდნაძეც ასე იქცეოდა. ყველაფერს ადამიანების სისუსტეებზე აგებდა.

**— რჩევებს თუ იღებს ივანიშვილი?**

— სანამ მე იქ ვიყავი, ვკამათობდით, ვდაობდით. წრე, რომელიც მას შეედავება, პატარაა, სულ ორი-სამი ადამიანი. ვიწრო წრეში **დავით უსუფაშვილიც** იყო. კამათში არასდროს მონაწილეობდა ღარიბაშვილი. დღეს მეჩვენება, რომ კამათი და დავა ამა თუ იმ საკითხზე აღარ არის, რადგან **ხელისუფლებას დავალების უსიტყვოდ შესრულება ურჩევნია, ვიდრე ინიციატივის გამოჩენა.**

**— ვის და რა დავალებებს ასრულებენ ხელისუფლების წარმომადგენლები?**

— ქვეყანაში ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემაა მოუგვარებელი, რადგან გადაწყვეტილების მიღების უნარი არ აქვთ. კომუნიკაციას ვერ ახერხებენ იქ, საიდანაც დავალება უნდა მიიღონ, ყველაზე მნიშვნელოვანი დავალება...

**— მსოფლიო დიდი ცვლილებების მოლოდინშია მას შემდეგ, რაც ამერიკაში აირჩიეს ახალი პრეზიდენტი, რომელიც ლიბერალების წინააღმდეგ ილაშქრებს. საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა კი არ შეცვლილა, კვლავ ნატოში შესვლაზე საუბრობენ. მოკლედ, როგორც იტყვიან, მსოფლიო ალთასაა, ხოლო საქართველო — ბალთას...**

— ერთ დღეში ყველაფრის შეცვლა შეუძლებელია, არ გამოვა. ჩვენ თუ რამეს დავთმობთ, ეს ისე უნდა გავაკეთოთ, რომ სარგებელი ვნახოთ, გადაგვიხადონ. ოფიციალურად რაიმეს გაცხადება დახურდავებას ნიშნავს.

გლობალიზაციის პროექტი, რბილად რომ ვთქვათ, შეფერხდა და დაიწყო კონსერვატორული კონტრრევოლუცია.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამერიკის ახალი პრეზიდენტის — **ტრამპის** განცხადება. **მან თქვა, რომ ნაცია, რომელსაც საზღვრები არ აქვს, არ შეიძლება ნაციად იწოდებოდეს. ეს მნიშვნელოვანი განცხადებაა და არ შეიძლება ფუჭად ნასროლ სიტყვად ჩათვალო.**

დიდი ამბავია ატეხილი იმაზე, რატომ არ წავიდნენ ნატოს სამიტზე ქართველები. ნატოს თავისი გასჭირვებია, დღის წესრიგში საქართველო არ დგას.

**— თქვენ პოლიტიკურ ვაჭრობაზე საუბრობთ, შეძლებს ეს ხელისუფლება მსგავსი ვაჭრობის წარმოებას?**

— ამ პოლიტიკური გუნდის იმედი არ მაქვს, ამას პირდაპირ გეტყვით.

რთული წელიწადი გვექნება. სოციალური პრობლემების მოგვარება წამყვანი საკითხი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ქართველს არ უყვარს „მშიას“ ძახილი.

პროტესტი არის, მაგრამ კონსოლიდაციის პრობლემაა. წარმმართველი ძალა არ არსებობს, მაგრამ ხელისუფლებას სიმშვიდის უფლება არ აქვს. მესამე ძალაზე მოთხოვნა არსებობს, სამზარეულოში ჩაბუდებული პროტესტი ელოდება ახალს, რაც, დიდი ალბათობით, გამოჩნდება კიდეც.

**«ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსები დეგრადაციას განიცდიან»**

**«ივანიშვილს აღარ სურს ძალაუფლება, ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები კი კომფორტულ პირობებში არიან — რაც უნდა გაფუჭდეს, ყველაფერი ივანიშვილს ბრალდება. ასე მუშაობა ადვილია, ამიტომაც ივანიშვილს წასვლის საშუალება აღარ აქვს, გამოსასვლელ კარს ვეღარ პოულობს»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

---

მსოფლიო

## ტრამპმა იუსტიციის მინისტრი იმიგრაციის შესახებ განკარგულების შეუსრულებლობის გამო გაათავისუფლა

**თეთრი სახლის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აშშ-ის გენერალური პროკურორის და იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი სალი იეითსი იმიგრაციის შესახებ განკარგულების შესრულებაზე უარის თქმის გამო თანამდებობიდან გაათავისუფლა.**

უწყებას დროებით ვირჯინიის შტატის საოლქო პროკურორი **დანა ბოენტე** გაუძღვება, სანამ აშშ-ის სენატი გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ჯეფ სეშნს არ დაამტკიცებს. „გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა სალი იეითსმა იუსტიციის სამინისტროს უღალატა, როდესაც უარი განაცხადა, შეესრულებინა კანონიერი ბრძანება, რომელიც აშშ-ის მოქალაქეების დაცვას ითვალისწინებს“, — ნათქვამია თეთრი სახლის განცხადებაში.

დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაში აღნიშნეს, რომ სალი იეითსი ყოფილი პრეზიდენტის — ბარაკ ობამას გუნდში მუშაობდა. „ქალბატონი იეითსი ობამას ადმინისტრაციის დანიშნულია. იგი არ ემხრობა საზღვრების დაცვასთან და არალეგალურ იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს“, — აღნიშნეს თეთრ სახლში.



**სამართლიანობის აღდგენა არა მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსანთა სისხლისსამართლებრივ დევნასა და წართმეული ქონების დაბრუნებას გულისხმობდა, არამედ იმ მაღალი თუ შედარებით დაბალი საეკლესიო იერარქების მხილებასაც, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდნენ, რაც ხდებოდა ქვეყანაში და კონკრეტულად — სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ან პილატესავით დუმდნენ, ან ოსანას უგალობდნენ ზნედაცემულ სააკაშვილს, რომლის უზარმაზარი ფოტო-ბანერებიც წმინდა ხატების გვერდით „ესვენათ“ და მრევლს ნაცებისთვის ხმის მიცემას უქადაგებდნენ.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორც აფთრები, ისე ელოდებიან «მეუფე ყანდურები» სიკვდილს პატრიარქისა

## მეუფეო, დაგვიძახეთ, ქუდზე კაცი გამოვალთ და გაგვიძეხით, რათა ყანდურთა ტყვეობიდან დავიხსნათ ჩვენი დედაეკლესია, ანუ სრულიად საქართველო!

**რატომ ვერ აღდგა სამართლიანობა? — აი კითხვა, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში აწუხებდა ქართველი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც თავს მოტყუებულ-გაბითურებულად თვლის, ანუ საზოგადოების უმრავლესობას.**

დიახ, არ შემშლია, აწუხებდა და, სამწუხაროდ, აღარ აწუხებს, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ ქართველ კაცს ლუკმაპურის შოვნა გაუხადა საოცნებოდ. ჰოდა, ქართველმა საზოგადოებამაც ხელი ჩაიქნია — ჯერ, როგორც არაერთხელ ახლო წარსულში, შარშანდელ არჩევნებშიც გაყიდა ხმები; შემდეგ, უკვე წელს, უდრტვინველად მიიღო 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის ერთ-ერთი იდეოლოგისა და შემოქმედის, **გიგი უგულავას**, საპატიმროდან გათავისუფლება და კიდევ უფრო მშვიდად მიიღებს რეჟიმის მთავარი ჯალათის, **ვანო მერაბიშვილის**, გათავისუფლებასაც...

სამართლიანობის აღდგენა არა მხოლოდ სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსანთა სისხლისსამართლებრივ დევნასა და წართმეული ქონების დაბრუნებას გულისხმობდა, არამედ იმ მაღალი თუ შედარებით დაბალი საეკლესიო იერარქების მხილებასაც, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მშვენივრად იცოდნენ, რაც ხდებოდა ქვეყანაში და კონკრეტულად — სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ან პილატესავით დუმდნენ, ან ოსანას უგალობდნენ ზნედაცემულ სააკაშვილს, რომლის უზარმაზარი ფოტო-ბანერებიც წმინდა ხატების გვერდით „ესვენათ“ და მრევლს ნაცებისთვის ხმის მიცემას უქადაგებდნენ.

**თუ სამოქალაქო სამართლიანობის არაღდგენა პირადად ბიძინა ივანიშვილის სინდისზეა, ეკლესიის მიერ თავის წიაღში ჩაბუდებულ ქვაბავაზაკთა არმხილების ცოდვას ერთი „ადრესი“ არ აქვს.**

ჩვენს მკითხველს უსათუოდ ემახსოვრება, რომ ანაფორიანი ავაზაკების მხილება ქართულ მედიასივრცეში პირველმა „საქართველო და მსოფლიომ“ გაბედა ჯერ კიდევ სააკაშვილის ზეობის ხანაში — 2012 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა თქვენი მონა-მორჩილის წერილი სათაურით „მეუფე ყანდური“, რომელიც ფოთი-ხობის მიტროპოლიტ **მეუფე გრიგოლის (ერისკაცობაში გურამ ბერბიჭაშვილი)** უკეთურობას ეძღვნებოდა.

მას შემდეგ „მეუფე ყანდური“ ყველა ანაფორიანი ყაჩაღის სინონიმია.

შარშან, ივნისში, მეუფე გრიგოლ-ყანდური კვლავ მოექცა ჩემი კალმის სამიზნეში, როდესაც გამოვაქვეყნე წერილი „ვნებანი ყანდურისანი“, ოღონდ არა „უკრაინაში დაკარგული სიყვარულისთვის“, არამედ ნეოლიბერალური გამოხდომის გამო — **მეუფე გრიგოლ-ყანდური სინოდის იმ წევრთა შორის აღმოჩნდა, რომლებიც ჩვენს უწმინდესსა და უნეტარეს პატრიარქს დაუპირისპირდნენ და კუნძულ კრეტაზე მსოფლიო პატრიარქის (რომელსაც აშშ-ის ლიბერტარიანული ძალები აფინანსებენ და, შესაბამისად, მართავენ კიდეც) — ბართლომეოსის მიერ მოწვეულ ეკუმენისტურ კრებაზე საქართველოს დასწრებას ითხოვდა.**

წინამდებარე წერილის დაწერა კი განაპირობა ამა წლის 11 იანვარს „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ სათაურით „რუხი მიტროპოლიტი“. ეს ინტერვიუ ჩემმა კოლეგა **ეკა ნასყიდაშვილმა** სოფელ სალხინოს საკრებულოს წევრს, ბატონ **გია ჯეჯელავას** ჩამოართვა. ბატონი გია მრავალ უკეთურობაში ამხელს ჭყონდიდელ მეუფე პეტრე-ყანდურს.

ამ ზაფხულს ჩემს დედულეთში, მარტვილში, გახლდით და იქ არა მხოლოდ ხსენებულ ინტერვიუში მოყვანილი ფაქტების შესახებ შევიტყვე, არამედ ბევრი სხვა რამეც... კერძოდ ის, რომ **პეტრე-ყანდურის მთვრალ დისშვილს ვიღაც გაუტანია მანქანით, მაგრამ ეს საქმე ყოვლისშემძლე ბიძას მიუჩუმათებია და მკვლელი არ დაუსჯიათ.**

თუმცა მთავარი მაინც ის არის, რომ **პეტრე-ყანდური იმ ლიბერალთა რიგებშია, რომლებიც, სამწუხაროდ, სინოდის უმრავლესობას შეადგენენ.**

**გახსოვთ, ალბათ, როგორ მიიღო ყანდურთა უმრავლესობით დაკომპლექტებულმა წმინდა სინოდმა, მიუხედავად პატრიარქის საპირისპირო პოზიციისა, კანონი, რომლითაც საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია უფლებრივად არა მხოლოდ ტრადიციულ კონფესიებს (იუდაიზმი, კათოლიკები, ისლამი), არამედ სატანისტურ სექტებსაც (ბაპტისტები, იელოვას მოწმეები და სხვ.) გაუთანაბრდა.**

აქედან გამომდინარე და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ აქედან, ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ — ჩვენს საყვარელ, უფრო მეტიც, სათაყვანებელ პატრიარქს გაუჭირდა ეკლესიის მართვა...

**როგორც აფთრები, ისე ელოდებიან „მეუფე ყანდურები“ სიკვდილს პატრიარქისა, რომელიც ნაცებმა რამდენიმეჯერ მოწამლეს, ბუდარა და ბუდარიხა ხლისტებმა კი მრავალჯერ შეურაცხყვეს.** ჩამოვთვლი მათ, ვინც საკუთარ თავს პატრიარქის ტახტზე ხედავენ:

1. ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის **მიტროპოლიტი დიმიტრი** — პატრიარქის ძმისშვილი და, მიუხედავად ამისა, ლიბერალი;

2. ფოთისა და ხობის ეპარქიის **მიტროპოლიტი გრიგოლი;**

3. ჭყონდიდის ეპარქიის **მიტროპოლიტი პეტრე;**

4. ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის **მიტროპოლიტი დანიელი;**

5. ქუთაის-გაენათის ეპარქიის **მიტროპოლიტი კალისტრატე.**

**ეს მიტროპოლიტები მეტ-ნაკლები ლიბერალები არიან, პატრიარქის კვერთხის დაუფლების მეტ-ნაკლები შანსით, მაგრამ, ყოველგვარი მეტ-ნაკლებობის გარეშე, ყველა მიშისტია!**



**ერი ბერს ეკითხებოდა რჩევას, ბერი — ერს და ასე მიიღებოდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ ფორმულით მოვდივართ უხსოვარი დროიდან და ამითვე გადავრჩებით, თუ, საერთოდ, გვიწერია გადარჩენა**

**ყველა ბოლო წუთამდე ერთგულებდა სააკაშვილს და მის რეჟიმს. ამ ერთგულების მიზეზი კი, მიამიტურად მეგონა, ივანიშვილის მოსვლის შემთხვევაში ახალი რუის-ურბნისის შიშია-მეთქი, რასაც ვწერდი კიდეც 2012 წლის სექტემბერში იმ წერილში, რომელშიც მეუფე გრიგოლი გავაყანდურე პირველად, მაგრამ, რუის-ურბნისი კი არა, ჭაბუა ამირეჯიბის ორმოცზე მწვანე შუქი აუნთო ბიძინამ პატრიარქის კრიტიკას, რაც ე.წ. არასამთავრობოებმა ქართული ეკლესიის განქიქებაში გარდასახეს.**

რა თქმა უნდა, ასოებს ბევრი არ უსმენს, რადგან იციან, რომ მათ ჩვენი დედაეკლესიის კრიტიკა-განქიქებაში ფულს უხდიან, მაგრამ იმას რა ვუყოთ, ხშირად სიმართლეს რომ ლაპარაკობენ? მაგალითად, შავი ჯიპების ყბადაღებულ თემაზე...

**ქრისტესავით ვირით ვერ ივლიან 21-ე საუკუნეში, მაგრამ, ნაცებმა მოისყიდეს თუ მრევლმა აჩუქათ, ხომ შეიძლება ძვირად ღირებული „ნავაროჩენი“ ჯიპები გაყიდონ, რუსული ავტომობილი თუ „უტყდებათ“, იაპონური პატარა ჯიპები შეიძინონ და დარჩენილი ფულით გაჭირვებულ მრევლს დაეხმარონ?!**

**ან ნახეთ, როგორ რეზიდენციებში, რა ფუფუნებაში ცხოვრობენ მეუფე ყანდურები — მიმიძარავს ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს აპარტამენტები!**

თითქოს ძველი კომპრომატები საკმარისი არ იყო და ახალიც გამოამზეურეს ბორჯომ-ბაკურიანის მეუფე **სერაფიმზე**, რომელსაც არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის მცდელობაში, ანუ პედოფილიაში ადანაშაულებენ. ეს ამბავი მრევლის უმრავლესობას არ სჯერა, მაგრამ მთავარი სხვა რამეა... რას ჰგავს მეუფე სერაფიმის შემცვლელი ქორეპიკოპოსის — **მეუფე თეოდორეს (ჭუაძე)** ქადაგება, თავად განსაჯეთ:

**„მთავარი ის არის, რომ ჩვენ არ უნდა გავიშვიროთ თითი ვინმესკენ და არ უნდა ვთქვათ, რომ ამაში ვინმე იყო დამნაშავე. ნუ დაიწყებთ იმის ჩიჩქნას და გამოძიებას, ეს რატომ მოხდა. ღვთის განგებულებაში ჩვენ ვერ ჩავწვდებით, ის თავისთავად გაცხადდება“...**

რა არის ეს, რას ჰქვია „ნუ დაიწყებთ ჩიჩქნას“ და ღვთის რომელ განგებულებას ვერ ვწვდებით?

ეს აი რა არის — **გაუნათლებელ მრევლს ჩააგონებენ, რომ საეროებისგან სასულიერო პირის, მით უმეტეს, მაღალი იერარქების კრიტიკა ცოდვაა, რადგან მეუფეებზე სულიწმინდის მადლია გადმოსულიო.**

არადა, სჯულის კანონში წერია, რომ, თუ საერო პირმა იცის სასულიეროს დანაშაულებრივი ქმედების შესახებ და არ ამხელს მას, ისეთივე სასჯელით მიეზღვება, როგორიც არმხილებულ სასულიეროს უნდა მიზღვოდა.

ამ ფონზე, საერთოდ, **გაუგებარია საპატრიარქოს დუმილი.**

1917 წელს, როდესაც ავტოკეფალია აღვიდგინეთ, სინოდის პარალელურად შეიქმნა ე.წ. საკათალიკოსო საბჭო, რომელშიც შედიოდნენ დიდი ქართველი მამულიშვილები: **სიმონ ჯანაშია, კორნელი კეკელიძე, ივანე ჯავახიშვილი** და სხვა სასიქადულო პიროვნებები. ეს საბჭო წმინდა **ამბროსი ხელაიას** პატრიარქობის პერიოდშიც ფუნქციობდა, ანუ ერი ბერს ეკითხებოდა რჩევას, ბერი — ერს და ასე მიიღებოდა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ ფორმულით მოვდივართ უხსოვარი დროიდან და ამითვე გადავრჩებით, თუ, საერთოდ, გვიწერია გადარჩენა.

დასასრულ, მივმართავ ურბნისისა და რუისის ეპარქიის მიტროპოლიტს — **მეუფე იობს:**

ხომ ხედავთ, რა დღეშია ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო?

**ილუპება ქრისტეს კუნძული, მოციქულთა სწორი, წმინდა ნინოს მონათლული და მას აქეთ მრავალი ქართველი წმინდანის სისხლით გასხივოსნებულ-მადლმოსილი სამშობლო ჩვენი!**

ღმერთმა დიდი დღე მისცეს საქართველოს სიყვარულში დამაშვრალ უწმინდესსა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქს, რომლის შემცვლელადაც მხოლოდ თქვენ მიაჩნიხართ მართლმადიდებელ ქართველთა უმეტეს ნაწილს.

მეუფეო, დაგვიძახეთ, ქუდზე კაცი გამოვალთ და გაგვიძეხით, რათა ყანდურთა ტყვეობიდან დავიხსნათ ჩვენი დედაეკლესია, ანუ სრულიად საქართველო!..

**დავით მხეიძე**

**P.S. ძალიან კარგად მესმის, „რა შარში გავყავი თავი“, რა ძალებს „ვესროლე ხელთათმანი“ ამ წერილით, მაგრამ ყანდურების რისხვისა არ მეშინია, რადგანაც, სხვამ თუ არავინ, უფალმა ხომ იცის, რასაც ვაკეთებ, მხოლოდ სამშობლოს სიყვარულით...**

**ეს მიტროპოლიტები მეტ-ნაკლები ლიბერალები არიან, პატრიარქის კვერთხის დაუფლების მეტ-ნაკლები შანსებით, მაგრამ ყოველგვარი მეტნაკლებობის გარეშე, ყველა მიშისტია!**

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ეს აჟიოტაჟი საერთოდ არ არის საჭირო. კონსტიტუცია უნდა ვაქციოთ საერთო სახალხო დოკუმენტად და მასში ყველამ ის ჩაწეროს, რაც გაუხარდება. ბოლოს კი ავიღოთ ეს ჩვენი კონსტიტუცია და, ვისაც არ დაგვეზარება, წავიკითხოთ! ეგაა სულ.**

# საქართველოს კონსტიტუცია თუ «შთაბეჭდილებების წიგნი»?

**პოლიტიკიდან შორს ვერსად წასულმა და აქვე, შორიახლოს მიმალულმა ყოფილმა პირველმა რესპუბლიკელმა, ასევე საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ, მაგრამ ჯერ ისევ დავით უსუფაშვილმა, კიდევ ერთელ შეახსენა თავი ქართველ საზოგადოებას. როგორც ჩანს, პოლიტიკური პარტიისა თუ კოალიციისთვის საჭირო შეიქნა, რომ უსუფაშვილის სახელი ისევ ამოტივტივებულიყო ქართულ მედიაში. საამისოდ კი უკეთესი თემა ვერ მოიფიქრეს, გარდა იმისა, რომ კვლავ საქართველოს კონსტიტუციაში ჩასაწერ სისულელეზე დაეწყოთ საუბარი.**



პრინციპში, ეს მოსალოდნელიც იყო. აბა, სხვა რით შეიძლება შეახსენოს თავი საზოგადოებას **დავით უსუფაშვილის** მსგავსმა, „არც თევზი და არც ხორცი“ რომ არის, ისეთმა პოლიტიკოსმა? მარიხუანის საჯაროდ დათესვა არც მის ხასიათს უხდება და არც იმიჯს. უეცრად ვერც წივილ-კივილს ატეხს პოლიტიკოსი, რომელსაც თვით დიადმა ბიძინამაც კი „ყველაზე დინჯის“ სტატუსი უწყალობა. რაღა დარჩა? — სწორედ „უდინჯესი“ სპეკულაცია ქვეყნის საგარეო კურსით, აქაოდა, ჩემს მეტს არავის ენაღვლება ჩვენი სახელმწიფოს ძალიან თავისუფალი და დემოკრატიული ბედ-იღბალიო. აი, სწორედ ასეთი „სოუსით“ დავით უსუფაშვილმა კიდევ ერთხელ მოითხოვა, საქართველოს კონსტიტუციაში ჩავწეროთ ფრაზა: **„საქართველოს არის სახელმწიფო, რომელიც მუდამ მიისწრაფვის ევროალტანტიკური სივრცისკენ“**. შესაძლოა სხვა ფორმულირებაც, მაგრამ მთავარია, ძირითადი აზრი ეს იყოსო, — დაგვარიგა ყოფილმა რესპუბლიკელმა.

ალბათ, წამოცდენა იყო, მაგრამ მაინც საგულისხმოა ამ ფრაზიდან ამოკრეფილი სიტყვები: „მუდამ“ და „მიისწრაფვის“. თუ კარგად ჩავუღრმავდებით, საქართველო გამოდის სახელმწიფო, რომელიც მუდამ მხოლოდ მიისწრაფვის ევროატლანტკური სივრცისკენ, მაგრამ იქ ვერასოდეს მოხვდება. თუ უსუფაშვილის წინადადებას ასე შევხედავთ, მაშინ შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა!

**თუკი საქართველოს ეგ ბედი უწერია, რომ მას ამიერიდან ქვეყნიერების აღსასრულის დღემდე სულ ასეთი შტერები უნდა მართავდნენ და სულ ამერიკის ელჩის წარბის აწევაზე დამოკიდებული ხელისუფლება უნდა გვყავდეს, ფაქტია, მართლაც რეალურად ვიქნებით ქვეყანა, რომელიც „მუდამ მიისწრაფვის“ ევროატლანტიკური სივრცისკენ და მას არასოდეს იღებენ იქ.**

ასეთი მდგომარეობა უკვე იმდენი ხანია, გრძელდება, რომ კიდევ რამდენიმე წელიც და ჩვენთვის ეს სავსებით ბუნებრივი მდგომარეობა გახდება. აი ამ „მუდმივი სწრაფვის“ გარეშე აშკარად ცუდად გავხდებით და თავბრუსხვევა და გულყრები დაგვეწყება.

მართალია, გასულ კვირაში, ცოტა არ იყოს, შეგვაშინა ყოფილმა „თავისუფალმა დემოკრატმა“, მაგრამ საბოლოოდ ბიძინას ფულით „შებოჭილმა“ ევროინტეგრაციის მინისტრმა **ვიქტორ დოლიძემ** როცა განაცხადა, — დარწმუნებით გეუბნებით, რომ საქართველო ევროპასთან უვიზო მიმოსვლის უფლებას გაზაფხულზე მიიღებსო! — თითქოს „საშიშროება“ შეიქმნა იმისა, რომ ჩვენთვის ჩვეული მუდმივი სწრაფვის რეჟიმი დაირღვეოდა, მაგრამ, **თუ კარგად დავუკვირდებით ბატონი მინისტრის განცხადებას, აშკარად შევამჩნევთ, რომ მას სულაც არ დაუკონკრეტებია, რომელი წლის გაზაფხულზე დავიწყებთ სარგებლობას ევროპის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლით. ასე რომ, შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ, წინ კიდევ ბევრი გაზაფხულია და მუდმივი სწრაფვაც თუნდაც 2097 წლის გაზაფხულამდე შეგვიძლია განვაგრძოთ.**

**აკი, აგერ უკვე ჩვენი თანამშრომლობაც ნატოსთან ისეთი „ღრმა და ყოვლისმომცველია“, რომ ჩრდილოატლანტიკური სამხედრო ალიანსის უახლოეს სამიტზე, უბრალოდ, დასწრების უფლებასაც კი აღარ გვაძლევენ.**

**თუ მაინცდამაინც გვინდა, როგორმე მოვუფრთხილდეთ ჩვენს მრავალტანჯულ კონსტიტუციას, გადავარჩინოთ «გაუპატიურებებისგან», ცვლილებებისგან, გაგლეჯვისა და გამოგლეჯვისგან, საამისოდ არსებობს ერთადერთი გზა (ისევ და ისევ ქართული ხასიათის გათვალისწინებით), საჭიროა სულ მარტივი რამ: ნაცვლად იმ ფრაზებისა, რომელთა კონსტიტუციაში ჩაწერასაც ითხოვს დავით უსუფაშვილი ან კიდევ ვინმე სხვა, კონსტიტუციას ბოლოში მივაწეროთ ფრაზა: «ვინც აწი ეს შეცვალოს, იმის დედაც...»**

არ გვიყვარს ქართველებს ეს ვადების დათქმა და დროის დაზუსტება. ალბათ, ამიტომ არც ჭეშმარიტ ქართველს, დავით უსუფაშვილს, დაუზუსტებია საქართველოს კონსტიტუციაში ჩაწერილმა იმ ფრაზამ, რომ საქართველო მუდამ უნდა ისწრაფვოდეს ევროატლანტიკური სივრცისკენ, როდემდე, რომელ წლამდე, რა ვითარებამდე უნდა იმოქმედოს.

მსოფლიო პოლიტიკა, მით უფრო, ოცდამეერთე საუკუნეში, ლამის ყოველ საათში იცვლება და სულაც არ არის მოულოდნელი, ასე, 80 ან 120 წელიწადში ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რომ დაიშალოს ან მასში შემავალი 26 ქვეყნიდან თუნდაც ნახევარმა უარი თქვას იქ დარჩენაზე და ამ ალიანსიდან გავიდეს.

ან კიდევ უარესი: დავუშვათ, ევროპაში ისეთი საშინელება მოხდა, როგორიც აგერ, ამ სამი მეოთხედი საუკუნის წინათ — როცა ევროპის ქვეყნების ხელისუფლებაში დიქტატორი, ფაშისტი, რასისტი, კაციჭამია მოვიდა და ევროპა მთლიანად ან მისი დიდი ნაწილი შავ-ბნელი ძალების თავშესაფრად იქცა.

**მერე?**

**ჩვენ, გამომდინარე საქართველოს კონსტიტუციიდან, მაინც „ევროატლანტიკური“ გვიჭირავს?**

კიდევ უფრო შორს წავიდეთ: მოხდა სასწაული და აღმოჩნდა, რომ რომელიმე უცხო პლანეტაზე არის სიცოცხლე და ისინი თავს დაგვესხნენ და დაიპყრეს დედამიწა! აღარ არსებობს არც ნატო, არც ევროკავშირი და არაფერი საერთოდ. რას ვაკეთებთ? ვერც ვერაფერს — ჩვენ ხომ კონსტიუტუციაში გვიწერია, — მაინც ევროატლანტიკური სივრცისკენ უნდა განვაგრძოთ სწრაფვა.

თუ დავაკვირდებით, აქ ერთგვარი „ქართული ხასიათის“ შტრიხი კიდევ არის ჩადებული. ესაა სიზარმაცე!

დავანებოთ თავი ფანტასტიკას და რეალურად ვთქვათ: **ნუთუ არ გვეზარება მსოფლიო პოლიტიკის ყოველი ცვლილებისას ახალ-ახალი საგარეო ვექტორების მოფიქრება, ახალი მსოფლიო რეალობის შესაბამისი ლავირება?** აგერ, ძმაო, გვეწერება კონსტიტუციაში პირდაპირ: ჩვენ მივისწრაფვით ევროატლანტიკური სივრცისკენო და მორჩა! წამოწექი მხართეძოზე და გადაბრუნდი კედლისკენ! **თავი იმ ქვეყნებმა იმტვრიონ, რომლებსაც ეს ასე გარკვევით არ უწერიათ კონსტიტუციაში და ნებისმიერ ახალ მსოფლიო გამოწვევას უნდა შეუთანხმონ, შეუწყონ, შეუსაბამონ თავიანთი საგარეო კურსი და ცვალონ და ცვალონ ვექტორების მიმართულება თუნდაც სულ მცირე გრადუსებით.** აუ, მეტი საქმე არ გვაქვს! ამდენ ხათაბალას არ ჯობია, ჩაწერე ამ დალოცვილ კონსტიტუციაში და ეგაა?! დაისვენე რა!

აბა, კარგად დაუკვირდით, მართლაც არ არის ურიგო. ეგ კი არა, ჩემი ნება რომ იყოს, კიდევ ბევრ რაღაცას ჩავწერდი საქართველოს კონსტიტუციაში ისეთს, რის გამოც თავპირს ვალეწავთ ერთმანეთს საშინაო და საგარეო მიმართულებითაც.

მართლაც და, მაგის დედაც არ ვატირე?! **ავიღოთ და, საერთოდ, ყველაფერი ჩავწეროთ ამ დალოცვილ კონსტიტუციაში, ყველაფერი რაც „გაგვისწორდება“ და დავისვენოთ, დავწყნარდეთ, დავმშვიდდეთ!**

აი, მაგალითად, ხომ ცნობილია, რომ დიდი ხანია, საზოგადოების ნაწილი ითხოვს, კონსტიტუციაში „ოჯახის სტატუსიც“ განისაზღვროს, ანუ კონსტიტუციაში ჩავწეროთ, რომ „ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა და არანაირ სხვა კავშირს ოჯახი არ დაერქმევა“.

თუმცა, როგორც უსუფაშვილის ინიციატივას, ისე ამ უკანასკნელსაც ჰყავს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები. ამასთანავე, ამის კონსტიტუციაში ჩაწერას კიდევ საპარლამენტო განხილვები სჭირდება და ათასი უბედურება. **მე თუ დამიჯერებთ, მთელი ეს აჟიოტაჟი საჭირო არ არის. კონსტიტუცია უნდა ვაქციოთ საერთო-სახალხო დოკუმენტად და მასში ყველამ ის ჩაწეროს, რაც გაუხარდება. ბოლოს კი ავიღოთ ეს ჩვენი კონსტიტუცია და, ვისაც არ დაგვეზარება, წავიკითხოთ! ეგაა სულ.**

თუ გახსოვთ, საბჭოთა პერიოდში სხვადასხვა დაწესებულებაში იდო „შთაბეჭდილებების წიგნი“. ნებისმიერ სტუმარს შეეძლო ჩაეწერა მასში თავისი სურვილები, აზრები, შთაბეჭდილებები ამ დაწესებულების შესახებ. აი, ზუსტად ეგრე უნდა გავაკეთოთ — **დავდოთ ეს ჩვენი კონსტიტუცია სადმე, ყველასთვის გამოსაჩენ და ხელმისაწვდომ ადგილას და, ვისაც მოუნდება, მივიდეს იქ, ჩაწეროს, რაც უნდა. აღარც ჩხუბი იქნება მერე, აღარც — კამათი და აღარც — ერთმანეთის დაჭმა.**

გასაგებია, რომ ვიღაც ითხავს — მერე კანონიო? მერე სახელმწიფოებრიობაო? მერე სერიოზულობაო?

კი, მაგრამ, უამისოდ ხედავთ სადმე კანონს, სახელმწიფოებრიობასა და სერიოზულობას? რომელ ხელისუფლებასაც როგორც მოეპრიანება, ამ ჩვენს კონსტიტუციას ისედაც ისე ცვლის. უკვე იმდენი ცვლილებაა შეტანილი, ალბათ, საწყალი კონსტიტუცია, სარკეში რომ ჩაიხედოს, საკუთარ თავს ველარც იცნობს.

მაშ, რაღა აზრი აქვს იმას, რომ ამ დოკუმენტს **ქვეყნის მთავარი კანონი — კონსტიტუცია** ჰქვია?!

**და, თუ მაინცდამაინც გვინდა, როგორმე მოვუფრთხილდეთ ჩვენს მრავალტანჯულ კონსტიტუციას, გადავარჩინოთ „გაუპატიურებებისგან“, ცვლილებებისგან, გაგლეჯვისა და გამოგლეჯვისგან, საამისოდ არსებობს ერთადერთი გზა (ისევ და ისევ ქართული ხასიათის გათვალისწინებით), საჭიროა სულ მარტივი რამ: ნაცვლად იმ ფრაზებისა, რომელთა კონსტიტუციაში ჩაწერასაც ითხოვს დავით უსუფაშვილი ან კიდევ ვინმე სხვა, კონსტიტუციას ბოლოში მივაწეროთ ფრაზა: „ვინც აწი ეს შეცვალოს, იმის დედაც...“**

**დავდოთ ეს ჩვენი კონსტიტუცია სადმე, ყველასთვის გამოსაჩენ და ხელმისაწვდომ ადგილას და, ვისაც მოუნდება, მივიდეს იქ, ჩაწეროს, რაც უნდა. აღარც ჩხუბი იქნება მერე, აღარც — კამათი და აღარც — ერთმანეთის დაჭმა**

ჩვენს ხარჯზე გააფუჭა, ჩვენ გაგვიფუჭა და ჩვენივე ხარჯზე მშვიდად გადაადგილდება. იმას აღარ ვამბობ, ისევ ჩვენი ხარჯით ბაქრაძე და მისი მეგობრები შვილებს ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში რომ აძლევენ განათლებას, წლიურად ოცი ათას დოლარს რომ იხდიან და ეგეც ჩვენს ხარჯზე, ბატონო ბიძინა, მერე ისევ მაგათი შვილები რომ იყვნენ ხელისუფლებაში...სხვასაც ჰყავს შვილები და იქნებ მათ უფრო მეტად უნდათ სწავლა, მაგრამ... დაცვა არ ჰყავს მათ მამებს, ჩვენს ხარჯზე დანიშნული დაცვა.

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბედის ირონიაა, ბატონო ბიძინა, აბა, რა — მერამდენე წერილს გწერთ და ისევ იმით ვიწყებ, რომ თქვენ მიერ მოწონებულ მორიგ ხეს უთხრიან ძირს და შეკვეთილისთვის ამზადებენ. შეკვეთილში წასაღები ხეების შეკვეთა რომ მიეცით, კი გავიგეთ, მაგრამ სასაცილოც აღარ არის ეს ყველაფერი და, იცით, რატომ? — თოვლი მოვიდა საქართველოში და ხალხი გამათბობელს ვერ რთავს უფულობის გამო, შეშა კიდევ... მთლიან ხეს (თანაც ჯანსაღს) თქვენ გატანენ, თორემ რიგით მოკვდავებს ფიჩხის მოგროვებაც ეკრძალებათ. კიდევ გავიმეორებ, არ ჩანს ეს ყველაფერი მაინცდამაინც ლამაზად და ეგებ სხვა რამ მოიფიქროთ. მანამდე კი...**

# დაცვას მიხედე, ხვედელიძე, დაცვას!

ვიცი, ქართული ფილმები გიყვართ და „ფეოლა“ ნანახი გექნებათ, **იპოლიტე ხვიჩიას** გმირი, ბონდო დოლაბერიძე რომ გაჰკივის ბოლო ხმაზე, **„დაცვას მიხედე, ხვედელიძე, დაცვას, გოლს სხვებიც გაიტანენ...“** როგორც ჩანს, ფეოლასავით შემთხვევით მოხვედრილი ხალხია ხელისუფლებაში, თორემ **დავით ბაქრაძეს** დაცვას როგორ დაუნიშნავდნენ?! კანონში გიწერიათ, თურმე ნებისმიერ პარლამენტარს აქვს უფლება, მოითხოვოს პირადი დაცვა, არ ახსნას მიზეზები და სახელმწიფო ვალდებულია, დაცვა დაუნიშნოს. არადა, პარლამენტარი ხალხის რჩეულია და, წესით, დაცვა კი არა, ხელის გულზე უნდა ატარებდეს ამომრჩეველი, მაგრამ აქ საქართველოა — ჯერ ავირჩევთ, მერე მოსაკლავად დავდევთ ხოლმე და იცით, რატომ? — ისეთ რაღაცებს აკეთებენ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მტერს რომ არ უზამს კაცი. **მთელი ცხრა წელი ბაქრაძემ და მისმა მეგობრებმა იმდენი ქნეს, ხალხს თავი შეაძულეს და ახლა ისევ ხალხის ხარჯზე დაუნიშნა მთავრობამ დაცვა?!** ყველაფერში ლოგიკა უნდა ვეძებოთ, თუ ლოგიკა არ არის, აბსურდი გამოდის და აბსურდია ესეც, ბატონო ბიძინა — **ჩვენს ხარჯზე გააფუჭა, ჩვენ გაგვიფუჭა და ჩვენივე ხარჯზე მშვიდად გადაადგილდება. იმას აღარ ვამბობ, ისევ ჩვენი ხარჯით ბაქრაძე და მისი მეგობრები შვილებს ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში რომ აძლევენ განათლებას, წლიურად ოცი ათას დოლარს რომ იხდიან და ეგეც ჩვენს ხარჯზე, ბატონო ბიძინა, მერე ისევ მაგათი შვილები რომ იყვნენ ხელისუფლებაში.** არა, ვინმეს რამეს კი არ ვამადლი, სამი ცხვრის მეტი არაფერი მაბადია, მაგრამ **სხვასაც ჰყავს შვილები და იქნებ მათ უფრო მეტად უნდათ სწავლა, მაგრამ... დაცვა არ ჰყავს მათ მამებს, ჩვენს ხარჯზე დანიშნული დაცვა.**

აგერ, ამერიკას შეხედეთ. სულ არ დაინტერესდა ახალი პრეზიდენტი იმით, რას იტყოდა მსოფლიო, და თავისი ხალხისთვის სასიკეთო გადაწყვეტილება მიიღო — ქვეყანაში სირიელ ლტოლვილებს არ უშვებს, — ტერორიზმის საფრთხის შემცველიაო; მექსიკასთან კედელს აშენებს, იაფი მუშახელი არალეგალურად შემოდის და ჩემი ხალხი უმუშევარი რჩებაო და ისიც თქვა მაგ დალოცვილმა, ქალს ქალი უნდა ერქვას და კაცს — კაცი, ლგბტ-პირებს ჩემი მხარდაჭერის იმედი ნუ ექნებათო. ჰოდა, აჯანყდნენ არასამთავრობოები, გრანტების დაკარგვის სუნი იყნოსეს და ტრამპს ჰომოფობი უძახეს. ეგ კი არა და, სექსუალური უმცირესობის ერთ-ერთმა ქართველმა დამცველმა, **ბაია პატარაიამ** განაცხადა, **ტრამპის** პოლიტიკას მეც ვაკრიტიკებო, ანუ **პატარაიამ ტრამპს გაუტრამპა, ხმა ამოიღო და რკინის ქალამნების ჩაცმასაც აპირებს, — თეთრ სახლში ფეხით უნდა ჩავიდეო.** თუ ხვდებით მაინც, რა დღეში ვართ? — ბაია პატარაია ამერიკის პრეზიდენტის პოლიტიკას აკრიტიკებს და ამ ამბავს ქართული ტელევიზიები მთელი დღე საგანგებოდ ატრიალებდნენ. ვინმემ უთხარით იმ ქალს, არ ჩავიდეს



**დახოცეს ერთმანეთი საკონსტიტუციო კომისიის წევრებმა პარლამენტის ადგილმდებარეობის გამო. ამდენი ხე გადაგაქვთ და, გაუკეთეთ ბორბლები პარლამენტის შენობას ქუთაისში (კი ჰგავს მანქანას) და გააგორ-გამოაგორეთ თბილისსა და ქუთაისს შორის. არ მითხრათ ახლა, რიკოთის გვირაბში არ შეეტევაო... მიშაც არ ეტეოდა, მაგრამ ხომ შეატიეთ 2012-ში და იფიქრეთ ამაზეც**

თეთრ სახლამდე, რა იცი, რა განწყობაზე იქნება იმ დღეს ტრამპი და არ უჩვენოს, როგორ უნდა „კრიტიკა“.

ამ დღეს ველოდი, მოვესწარ... **საქართველო ნატოს მინისტერიალში მონაწილეობას არ მიიღებს.** სანამ პრორუსულობას დამწამებთ, გეტყვით, რომ ეს არის ბოლო წლებში ნატოს მიმართ ყველაზე სწორი გადაწყვეტილება. ამ ორგანიზაციამ არაერთხელ დაამტკიცა, რომ არაფერში ვჭირდებით, არ ვაინტერესებთ, მაპიც კი არ გვაღირსეს, წლებია, და დაგვცინიან, — ნატოს კარზე სათანადოდ ვერ აკაკუნებთო. ვაკაკუნეთ კი არა, **თინას მინისტრობის პერიოდში (ეგეც მაგარი კი მოიფიქრეთ ისე), ხიდაშელის ქალმა ხელები და ფეხები გადაიტყავა, იმდენი აბრახუნა ნატოს კარზე (სხვათა შორის, თინიკოს პარლამენტის თავმჯდომარის კარზე კაკუნი არ სჭირდებოდა, აქეთ აკაკუნებინებდა), მაგრამ გაღებით ხომ არ გაუღეს, შორიდანაც არ დაანახვეს ეგ თქვენი... ნატო.** დაძალებულ ძვალს ძაღლიც არ ეტანებაო, ვაგრძნობინოთ, რომ არ გვინდა, ეგებ სხვანაირად იფიქრონ მერე და... პატივისცემა დავიმსახუროთ ცოტა, თორემ ასე ოლია — მათხოვრის როლში ვართ და, „ფუჩეჩი-ფუჩეჩის“ ნაცვლად, „ნატო-ნატოს“ გავიძახით.

კიდევ ერთმა ქალმა-მინისტრმა ევროკავშირის კარზე აბრახუნა, თანაც სამ მოსამართლესთან ერთად, მაგრამ არც მაგას გაუმართლა — სამივე მოსამართლე ჩაუგდეს. კი გაიძახის ახლა ქალბატონი თეა, ასეთი რამ ხშირად ხდებაო, მაგრამ თურმე 50 წელში ერთხელ ხდება ეს და, ერთბაშად სამივე მოსამართლე რომ ჩააგდეს, ისტორიაში მხოლოდ მეორედ მოხდა. სასამართლო რა დღეშიც არის, კი გეცოდინება, უყურებ, ალბათ, ტელევიზორს და იმასაც ნახავდი, „კაბელების საქმეზე“ დაკავებულები რომ გამოუშვეს. რომც არ გამოეშვათ, ხუთ კვირაში თავისით გამოდიოდნენ, მოსამართლემ გადაწყვიტა ასე და მახსოვს, სატელევიზიო ეთერში რომ თქვით, დამნაშავეები არიან ეგენი, ზუსტად ვიციო და დაასაბუთეთ კიდეც. რა გამოდის? — ან თქვენ, ანუ ქვეყნის პირველი პირი შეცდა უხეშად, ან მოსამართლე და ვისი შეცდომა სჯობს, თავად განსაჯეთ.

**ორივე ქვეყანა, საქართველოც და უკრაინაც, მსხვერპლი შეიქნა საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების უცოდინარი, შეზღუდული ინტელექტის მქონე მარიონეტული პოლიტიკური კლასის მიერ გატარებული სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკისა.**

საგარეო პოლიტიკურ ტრიუმფს კი რუსეთმა სირიაში მიაღწია. ამ ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების მიწვევით, რუსეთი ჩაერთო გეოსტრატეგიულ პაექრობაში შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილ ტერორისტებთან, სირიელ „ამბოხებულებთან“ და პირწმინდად გაანადგურა ისინი; თანაც ისე, რომ შეერთებული შტატები საერთოდ გააძევა სირიის მომავალი პოლიტიკური მოწყობის საკითხზე მოლაპარაკებებიდან. ჟარგონით თუ ვიტყვით, პუტინმა ამერიკელებს „პარაშასთან“ მიუჩინა ადგილი.

### დონალდ ტრამპი, ჰენრი კისინჯერი და დოქტრინა „ანტიჩინეთი“

ნაციონალ-რეალისტური პოლიტიკური მრწამსის მქონე და იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარი **დონალდ ტრამპის** გაპრეზიდენტებით შეერთებული შტატების დამფუძნებელმა ანგლო-საქსურმა ეთნიკურმა ჯგუფმა ისტორიის მოცემულ ეტაპზე უარი უთხრა უნიპოლარიზმზე დამყარებულ ლიბერალურ-გლობალისტურ პროექტს. **დონალდ ტრამპის საგარეო პოლიტიკის რეალისტური და ნაციონალისტური ხედვებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ახალი ადმინისტრაციის პოლიტიკა სხვა საერთაშორისო სუბიექტებთან (საუბარია კონკურენტ სახელმწიფოებზე) აგებული იქნება ამერიკის სახელმწიფო ინტერესების დაცვის პოზიციიდან, რომელიც, თავის მხრივ, უფრო მეტად განამტკიცებს რეალისტურ ხედვას და ნაციონალური ინტერესების დაცვის აუცილებლობაზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის საბოლოო ფორმირებას.** აღნიშნული მოდელი კი დიდ სახელმწიფოებს შორის გეოპოლიტიკურ ვაჭრობას გულისხმობს, რომელსაც კაცობრიობა ისტორიულად ყოველთვის ▶

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთში მრავალფეროვანი იდეოლოგიური მიმდინარეობების არსებობის მიუხედავად, გაიმარჯვა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგისა და იდეოლოგის — ალექსანდრე ჭაჭიას საგარეო პოლიტიკურმა იდეამ, რომელიც ეფუძნება კონსერვატიზმის მოდერნისტულ გაგებას. აღნიშნული იდეოლოგიური დოქტრინის კვინტესენციას წარმოადგენს ამერიკული გლობალიზაციის პროექტის — ერების უნიფიკაციისა და სახელმწიფოთა დესუვერენიზაციის — ალტერნატივად რუსული სახელმწიფოს მიერ ერებისთვის ნაციონალური სახელმწიფოებისადმი ბუნებრივი სწრაფვის იდეის რეალიზაციაში დახმარების გაწევა. უწინარესად, პოსტსაბჭოთა სივრცის ფარგლებში, შემდგომ კი — გლობალური მასშტაბით.**

◀ მიჰყავდა გავლენის სფეროებად დაყოფილი მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბებასთან.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ დონალდ ტრამპი ვისაც შეხვდა, პირველი იყო აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის ისტორიული მტრის — იაპონიის — პრემიერმინისტრი **სინძო აბე.** მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე იაპონია გადაიქცა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოდ. მისი ფუნქცია რეგიონში იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეკავება. ამერიკის ახალარჩეულ პრეზიდენტს იაპონიის პრემიერთან შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე აუდიენცია ჰქონდა ამერიკის საგარეო პოლიტიკის უბერებელ პატრიარქთან, თანამედროვე ამერიკული რეალიზმის „მამასთან“ — **ჰენრი კისინჯერთან.** ჰენრი კისინჯერს, როგორც დასავლური ანალიტიკური წყაროები იუწყებიან, 1974 წელს ამერიკის იმჟამინდელ პრეზიდენტ **რიჩარდ ნიქსონთან** შეხვედრისას განუცხადებია: „თუ შევადარებთ რუსებს, ჩინელებიც ისეთივე საფრთხის შემცველები არიან. ისტორიულ პერსპექტივაში ისინი კიდევ უფრო მეტი საფრთხის შემცველები არიან... 20 წლის შემდეგ, თუ თქვენი მემკვიდრე იქნება ისეთივე გონიერი, როგორც თქვენ, რუსეთს დაეყრდნობა ჩინეთის წინააღმდეგ“. აღსანიშნავია ისიც, რომ ჰენრი კისინჯერმა დონალდ ტრამპს ინტელექტუალური დახმარება აღუთქვა და მზადყოფნა გამოთქვა **ვლადიმერ პუტინთან** ურთიერთობისას მედიატორის როლის შესრულებაზე.

როგორც ჩანს, აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის მთავარ გეოპოლიტიკურ სამიზნეში ჩინეთი მოექცევა. ამას მოწმობს, აგრეთვე, დონალდ ტრამპთან შეხვედრიდან გამოსვლის შემდეგ ნაციონალური დაზვერვის დირექტორობის შესაძლო კანდიდატის, **კარლი ფიორინას,** განცხადება: „ჩინეთი ჩვენი მთავარი მეტოქეა, რომელიც სულ უფრო იკრებს ძალას“. ხოლო ახალი მმართველი ელიტის წარმომადგენლებისგან ჩინეთის მიმართ გაკეთებული განცხადებებიდან აღსანიშნავია დონალდ ტრამპის 12 დეკემბრის განცხადება (Fox News Sunday), რომლითაც მან ეჭვქვეშ დააყენა „ჩინეთის ერთიანობის“ იდეა (საუბარია ტაივანზე).

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, **ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ახალი ანტისისტემური ელიტის წარმომადგენლები ჩინეთის წინააღმდეგ მოტივირებულად იმოქმედებენ — ყველანაირ რესურს (როგორც სამხედროს, ისე ეკონომიკურს) გამოიყენებენ და ჩინური ეკონომიკური მონსტრის წინააღმდეგ მიმართავენ.**

დონალდ ტრამპის გარემოცვის დიდი ნაწილი და მის გარშემო მობილიზებული-კონსოლიდირებული ინტელექტუალური ელიტის რეალისტური სკოლის წარმომადგენლები რუსეთის მიმართ წინა ადმინისტრაციის პოლიტიკურ მიდგომას აკრიტიკებენ.

ვინაიდან, **მათი აზრით, რუსეთის წინააღმდეგ აქტიურმა და შემტევმა გეოპოლიტიკურმა ნაბიჯებმა, რომლებიც მიმართული იყო პოსტსაბჭოთა სივრცის გეოპოლიტიკურად ათვისებისკენ, გამოიწვია ამ სივრცის შებრუნება აღმოსავლეთის მიმართულებით.** შედეგად, დღის წესრიგში დადგა ანგლო-საქსური გეოპოლიტიკური სტრატეგიისთვის სრულიად მიუღებელი ღერძის — მოსკოვი-პეკინის შექმნა. ეს რომ სახიფათოა ანტლანტისტური გეოპოლიტიკისთვის, ამას თვით გეოპოლიტიკის ფუძემდებლად აღიარებული **ჰელფორდ მაკინდერი** აღნიშნავდა თავისი ისტორიული ნაშრომის — „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“-ს ბოლო აბზაცში: „თუ ჩინელები, იაპონელების დახმარებით გაანადგურებდნენ რუსეთის იმპერიას და დაიპყრობდნენ მათ ტერიტორიას, ისინი შექმნიდნენ ყვითელ საფრთხეს მსოფლიო თავისუფლებისთვის იმიტომ, რომ კონტინენტის უზარმაზარ რესურსებს მიამატებდნენ ოკეანის სივრცეებს, რითაც მოიპოვებდნენ ისეთ უპირატესობას, რომლის მსგავსიც აქამდე არ ჰქონია ამ ღერძული რეგიონის რუს მეპატრონეს“.

ორი ფრონტზე ბრძოლა ისეთ გიგანტურ სახელმწიფოებთან, როგორებიც არის რუსეთი და ჩინეთი, შეერთებულ შტატებს, რაც უნდა დიდი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების მქონე სახელმწიფო იყოს, ძალიან გაუჭირდება. ვინაიდან, როგორც ფუნქციური ანალიზისა და პოლიტიკური რეალიზმის მიმდევარი ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი **მორტონ კაპლანი** აღნიშნავს, თუ სისტემაში დაახლოებით სამი თანაბარი დონის პოლიტიკური სუბიექტია ურთიერთქმედების რეჟიმში, მაშინ ორი გაერთიანდება მესამის წინააღმდეგ, მისი შეკავების და ძალის გასაწონასწორებლად.

რუსეთისა და ჩინეთის გაერთიანება რომ არ მოხდეს, შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის დათბობას ცდილობს. ამ მიზნით, საზოგადოდ, შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და კონკრეტულად რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის წარმართვა დაავალეს ისეთ პიროვნებებს, რომლებსაც ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვთ პრეზიდენტ პუტინთან. მაგალითად, სახელმწიფო მდივნის პოსტს დაიკავებს პუტინთან დაახლოებული და მის მიერ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ჯილდოთი, მეგობრობის ორდენით, დაჯილდოებული ცნობილი ბიზნესმენი **რექს ტილერსონი.** როგორც აღვნიშნეთ, რუსეთთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე ტრამპის მრჩეველი იქნება პუტინთან ახლო ურთიერთობის მქონე ჰენრი კისინჯერი. რუსეთის ფედერაციაში ამერიკის ელჩობის კანდიდატად კი განიხილება კისინჯერის მოსწავლე, მისი იდეების მხარდამჭერი, ცნობილი დიპლომატი და რეალისტი **თომას გრემი.**

აქედან გამომდინარე, რუსულ გეოპოლიტიკურ წრეებში მომზადდა კონცეფცია **„გარიდება კონფლიქტის ნაცვლად“.** როგორც ჩანს, რუსეთი მზადყოფნას გამოთქვამს, გაერიდოს ამერიკულ-ჩინურ კონფრონტაციას. თუმცა, რეალიზმისა და **მრავალპოლუსიანობის მომხრე რუსეთის ხელისუფლება, დიდი ალბათობით, გარიდების სანაცვლოდ, ამერიკელებს მოსთხოვს თავისი პოლიტიკური ინტერესების დაკმაყოფილებას პოსტსაბჭოთა სივრცის ფარგლებში. რუსეთში ნებისმიერი იდეოლოგიური მიმდინარეობის რუსი სტრატეგები ერთსულოვანი არიან რუსეთის ხელისუფლებასთან იმაში, რომ მრავალპოლუსიან სამყაროში რუსეთის ფედერაცია უნდა გახდეს ერთ-ერთი პოლუსის ლიდერი, პოსტსაბჭოთა სივრცეზე (ბალტიისპირეთის გამოკლებით) ექსკლუზიური გავლენის უფლების მოპოვებით.**


რექს ტილერსონი

**სახელმწიფო მდივნის პოსტს დაიკავებს პუტინთან დაახლოებული და მის მიერ რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ჯილდოთი, მეგობრობის ორდენით, დაჯილდოებული ცნობილი ბიზნესმენი რექს ტილერსონი. როგორც აღვნიშნეთ, რუსეთთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებზე ტრამპის მრჩეველი იქნება პუტინთან ახლო ურთიერთობის მქონე ჰენრი კისინჯერი**

## ქართველთა ბედი მრავალპოლუსიან სამყაროში

2000-იანი წლების დასაწყისში, ხელისუფლების სათავეში ვლადიმერ პუტინის მოსვლის შემდეგ, რუსეთის ინტელექტუალურ წრეებში დაიწყო ცხარე კამათი, რომელ იდეოლოგიურ დოქტრინას უნდა დაყრდნობოდა რუსული სახელმწიფო ძველი დიდების დასაბრუნებლად. იმ პერიოდში **რუსეთში მრავალფეროვანი იდეოლოგიური მიმდინარეობების არსებობის მიუხედავად, გაიმარჯვა ცნობილი ქართველი პოლიტოლოგისა და იდეოლოგის — ალექსანდრე ჭაჭიას საგარეო პოლიტიკურმა იდეამ, რომელიც ეფუძნება კონსერვატიზმის მოდერნისტულ გაგებას.** აღნიშნული იდეოლოგიური დოქტრინის კვინტესენციას წარმოადგენს ამერიკული გლობალიზაციის პროექტის — ერების უნიფიკაციისა და სახელმწიფოთა დესუვერენიზაციის — ალტერნატივად რუსული სახელმწიფოს მიერ ერებისთვის ნაციონალური სახელმწიფოებისადმი ბუნებრივი სწრაფვის იდეის რეალიზაციაში დახმარების გაწევა; უწინარესად, — პოსტსაბჭოთა სივრცის ფარგლებში, შემდგომ კი — გლობალური მასშტაბით: **„შეერთებული შტატები არის ლიდერი გლობალიზაციის პროცესისა, რომელიც გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, ნაციების უნიფიცირებას, მათ მიერ კულტურულ-ისტორიული ფენომენის, უნიკალური თვითმყოფადობის დაკარგვას, რომელიც ართმევს ნაციებს, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი განვითარების უფლებას. რუსეთი უნდა გამოვიდეს, როგორც დამცველი ერების იმ ბუნებრივი უფლების, რომელიც გულისხმობს ნაციონალურ სახელმწიფოში ცხოვრებას, აგრეთვე, იმ სოციოკულტურული თავისებურებების, ისტორიული განვითარების საკუთარი ტრაექტორიისა და საზოგადოებრივი მოწყობის იმ საკუთარი მოდელების დამცველად, რომელიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ნაციისთვის. თუ რუსეთი წამოაყენებს ამერიკული გლობალიზაციის ალტერნატიულ მსოფლიო პროექტს, რომელიც თავის თავში გაითვალისწინებს, დაიცვას, შეინარჩუნოს და ხელი შეუწყოს ერების განვითარებას, ის გარდაიქმნება ევრაზიული სივრცის სულიერ ლიდერად, მიზიდულობის ჭეშმარიტ ცენტრად ათეულობით ქვეყნისა და ხალხებისთვის, პირველ რიგში, მეზობლებისთვის, კერძოდ, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში მცხოვრები ხალხებისთვის**“ (ალექსანდრე ჭაჭია, „პოლიტიკური კლასი“, გვ. 20, 01. 02. 2006 წ). სწორედ ამ საგარეო პოლიტიკური იდეის გამო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დააჯილდოვა იგი რუსეთის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოებით — მეგობრობისა და ღირსების ორდენებით. სხვათა შორის, პუტინის კიდევ ერთი მრჩეველი და იდეოლოგი **ვლადისლავ სურკოვი** მის მიერ შემუშავებულ სუვერენული დემოკრატიის კონცეფციაში სწორედ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ ფორმულირებულ იდეოლოგიურ დოქტრინას დაეყრდნო.

შემოთავაზებული იდეოლოგიური კონცეფცია უმალ იქნა ატაცებული რუსეთის ფედერაციის მმართველი ელიტისა და კონკრეტულად პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის მიერ, რომელმაც 2012 წლის დეკემბერში ფედერალური კრებისადმი მიმართვაში განაცხადა: **„რუსეთი უნდა გახდეს სუვერენული და გავლენიანი სახელმწიფო... ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ნაციონალური და სულიერი იდენტურობა, რათა არ გავქრეთ, როგორც ნაცია... რუსეთმა უნდა შეინარჩუნოს, არამხოლოდ გეოპოლიტიკური მოთხოვნილება, არამედ მასთან ურთიერთობას უნდა ითხოვდნენ მეზობლები და პარტნიორები... რუსული დემოკრატია — ეს არის რუსი ხალხის მმართველობა, სახალხო თვითმმართველობის საკუთარი ტრადიციების ფარგლებში და არა იმ სტანდარტების რეალიზაცია, რომლებიც გარედან იქნება თავსმოხვეული“.**

რუსეთის ლიდერის განცხადება თავის თავში გულისხმობს საგარეო პოლიტიკისადმი რეალისტურ, ნაციონალური ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებას და, რაც მთავარია, მრავალპოლუსიანი მსოფლიო წესრიგისკენ სწრაფვას.

დღეს უკვე ნათლად იკვეთება, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემა აუცილებლად იქნება მულტიპოლუსიანი, ამაზე თითქმის არავინ დავობს. მაგალითად, მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებსა და საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმირების პროცესს ჰენრი კისინჯერი შემდეგნაირად ეხმაურება: „მრავალპოლუსიან წესრიგში, რომელიც ყალიბდება, რუსეთი აუცილებლად უნდა აღვიქვათ, როგორც უმთავრესი ელემენტი გლობალური წონასწორობისა და არა საფრთხედ შეერთებული შტატებისთვის“. მრავალპოლუსიან მსოფლიოში, როგორც ნებისმიერი სხვა სისტემის პირობებში, დიდ სახელმწფოებს გააჩნიათ მოქმედების საკუთარი ლოგიკა, რომელსაც ძალიან საინტერესოდ განმარტავს რეალისტური სკოლის ზემოთ უკვე დასახელებული მეტრი **ჯონ მირშაიმერი:** „სახელმწიფოთა მრავალპოლუსიანი სისტემის პირობებში, რთულია შეკავების განხორციელება, იმიტომ, რომ ხშირად აქვს ადგილი დისბალანსს და, როდესაც ძალის ასიმეტრია პროგრესირებს, რთული ხდება ძლიერი სახელმწიფოს შეკავება“. **ამ თეორიული დებულების სამხრეთ კავკასიაზე განზოგადებისას შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელების მხრიდან ჩინეთის მიმართულებით ყველანაირი რესურსის მობილიზაციის, რუსეთიდან მისი გადამისამართებისა და, შესაბამისად, საქართველოზე გეოპოლიტიკური ინტერესის დაკარგვის შემთხვევაში, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, ვის სასარგებლოდ მოხდება რეგიონში სტრატეგიული ძალის ასიმეტრიული პროგრესი.**

**ტრანსფორმირების პროცესში არსებული საერთაშორისო სისტემის პოლიტიკური ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მალე საქართველოს ხელისუფლებას მარტო, დამოუკიდებლად მოუწევს საქართველოს პოლიტიკურ კლასზე გაბრაზებულ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან პოლიტიკური და გეოპოლიტიკური საკითხების გარკვევა. აღნიშნულის კი, ორი ქვეყნის პოლიტიკურ ელიტებს შორის დღეს არსებული ნეგატიური ურთიერთ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, რბილად რომ ვთქვათ, არასახარბიელო შედეგი ექნება საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის.**

მკითხველისთვის არ უნდა იყოს რთული წარმოსადგენი, რა დღეში აღმოჩნდება ნებისმიერი გამოკითხვით მსოფლიოში ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ფიგურად აღიარებულ პიროვნებასთან პირისპირ დარჩენილი პატარა ქვეყნის ფორმალური თუ არაფორმალური მმართველი. ამიტომ, თუ ბატონ **ივანიშვილს** ქართველთა ბედი ანაღვლებს და სურს საქართველოს გადარჩენა, ალექსანდრე ჭაჭიას მსგავსი მასშტაბური პიროვნება უნდა ჩართოს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დარეგულირების პროცესში. ის ან გააკეთებს ამას, ან ვლადიმერ პუტინი, უბრალოდ, გაჭყლეტს, როგორც სპილო — ჭიანჭველას. ღმერთმა ნუ ქნას, მოხდეს ისეთი რამ, რამაც ამჟამინდელი მმართველის შეშინებული წინამორბედი (ოღონდ ფორმალური) CNN-ის პირდაპირ ეთერში ჰალსტუხის (ქართულად — ყლინჯის) ღრღნამდე მიიყვანა, თორემ რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციისა და ძალთა ბალანსის ცვლილების შემთხვევაში, რაც გარდაუვალია უახლოეს მომავალში, შიშისგან აცახცახებულ დღევანდელ მმართველს, ალბათ, Fox-News-ის პირდაპირ ეთერში მოუწევს ფრჩხილების კვნეტა, მაგრამ უკვე გვიანი იქნება.

**ირაკლი უბილავა,**
პოლიტოლოგი

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**როგორ უნდა დაეჭირათ ბრალდებულებს თავი მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით იხილეს ჩადენილი დანაშაულების მამხილებელი ერთობ დამაჯერებელი საგამოძიებო მასალები?! ისინი განწირულნი იყვნენ, მიუხედავად იმისა, აღიარებდნენ თუ არა დანაშაულს. თუ აღიარებდნენ, შეიძლება შეწყალების იმედის ნაპერწკალი გასჩენოდათ. უხეშად რომ ვთქვათ, დანაშაულის არ აღიარების შემთხვევაში ისინი ასი პროცენტით იყვნენ განწირულნი სასიკვდილოდ, აღიარების შემთხვევაში კი — 99 პროცენტით, ისინი შინაგანი მრწამსით არ ეწინააღმდეგებოდნენ აღიარებას, მაშ, რატომ არ უნდა გამომტყდარიყვნენ დანაშაულში?!**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-3 (377-379)

# რატომ იყო სტალინი ხალხის ბელადი

**ლიონ ფოიხტვანგერმა, როგორც ნიჭიერმა, გამოცდილმა და ადამიანის ფსიქოლოგიის კარგად მცოდნე მწერალმა, საბოლოო დასკვნები გააკეთა, როგორც ნანახსა და მოსმენილზე, აგრეთვე, მოვლენების განვითარებით გამოწვეულ შედეგებზე. იგი წერს:**



ლიონ ფოიხტვანგერი




**საკმარისია, წაიკითხოთ სტალინის ნებისმიერი წიგნი, ნებისმიერი სიტყვა, გაიხსენოთ აღმშენებლობისთვის განხორციელებული მისი ნებისმიერი ღონისძიება და მაშინვე ნათელი გახდება, რომ ამ ჭკვიან, წინდახედულ ადამიანს არ შეეძლო ჩაედინა შემზარავი სისულელე — მრავალი თანამონაწილის დახმარებით დაედგა ასეთი უხეში კომედია ერთადერთი მიზნით — წაქცეულ მოწინააღმდეგეზე თავისი გამარჯვება ბენგალიური მაშხალების შუქზე აღენიშნა**

„რატომ არ იცავენ ბრალდებულები თავს? ეჭვიანი ხალხი საწინააღმდეგო მოსაზრებას იმით ასაბუთებს, რომ ბრალდებულთა ქცევა სასამართლოს წინაშე ფსიქოლოგიურად აუხსნელია. რატომ ხდება, რომ ბრალდებულები, — სვამენ კითხვას სკეპტიკოსები, — იმის მაგივრად, რომ უარყონ ბრალდებები, ერთმანეთს არ აცლიან დანაშაულის აღიარებას? ისინი საკუთარ თავს ხატავენ ჭუჭყიან, საზიზღარ დამნაშავეებად. რატომ არ იცავენ თავს, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ ბრალდებულები სასამართლოს წინაშე? თუნდაც უკვე მხილებულნი, რატომ არ ცდილობენ შემამსუბუქებელი გარემოებების გამოყენებასა და თავის გამართლებას? არადა, პირიქით იქცევიან, მდგომარეობას სულ უფრო იმძიმებენ. თუ ტროცკის თეორიისა სჯერათ, როგორც რევოლუციონერები და იდეოლოგები, რატომ აშკარად არ უჭერენ მხარს თავიანთ ბელადსა და მის თეორიას? თუ უკანასკნელად გამოდიან ხალხის წინაშე, რატომ არ განადიდებენ იმ საქმეებს, რომლებიც, მათი აზრით, სანაქებოდ ჩაითვლებოდა? დასასრულ, შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ 17 კაციდან ერთი, ორი ან ოთხი შეეგუებოდა ბედს, მაგრამ ყველანი? ეს შეუძლებელია!

**ბევრი საბჭოთა ადამიანის აზრით, მარტივად აიხსნება ის, რომ ბრალდებულები აღიარებენ დანაშაულს — წინასწარი გამოძიებისას ისინი მოწმეთა ჩვენებებითა და დოკუმენტებით ისე ამხილეს, რომ დანაშაულის უარყოფა უაზრობა იქნებოდა. ის, რომ თავს ყველა აღიარებს დამნაშავედ, იმით აიხსნება, რომ სასამართლოს წინაშე შეთქმულების მონაწილე ყველა ტროცკისტი კი არ წარდგა, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც ბოლომდე იქნა მხილებული.**

მართალია, პროცესმა დამარწმუნა, რომ ბრალდებულები დამნაშავენი იყვნენ, მაგრამ, საბჭოთა მოქალაქეების არგუმენტების მიუხედავად, ბრალდებულთა ქცევა სასამართლოს წინაშე ჩემთვის მთლად გასაგები მაინც არ იყო. პროცესის დამთავრებიდან ცოტა ხანში ჩემი შთაბეჭდილებები საბჭოთა პრესაში მოკლედ გამოვთქვი: „ბრალდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულების ძირითადი მიზეზები, რაც მთავარია, სასამართლოს წინაშე მათი ქცევის ნორმები, დასავლელი ადამიანებისთვის მთლად გასაგები მაინც არ არის. მართალია, ბრალდებულთა უმრავლესობამ თავისი მოქმედებებით სიკვდილით დასჯა დაიმსახურა, მაგრამ სალანძღავი სიტყვებითა და აღშფოთებით, როგორ კარგადაც უნდა გვესმოდეს მათი, არ შეიძლება ამ ადამიანების ფსიქოლოგიის ახსნა". მაგრამ ჩემი სიტყვები ისე არ უნდა გაიგონ, თითქოს მზადია, პროცესის მსვლელობას ან მის შედეგებს სახელი გავუტეხო. თუ შემეკითხებით, როგორია ჩემი აზრის კვინტესენცია, მაშინ მე, ბრძენი გერმანელი პუბლიცისტისა და ფილოსოფოსის — **ერნსტ ბლოხის** მსგავსად, **სოკრატეს** სიტყვებით გიპასუხებთ, რომელმაც ზოგიერთი გაურკვევლობის გამო **ჰერაკლიტეს** უთხრა: „ის, რაც მე გავიგე, შესანიშნავია. აქედან ვასკვნი, რომ დანარჩენი, რაც ვერ გავიგე, ასევე შესანიშნავია".

საბჭოთა ადამიანებს ვერ წარმოუდგენიათ ასეთი გაუგებრობა. პროცესის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ კრებაზე ერთი მოსკოველი მწერალი პრესაში ჩემი შენიშვნების თაობაზე ცხარედ გამოვიდა. მან თქვა: **„ფოიხტვანგერს არ ესმის, რა მოტივებით ხელმძღვანელობენ ბრალდებულები აღიარებისას. წითელ მოედანზე ამჟამად დემონსტრაციაზე გამოსულ ასი ათას კაცს კი ეს ესმის".**

მაინც მგონია, რომ მოსკოვში გამართული პროცესის ასახსნელად მე უფრო მეტი მონდომება გამოვიჩინე, ვიდრე დასავლელი კრიტიკოსების უმრავლესობამ, რადგან ჯერ არ გამოჩენილა ისეთი საბჭოთა მწერალი, რომელიც შუქს მოჰფენს დანაშაულების აღიარების მიზეზს, შევეცდები მოგითხროთ, როგორ წარმომიდგენია დანაშაულების აღიარების სურათი.

სასამართლო პროცესი, მისი მსვლელობის ხასიათიდან გამომდინარე, თავისებურ პარტიულ სასამართლოდ უნდა მივიჩნიოთ. ბრალდებულები პარტიას ჭაბუკობის წლებიდან ეკუთვნოდნენ, ზოგიერთი მის ხელმძღვანელადაც ითვლებოდა. შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ საბჭოთა პარტიული სასამართლოს წინაშე წარმდგარი ადამიანი თავს ისე დაიჭერდა, როგორც ჩვეულებრივი სასამართლოს წინაშე დასავლეთში. იფიქრებდით, რომ **რადეკის** უბრალო მიმართვას — „ამხანაგო მოსამართლევ" — და თავმჯდომარის მიერ შესწორებულ ფრაზას — „თქვით, მოქალაქე მოსამართლევ" — რაღაც აზრი ჰქონდა? ბრალდებული ჯერ კიდევ მიიჩნევდა თავს პარტიის განუყოფელ ნაწილად, ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ პროცესი თავიდანვე უცხოელთათვის უჩვეულო დისკუსიურ ხასიათს ატარებდა. მოსამართლეები, პროკურორი, ბრალდებულები — ყველაფერი ეს მოჩვენებითი კი არ იყო, არამედ ერთმანეთს საერთო მიზნის მქონე ძაფებით უკავშირდებოდა. **ისინი იმ ინჟინრებს ჰგავდნენ, რომლებიც ახალ, რთულ მანქანას ცდიდნენ. ზოგიერთმა ამ მანქანას რაღაც გაუფუჭა, მაგრამ არა ბოროტი განზრახვით, არამედ იმიტომ, რომ ამ მანქანის მუშაობის გასაუმჯობესებლად საკუთარი თეორიების თვითნებურად გამოყენება სურდა.** მათმა მეთოდებმა არ გაამართლა, მაგრამ ეს მანქანა მათ გულებთან არანაკლებ ახლოს არის, ვიდრე სხვა ნებისმიერის გულთან, ამიტომაცაა, რომ ისინი თავიანთ შეცდომებზე სხვებთან ერთად გულახდილად ლაპარაკობენ. მანქანისადმი მათ ყველას უსაზღვრო ინტერესი და სიყვარული აერთიანებთ. სწორედ ეს აკავშირებს მოსამართლეებსა და ბრალდებულებს. ეს ის განცდაა, რომელიც ინგლისში მთავრობას ისე მტკიცედ აკავშირებს ოპოზიციასთან, რომ ოპოზიციის ლიდერი სახელმწიფოსგან 2 ათას გირვანქა სტერლინგის ოდენობის ჯამაგირს იღებს.

ბრალდებული **მურალოვი** დანაშაულს რვა თვე უარყოფდა და მხოლოდ 5 დეკემბერს აღიარა. „თუმცა მე, — განაცხადა მან პროცესზე, — **ტროცკის** დირექტივას ტერორსა და მავნებლობაზე სწორად არ მივიჩნევდი, მაგრამ მორალურად დაუშვებლად მიმაჩნდა, მისთვის მეღალატა. ბოლოს, როდესაც სხვებმა მისგან განდგომა დაიწყეს — ზოგმა პატიოსნად, ზოგმაც — უპატიოსნოდ, საკუთარ თავს ვუთხარი: საბჭოთა კავშირისთვის სამ რევოლუციაში აქტიურად ვიბრძოდი, ჩემი სიცოცხლე ბევრჯერ ეკიდა ბეწვზე. ნუთუ მის ინტერესებს არ უნდა დავემორჩილო თუ ტროცკისთან დავრჩე და მისი უსამართლო საქმეები განვაგრძო? მაგრამ მაშინ ჩემი სახელი დროშად გამოადგება მათ, ვინც ჯერ კიდევ არის კონტრრევოლუციის რიგებში. ტროცკისგან პატიოსნად თუ უპატიოსნოდ განდგომის მიუხედავად, სხვები, ყოველ შემთხვევაში, კონტრრევოლუციის დროშის ქვეშ არ დგანან. განა წმინდანად უნდა დავრჩე? ჩემთვის ეს გადამწყვეტი გამოდგა და ვთქვი კიდეც: „კეთილი, მივდივარ და ვაღიარებ სიმართლეს". რადეკის ფორმით უფრო დახვეწილი ჩვენებები ამ პუნქტზე, ძირითადად, იმავე აზრს იმეორებს. პროცესს ყურადღება რომ არ მივაქციოთ, ამ ორი ადამიანის სიტყვა ფსიქოლოგიური კუთხით ძალზე საინტერესოდ მომეჩვენა. ყოველივე ეს წარმოაჩენს, **სადამდე შეიძლება გაჰყვნენ ადამიანები კაცს, რომლის ხელმძღვანელობის უნარსა და კონცეფციის გენიალურობაში დარწმუნებული არიან და სად ჩნდება ტეხილი, რომელზეც ისინი მას ტოვებენ.** როცა გაირკვა ტროცკის კონცეფციის მცდარობა, მის ავანტიურისტულ და უკიდურეს საშუალებებს უნდა დაეფრთხო თანამოაზრეები. მათ ტროცკის მეთოდები უგუნურად მიიჩნიეს. მანამდე აშკარად იმიტომ ვერ განუდგნენ, რომ არ იცოდნენ, როგორ ემოქმედათ. „მილიციაში თვითონ წავიდოდით, — განაცხადა რადეკმა, — მანამდე რომ არ მოსულიყო იგი ჩვენთან", და ეს მართლაც შეიძლება მომხდარიყო. ზოგიერთი თანამზრახველი ხომ მანამდე წავიდა მილიციაში და შეთქმულება ასე გამოაშკარავდა.

**როგორ უნდა დაეჭირათ ბრალდებულებს თავი მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით იხილეს ჩადენილი დანაშაულების მამხილებელი ერთობ დამაჯერებელი საგამოძიებო მასალები? ისინი განწირულნი იყვნენ, მიუხედავად იმისა, აღიარებდნენ თუ არა დანაშაულს. თუ აღიარებდნენ, შეიძლება შეწყალების იმედის ნაპერწკალი გასჩენოდათ. უხეშად რომ ვთქვათ დანაშაულის არ აღიარების შემთხვევაში ისინი ასი პროცენტით იყვნენ განწირულნი სასიკვდილოდ, აღიარების შემთხვევაში კი — 99 პროცენტით, ისინი შინაგანი მრწამსით არ ეწინააღმდეგებოდნენ აღიარებას, მაშ, რატომ არ უნდა გამომტყდარიყვნენ დანაშაულში?** მათი უკანასკნელი სიტყვებიდან გამოჩნდა, რომ ნამდვილად ჰქონდათ ასეთი მოსაზრება. **17 ბრალდებულიდან 12-მა სასამართლოს სთხოვა, განაჩენის გამოტანისას დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად გაეთვალისწინებინათ მათი აღიარება.**

მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, ამის მიზეზი უნდა მოიძებნოს **სტალინის** გამანადგურებელ დესპოტიზმსა და ტერორისგან განცდილ სიხარულშიო. არასრულფასოვნებით, ძალაუფლების სიყვარულითა და შურისძიებით შეპყრობილი სტალინი ანადგურებს ყველას, ვისაც კი ოდესმე შეურაცხუყვია და გზიდან იცილებს მათ, ვინც მისთვის სახიფათო ხდებაო.

მსგავსი ლაპარაკი მოწმობს სწორი განსჯის უქონლობას. **საკმარისია, წაიკითხოთ სტალინის ნებისმიერი წიგნი, ნებისმიერი სიტყვა, გაიხსენოთ აღმშენებლობისთვის განხორციელებული მისი ნებისმიერი ღონისძიება და მაშინვე ნათელი გახდება, რომ ამ ჭკვიან, წინდახედულ ადამიანს არ შეეძლო ჩაედინა შემზარავი სისულელე — მრავალი თანამონაწილის დახმარებით დაედგა ასეთი უხეში კომედია ერთადერთი მიზნით — თავისი გამარჯვება წაქცეულ მოწინააღმდეგეზე ბენგალიური მაშხალების შუქზე აღენიშნა.**

მზარდ დემოკრატიზაციას, კერძოდ, ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას ტროცკისტებში უნდა გამოეწვია აქტიურობის ახალი აღმავლობა და მოქმედებისა და აგიტაციის დიდი თავისუფლების იმედი აღეძრა. მთავრობამ დროულად გამოაცხადა მტკიცე გადაწყვეტილება — ჩანასახშივე მოესპო ტროცკისტული მოძრაობის ყოველგვარი გამოვლინება, მაგრამ **მთავარი მიზეზი, რომელმაც უბიძგა საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელებს, სასამართლო პროცესი ჩაეტარე-** ▶

**მართალია, ევროპიდან ჩამოსული უცხოელისთვის მოსკოვში ცხოვრება სულაც არ არის სასიამოვნო, მაგრამ ის, ვინც ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის ხარვეზებს და ვერ ხედავს იმ უზარმაზარ საქმეებს, რომლებიც აქ შეიძლება იხილოს, უფრო საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ვიდრე საბჭოთა კავშირს. იგი იმ კრიტიკოსს ჰგავს, რომელიც გენიალურ პოემაში, უწინარესად, არასწორად დასმულ სასვენ ნიშნებს ამჩნევს. შექსპირის წაკითხვის შემდეგ გერმანელებმა მასზე თქვეს: „სუსტად სცოდნია ლათინური, ხოლო ბერძნულისა არაფერი გაეგება“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბინათ მასმედიის თვალწინ, ეს იყო მოსალოდნელი ომის საფრთხე.** ადრე ტროცკისტები ნაკლებ სახიფათონი იყვნენ, მათთვის შეიძლებოდა ეპატიებინათ, უარეს შემთხვევაში — გადაასახლებდნენ, მაგრამ გადასახლება მაინც არ იყო ძალიან ქმედითი საშუალება. **სტალინმა, რომელიც შვიდჯერ იყო გადასახლებული და იქიდან ექვსჯერ გამოქცეული, ეს კარგად იცოდა. ახლა, უშუალოდ ომის წინ, არ შეიძლებოდა გულჩვილობის გამოჩენა. განხეთქილებას და ფრაქციულობას, რომლებსაც არ ჰქონდა სერიოზული მნიშვნელობა მშვიდობიანობის პერიოდში, ომის პირობებში შეიძლება უდიდესი საფრთხე შეექმნა. კიროვის** მკვლელობის შემდეგ, ტროცკისტების საქმეებს საბჭოთა კავშირში არჩევენ სამხედრო სასამართლოები. საბჭოთა კავშირში ეს პროცესები არავის გაჰკვირვებია. **ზინოვიევის** პროცესით გამოწვეულ შთაბეჭდილებას არ შეუშინებია საბჭოთა იუსტიცია. მას ასევე არ შეშინებია მეორე ტროცკისტული პროცესის დანიშვნის. ომის წინ საკუთარი სახლის ამ საჯარო წმენდით შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში მოტანილი სარგებელი გაცილებით აანაზღაურებდა უცხოელი უავტორიტეტო კრიტიკოსების თვალში საბჭოთა კავშირის პრესტიჟის შესაძლო დაცემას.

საზღვარგარეთის გუნება-განწყობილებაზე საბჭოთა კავშირი ილუზიებს არ იქმნის. საბჭოთა ადამიანები ამტკიცებენ, მხოლოდ წითელმა არმიამ დაიცვა მსოფლიო დიდი ფაშისტური ომის აფეთქებისგან, რომლითაც ცივილიზაცია იხსნა ბარბაროსებისგანო; მხოლოდ საბჭოური შეიარაღების, მხოლოდ წითელი არმიის არსებობის ფასად და ეს შესანიშნავად იციან საბჭოთა ადამიანებმა. **ეგრეთ წოდებულმა დასავლელმა დემოკრატებმა კონტაქტი საბჭოთა კავშირთან მხოლოდ თავიანთი სისუსტის გამო დაამყარეს. მათ ეს ურთიერთობა უხალისოდ წამოიწყეს და ახლა, როდესაც დასავლეთის დემოკრატიის ხელმძღვანელებმა, ბოლოს და ბოლოს, თავიანთი გაუთავებელი ლაპარაკით შეძლეს დაერწმუნებინათ პარლამენტი და საზოგადოებრივი აზრი საკუთარი შეიარაღების აუცილებლობაში, უფრო ნაკლებად, ვიდრე წინათ, მალავენ თავიანთ ანტიპათიას საბჭოთა სახელმწიფოსადმი.** საბჭოთა მოქალაქეები ის რეალური პოლიტიკოსები არიან, რომლებსაც არ გაჰკვირვებიათ ტროცკისტულ პროცესებზე უცხოეთის რეაქცია.


განაჩენის გამოცხადება, მოსკოვის სასამართლო

**რადგან იმაში, რასაც დღეს დემოკრატიას უწოდებენ, დროებითი ცვლილებების შეტანის გარეშე სოციალისტური მეურნეობა ვერ აშენდება, გადაწყვიტე, რას აირჩევ — იმას, რომ ხალხს ჰქონდეს ნაკლები ხორცი, პური და კარაქი, სამაგიეროდ, იყოს სიტყვის დიდი თავისუფლება; თუ იმას, რომ იყოს სიტყვის ნაკლები თავისუფლება, სამაგიეროდ, ხალხს ჰქონდეს მეტი პური, ხორცი და კარაქი?**

თავის ბოლო სიტყვაში რადეკი იმაზე ლაპარაკობდა, ორთვე-ნახევრის განმავლობაში როგორ აიძულებდა გამომძიებელს, მისგან ამოეძრო აღიარების თითოეული სიტყვა და როგორ უჭირდათ მასთან ურთიერთობა დაკითხვებისას. **„მე კი არ მაწამებდა გამომძიებელი, — თქვა მან, — არამედ მე ვაწამებდი მას“.** ზოგიერთმა ინგლისურმა გაზეთმა რადეკის ეს განცხადება პირველ გვერდზე მოათავსა სათაურით „რადეკი წამებაში“. მგონი, მე ვიყავი ერთადერთი ადამიანი მოსკოვში, რომელიც გააოცა ამ წერილმა. **ბევრი დასავლელი ინტელიგენტის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის მიმართ მე ვთვლი სიბეცედ და უკადრისობად. ისინი ვერ ხედავენ საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეულ ისტორიულ წარმატებებს. არ სურთ, შეიგნონ, რომ ისტორიას ვერ შექმნი სუფთა ხელებით.** მოწინააღმდეგეებს მილიმეტრის სიზუსტით სურთ, გაზომონ საბჭოთა კავშირში არსებული თავისუფლება და დემოკრატია. **როგორი გონივრული და ჰუმანურიც უნდა იყოს საბჭოთა ქვეყნის მიზნები, საბჭოთა კავშირის მიერ გამოყენებული საშუალებების კრიტიკისას დასავლელი ინტელიგენტები უკიდურესად მკაცრნი არიან. მათთვის ამ შემთხვევაში მიზანი კი არ აკეთილშობილებს საშუალებებს, არამედ საშუალებები ბღალავენ მიზნებს.**

პასუხისმგებლობის მქონე თითოეული მწერლის წინაშე ამჟამად ეს პრობლემა შემდეგნაირად დგას: **რადგან დროებითი ცვლილებების შეტანის გარეშე იმაში, რასაც დღეს დემოკრატიას უწოდებენ, სოციალისტური მეურნეობა ვერ აშენდება, გადაწყვიტე, რას აირჩევ — იმას, რომ ხალხს ჰქონდეს ნაკლები ხორცი, პური და კარაქი, სამაგიეროდ, იყოს სიტყვის დიდი თავისუფლება; თუ იმას, რომ იყოს სიტყვის ნაკლები თავისუფლება, სამაგიეროდ, ხალხს ჰქონდეს მეტი პური, ხორცი და კარაქი? პასუხისმგებლობის მქონე მწერლისთვის ეს იოლად მოსაგვარებელი პრობლემა არ არის.**

საბჭოთა კავშირის გაკრიტიკება ძნელი არ არის. საბჭოთა კავშირში არის სხვადასხვა სახის უწესრიგობა. მათ ადვილად აღმოაჩენთ, თუმცა ამას თვითონაც არ მალავენ. **მართალია, ევროპიდან ჩამოსული უცხოელისთვის მოსკოვში ცხოვრება სულაც არ არის სასიამოვნო, მაგრამ ის, ვინც ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის ხარვეზებს და ვერ ხედავს იმ უზარმაზარ საქმეებს, რომლებიც აქ შეიძლება იხილოს, უფრო საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ვიდრე საბჭოთა კავშირს. იგი იმ კრიტიკოსს ჰგავს, რომელიც გენიალურ პოემაში, უწინარესად, არასწორად დასმულ სასვენ ნიშნებს ამჩნევს. შექსპირის** წაკითხვის შემდეგ გერმანელებმა მასზე თქვეს: „სუსტად სცოდნია ლათინური, ხოლო ბერძნულისა არაფერი გაეგება“.

საბჭოთა კავშირს ჯერ კიდევ აქვს გადაუჭრელი პრობლემები, მაგრამ, რაც თქვა **გოეთემ** ადამიანზე, შეიძლება მიესადაგოს სახელმწიფო ორგანიზმსაც: „დიდი მნიშვნელობის მქონე მოვლენა ჩვენ ყოველთვის გვატყვევებს; ჩავწვდებით რა მის ღირსებას, ყურადღების მიღმა ვტოვებთ იმას, რაც მასში საეჭვოდ მიგვაჩნია“.

**ჰაერი, რომლითაც დასავლეთში სუნთქავენ, მოწამლულია. დასავლეთის ცივილიზაციას აღარ შერჩა სინათლე და გამბედაობა. იქ ვერ ბედავენ მოძალებული ბარბაროსებისგან თავდაცვას მუშტით ან და მჭექარე სიტყვით. ამას აკეთებენ გაუბედავად, გაურკვეველი ჟესტებით; ცნობილი მოღვაწეები ფაშიზმის წინააღმდეგ დათაფლული სიტყვებით გამოდიან. ზიზღი ეუფლება კაცს იმის ხილვაზე, როდესაც პასუხისმგებელი პირები, მტკიცე გამოსვლების მაგივრად, პირმოთნეობენ და შიშით რეაგირებენ ესპანეთის რესპუბლიკაზე ფაშისტების თავდასხმების გამო.**

როდესაც ამ ყალბი დემოკრატიისა და ჰუმანურობის დამთრგუნველი პირმოთნეობის ატმოსფეროდან ადამიანი საბჭოთა ქვეყნის სუფთა ჰაერზე ხვდება, სუნთქვა უადვილდება. აქ თავს არ აფარებენ მისტიკურ-გაფუყულ ფრაზებს, აქ ბატონობს გონივრული ეთიკა. მხოლოდ ამ ეთიკური საზრიანობით განისაზღვრება გეგმა, რომლითაც შენდება საბჭოთა კავშირი. მეთოდიც, რომლის მიხედვითაც ისინი იქ აშენებენ, და მასალაც, რომელსაც ამ მშენებლობისთვის იყენებენ, აბსოლუტურად ახალია, მაგრამ ექსპერიმენტების დრო მათ უკვე გაიარეს. ირგვლივ კვლავ მიმობნეულია ნაგავი, ჭუჭყი, მაგრამ უკვე ნათლად იკვეთება მძლავრი შენობის კონტურები. **ეს ნამდვილი ბაბილონის გოდოლია, მაგრამ გოდოლი, რომელიც ადამიანებს კი არ აახლოებს ზეცასთან, არამედ ზეცას — ადამიანებთან. ბედნიერება ხელს უმართავს მათ მუშაობაში; მისმა მშენებლებმა ერთმანეთში არ აურიეს თავიანთი ენები. ერთმანეთისა მათ კარგად ესმით.**

ერთი სიამოვნებაა, როდესაც დასავლური არასრულყოფილების შემდეგ ისეთ ქმნილებას იხილავთ, რომელზეც მთელი სულითა და გულით იტყვით: დიახ, დიახ, დიახ! და ვინაიდან უწესობად მიმაჩნდა, დამემალა ეს „დიახ“ ჩემს გულში, ამიტომაც დავწერე ეს წიგნი“.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

**ჰაერი, რომლითაც დასავლეთში სუნთქავენ, მოწამლულია. დასავლეთის ცივილიზაციას აღარ შერჩა სინათლე და გამბედაობა. იქ ვერ ბედავენ მოძალებული ბარბაროსებისგან თავდაცვას მუშტით ან მჭექარე სიტყვით. ამას აკეთებენ გაუბედავად, გაურკვეველი ჟესტებით; ცნობილი მოღვაწეები ფაშიზმის წინააღმდეგ დათაფლული სიტყვებით გამოდიან. ზიზღი ეუფლება კაცს იმის ხილვაზე, როდესაც პასუხისმგებელი პირები, მტკიცე გამოსვლების მაგივრად, პირმოთნეობენ და შიშით რეაგირებენ ესპანეთის რესპუბლიკაზე ფაშისტების თავდასხმების გამო**





## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მონღოლთა გამოჩენითა და ჯალალ ად-დინის სიკვდილით დასრულდა თურქთა და ქართველთა დაპირისპირების კიდევ ერთი ისტორიული ეტაპი. ამის შემდეგ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ჩვენი გზები არც სამტროდ და არც სამოყვროდ არ გადაკვეთილა, თუ არ ჩავთვლით თემურ ლენგის ეპოქას. სამარყანდელი თემურ ლენგი ერთნაირად უქმნიდა საფრთხეს როგორც საქართველოს, ისე თურქებს, ანუ რუმის სასულთნოს. ლოგიკის მიხედვით, ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ და ერთად უნდა ებრძოლათ მონღოლების წინააღმდეგ, მაგრამ თვით მტარვალმა თემურმაც ვერ გვაქცია „სტრატეგიულ მოკავშირეებად“.**

## ისტორიული პერსონები



### წმიდა ანტონ მარტყოფელი

**1 თებერვალს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს წმ. ანტონ მარტყოფელის ხსენების დღეს.**

**წმიდა ანტონ მარტყოფელი ედესაში მოღვაწეობდა. ის საქართველოში 12 ასურელ მამასთან ერთად VI საუკუნის შუა წლებში მოვიდა. თან ჩამოიტანა კეცისპირზე გამოსახული ხატი, რომელიც თვითონ უფალმა გაუგზავნა ედესის მეფე ავგაროზს. წმ. ანტონთან და ამ ხატთან უამრავი სასწაულია დაკავშირებული, რის შემდეგაც რწმენაშერყეული ერი გამოფხიზლდა და ჭეშმარიტ სარწმუნოებას დაუბრუნდა.**

იოანე ზედაზნელის კურთხევით ანტონმა ქადაგებით მოიარა ზედაზნის ახლომახლო ადგილები, შემდეგ კახეთში წავიდა საქადაგოდ. ის ჯერ ზენონთან იყო იყალთოში, შემდეგ იოსებთან გადავიდა ალავერდში, ბოლოს კი „დაემკვიდრა ხევსა ლიპოტანისასა“. უკაცრიელ ადგილას დამკვიდრებული ანტონის დასჯა მოიწადინა ადგილობრივმა მამასახლისმა. მისი ბრძანებით „გრძნეული“ მჭედელთან წაიყვანეს. მჭედელმა შანთები გაახურა და, როგორც კი აღმართა წმინდა მამის მარჯვენის მოსკვეთათ, „ხელნი ვითარცა შეშანი შეექმნეს“. ანტონმა გაოგნებულ მჭედელს ჯვარი გადასახა და განკურნა.

მამა ანტონს მალე გაუვარდა სახელი, როგორც სასწაულმოქმედს, ამიტომ მის გარშემო მალე მოიყარეს თავი მორჩილებმა, რასაც მოგვიანებით მარტყოფის სამონასტრო ცხოვრების აღორძინება მოჰყვა.

მამა ანტონი საბოლოოდ დაემკვიდრა „მთასა აკრიანსა“, რომელსაც ამჟამად მარტყოფი ეწოდება, წმ. ანტონის მარტოდმყოფელობითი მოღვაწეობის პატივსაცემად.

წმინდანი დაკრძალულია მისსავე დაარსებულ მონასტერში, ღვთისმშობლის ხატის წინ.

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39 (2016 წ.) - №03 (2017 წ.)

## ჯალალ ად-დინის საშინელი შურისძიება – 100 ათასი თბილისელის სიცოცხლე შეეწირა ველურთა მახვილს

**1225 წლის დეკემბერში ჯალალმა სამზადისი საკმარისად ჩათვალა და თბილისისკენ დაიძრა, მდინარე არაქსთან მცირე ხნით კარვები დასცეს და აქ მოულოდნელი ამბავი გამჟღავნდა — შალვა ახალციხელი თურმე წერილებს გზავნიდა და თანამემამულეებს ჯალალის გეგმებს ატყობინებდა.**

ჩვენ უკვე ვწერდით რომ ხორეზმშაჰმა ტყვე ახალციხელი შეიწყალა და თავის სამსახურში ჩააყენა. ბევრი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მოგვეპოვება ამ პიროვნებაზე. ქართული წყაროები ამტკიცებენ, რომ სახელგანთქმულ სარდალს რწმენა არ შეუცვლია და ამის გამო მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა კიდეც (როგორც ჩანს, ქართველი მემატიანის თვალში ქრისტიანობისთვის წამებული შავლეგო უფრო მიმზიდველად გამოიყურება, ვიდრე — თუნდაც სამშობლოს გადასარჩენად გამაჰმადიანებული). მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ **ჯალალ ად-დინი** ფანატიკოსი მუსლიმანი გახლდათ, რომელიც არავითარ კომპრომისზე არ მიდიოდა ქრისტიანებთან, გამორიცხული იყო მართლმადიდებელი ახალციხელისთვის ადარბადაგანის ოლქის მიცემა და საკუთარ სამსახურში ჩაყენება. **ჯალალ ად-დინს ისე სძულდა ქრისტიანები, ახლოსაც არ გაიკარებდა მას. უფრო სარწმუნო უნდა იყოს ჯალალის კარის მემატიანის ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, როდესაც ახალციხელს ისლამის მიღება უბრძანა, თორელმა თავი შორს დაიჭირა და დიპლომატიური უარი სტკიცა: „ულირსი ვარ!“. მაგრამ ჯალალმა თავისი მაინც გაიტანა და ახალციხელს რჯული შეაცვლევინა (როგორც შემდეგ გაირკვა, შალვა ახალციხელი სიცოცხლის შესანარჩუნებლად არ გამაჰმადიანებულა, ეს ერთგვარი ხერხი იყო დამპყრობლის თვალის ასახვევად, ვინაიდან ის, ჯალალის ბანაკში მყოფიც, სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცად დარჩა).**

ასეა თუ ისე, გამაჰმადიანების შემდეგ ხორეზმის შაჰს მის მიმართ ნდობა გაუჩნდა და ისე დაიახლოვა, რომ საიდუმლო გეგმებსაც ანდობდა და აზრსაც ეკითხებოდა. შალვაც სარგებლობდა და ქართველებს მოახლობულ საფრთხეს წერილობით ამცნობდა ხოლმე. ეს, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ არა ერთი საბედისწერო შემთხვევა. **რუსუდანის კარზე გაგზავნილი ჯალალ ად-დინის ელჩი გზაში შემთხვევით გადაეყარა შალვა ახლციხელის მსტოვარს. ხორეზმელს ეჭვის ჭია შეუჩნდა, ახალციხელის მსტოვარი დაათრო და ყველაფერი „დააფქვევინა“. მსტოვარს ისიც უთქვამს, ჯალალ ად-დინს სამაგიეროს მარქაზის ველზე მივუზღავთო. ელჩმა თორელის მსტოვარი მოკლა, ხელთ იგდო ახალციხელის გაგზავნილი წერილი და არაქსის პირას დაბანაკებულ მბრძანებელს კარავში მიართვა.**

ბოლომდე არ სჯეროდა ხორეზმშაჰს ახალციხელის ღალატი და მაინც არ ემეტებოდა სასიკვდილოდ, ამიტომ გამოცდა მოუწყო. სხვა დიდებულებთან ერთად სათათბიროდ დაიბარა შალვა და რჩევა ჰკითხა: საქართველოზე სალაშქროდ რომელი გზა ჯობია — ყარსის თუ მარქაზის ხეობაო. ქართველმა სარდალმა მიუგო: ყარსის გზაზე კარგად გამაგრებული ქალაქებია და იქ გავლა გაგვიჭირდება. თანაც მარქაზის გზა უფრო მოკლეა და თბილისამდე მალე მიგვიყვანსო. **უსაზღვრო რისხვამ აიტანა ჯალალ ად-დინი, შალვა მაშინვე შეიპყრეს და ღალატისთვის სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. ჯალათმა მდინარის პირას აღასრულა განაჩენი.**

ქართველები ხორეზმის შაჰის ლაშქარს მომზადებული დახვდნენ. მათ რიგებში უამრავი დაქირავებული ჩრდილოეთკავკასიელი მეომარიც იბრძოდა, მაგრამ რიცხობრივი უპირატესობა კვლავ ჯალალ ად-დინის მხარეს იყო. ჯალალმა ხერხს მიმართა, თავისი მეომრები სხვადასხვა ადგილას ჩაასაფრა და ქართველებიც იქით გაიტყუა. ის იყო ქართველებს გამარჯვება უნდა ეზეიმათ, რომ ჩასაფრებულები მოულოდნელად დაესხნენ თავს, რამაც გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

**1226 წლის დამდეგს დამპყრობელი თბილისს დაესხა თავს. სამეფო კარი დასავლეთ საქართველოში გაიხიზნა: „ვითარ ცნა მეფემან მოსვლა სულტნისა, აიყარა და წარვიდა ქუთაისს, ხოლო ტფილისს მცველად დაუტევა ლაშქარი და თავად ორნი ძმანი ბოცოს ძენი, მემნა და ბოცო“.**



თბილისმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია მტერს. პირველი შეტევები ქართველებმა წარმატებით მოიგერიეს. ჯალალი ორი თვის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა თბილისი აღებას. მარტის დასაწყისში თურქი დამპყრობელი გადამწყვეტ იერიშზე გადავიდა, მაგრამ ქალაქის აღების მისი ყოველი მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. **თბილისი საიმედოდ იყო გამაგრებული, თანაც სურსათ-სანოვაგეც მომარაგებული ჰქონდათ და ხანგრძლივი ალყის შემთხვევაში დედაქალაქს შიმშილი არ ემუქრებოდა. მიუხედავად ამისა, 1226 წლის 9 მარტს თბილისი მაინც დაეცა. ამ საკითხზე ორი ვერსია არსებობს: ჯალალ ად-დინის მემატიანენი ამტკიცებენ, რომ ხორეზმშაჰმა ხერხს მიმართა: ძირითადი ლაშქარი თბილისთან ახლოს ჩაასაფრა, თვითონ კი მცირერიცხოვანი ჯარით ქალაქზე მიიტანა იერიში. მალე „დამარცხებული“ ჯალალი უკუიქცა, ქართველები დაედევნენ. ამ მომენტში მტრის ჩასაფრებული ლაშქარიც გამოჩნდა, თბილისის დამცველებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ქალაქში მათ მტერიც შეჰყვა და ასე დაეცა საქართველოს დედაქალაქი.**

უფრო სარწმუნო ჩანს ქართული წყაროები, რომლებიც თბილისის დაცემას ღალატს უკავშირებენ. **თბილისელმა მუსლიმებმა კავშირი გააბეს დამპყრობელთან. მათ დაარწმუნეს ჯალალი, რომ ალაყაფის კარს გაუღებდნენ და ქალაქში შეუშვებდნენ. ასეც მოხდა, მტრის ერთ-ერთი იერიშისას თბილისის „დამცველი“ მუსლიმანების დიდი რაზმი ქართველ მეციხოვნეებს დაერია. ვერაგულად მოკლეს სარდალი მემნა ბოცოს ძე, ე.წ. განძის კარი გააღეს და ხორეზმელები ქალაქში შეუშვეს.**

ბოცო ჯაყელი გადარჩენილი მეომრებით ისნის ციხეში შეიკეტა და მტრით გარემოცული იქედან უწევდა წინააღმდეგობას დამპყრობელებს. საქართველოს სამეფო კარმა ისანში ჩაკეტილ მეციხოვნეთა მდგომარეობა უიმედოდ მიიჩნია. რუსუდანმა მათ ციხის დატოვება უბრძანა, მაგრამ მეციხოვნეები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. ბოცომ ჯალალ ად-დინს დანებების პირობების შესახებ მოსალაპარაკებლად მოციქულები მიუგზავნა. ხვარაზმშაჰმა ისნის ციხისთავის საზავო პირობები მიიღო, მათ გზა გაუხსნა და წინააღმდეგობის ეს კერაც ჩაქრა.. საქართველოს დედაქალაქი მთლიანად ჩაუვარდა ხელში ჯალალ ად-დინს.

**ჯალალმა საშინლად იძია შური. ხორეზმელებმა ააოხრეს და გაძარცვეს თბილისი. არავის ინდობდნენ — არც მოხუცებს, არც ქალებსა და ბავშვებს. ჩვილ ბავშვებს დედებს მკერდიდან აგლეჯდნენ და თავით ქვაფენილზე ანარცხებდნენ, მერე წუხილით შეშლილ დედებს ტვინდანთხეულ შვილებს ზედ აკლავდნენ. მოხუცებულთ ცხენთა ფლოქვებით სრესდნენ. ქუჩები გვამებით გაივსო და მტკვარი სისხლით შეიღება:** „ესოდენ მძვინვარედ იწყეს მოსვრად, ვითარ ჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა ალიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუალნი წასცვდიან და რომელსამე ტვნი დაეთხიოს, და უკანის

## იცით თუ არა, რომ:

ბრაზილიას ადრე „წმინდა ჯვრის“ მიწას უწოდებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც პორტუგალიელებმა აღმოაჩინეს მცენარე პაუბრაზილი, ქვეყანას სახელი შეუცვალეს.




საავადმყოფოების მფარველი ჰოსპიტალიერების ჯვაროსნული ორდენის თეთრ დროშაზე წითელი ჯვარი იყო გამოსახული. მედიცინაში თეთრ ფონზე წითელი ჯვრის სიმბოლოც აქედან შემოვიდა.



რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორეს 15 ათასი მსახური ჰყავდა. იგი 5 სამეფო მატარებლისა და 7 უზარმაზარი სასახლის მფლობელიც იყო.



ამერიკის შეერთებული შტატების მე-17 პრეზიდენტს, ენდრიუ ჯონსონს, არასოდეს უსწავლია სკოლაში. 17 წლის იყო, როცა კითხვა შეასწავლა მომავალმა მეუღლემ ელიზა მაკარდელიმ.



# თბილისელმა მუსლიმებმა კავშირი გააბეს დამპყრობელთან. მათ დაარწმუნეს ჯალალი, რომ ალაყაფის კარს გაუღებდნენ და ქალაქში შეუშვებდნენ. ასეც მოხდა, მტრის ერთ-ერთი იერიშისას თბილისის „დამცველი“ მუსლიმანების დიდი რაზმი ქართველ მეციხოვნეებს დაერია. ვერაგულად მოკლეს სარდალი მემნა ბოცოს ძე, ე.წ. განძის კარი გააღეს და ხორეზმელები ქალაქში შეუშვეს.

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დედანი მოიკვლოდიან... სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩვლთა, თმა და სისხლი მათ მხართაგან განშორებულნი ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეული იყო“. — ასე აღწერს მემატიანე ხორეზმელთა ენით აუწერელს სიმხეცესა და სისასტიკეს.

**ჯალალ ად-დინმა სიონის ლავრიდან წმიდა ჯვარი ჩამოაგდო და მიწაზე დაანარცხა. შემდეგ ტაძრის გუმბათი მოანგრია და მის ადგილზე თავისი „ბილწი საჯდომი დაიდგა“, ზედ საგანგებოდ აღმართული ფიცარნაგით ადიოდა და იქიდან აწიოკებულ ქალაქს ათვალიერებდა. სიონის ტაძრიდან მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ძვირფასი ხატები გამოატანინა და მისგანვე აგებული „ხიდის“ შესასვლელთან პირაღმა დააყრევინა.** ბრძანა, რიგ-რიგად მოეყვანათ ყველა ქრისტიანი, ქალიცა და კაციც, ყველას ცალკეულად ჩაეწიხლა და დაეფურთხებინა იმ ხატებისზე და ფიცით უარეეყოთ ქრისტეს რჯული, ხოლო ვინც ამას არ აღასრულებდა, იქვე თავი წარეკვეთათ და მტკვარში ესროლათ. ჯალალი სიონის **ნაგუმბათევზე იჯდა და ხედავდა, როგორ მიჰყავდათ მის მეომრებს ქრისტიანები, როგორ აჩოქებდნენ, ჰკვეთდნენ თავებს და ისროდნენ მტკვარში თავსა და ტანს ცალ-ცალკე. მხოლოდ სულმოკლენი შეურაცხყოფდნენ წმიდა ხატებს და უარყოფდნენ ქრისტიანობას.**

**100 000 თბილისელის სიცოცხლე შეეწირა ველურთა მახვილს.** დამპყრობლებმა გაძარცვეს და გააპარტახეს თბილისი. ჯალალმა ხელთ იგდო საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი საუნჯე. ძარცვა-გლეჯისას არ დაუზოგავთ არა მხოლოდ ქრისტიანები, არამედ მაჰმადიანებიც, რომელთა წყალობითაც ხვარაზმელებმა ქალაქის დაუფლება შეძლეს.

**თბილისის დაპყრობა ჯალალ ად-დინისთვის უდიდესი გამარჯვება იყო. ამ ამბავმა მას მახლობელი აღმოსავლეთის მაჰმადიანთა შორის უდიდესი ავტორიტეტი მოუპოვა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ჯალალმა ყველა ბრძოლაში დაამარცხა ქართველები, რაზეც თითქმის 130 წლის განმავლობაში ვერ ოცნებობდნენ თვით დიდი სულთნებიც კი. ხორეზმშაჰმა კი საბოლოოდ დაამსხვრია ქართველთა უძლეველობის მითი და ქართველების მიერ დაბრიყვებული მაჰმადიანური სამყაროსთვის ჯალალ ად-დინი „ურჯულოთა“ ბატონობისგან განმათავისუფლებელ გმირად იქცა.**

გასაკვირია რუსუდანის სამეფო კარის ინერტულობა და უპასუხისმგებლობა. თბილისი თითქმის სამ თვეს უწევდა წინააღმდეგობას მტერს და ნაცვლად იმისა, რომ მას ჯარით დახმარებოდნენ, ქუთაისიდან ბრძანებას ბრძანებაზე გზავნიდნენ ისნის ციხის დაცლის თაობაზე. უფრო ამაზრზენი იყო რუსუდანის მეუღლის — **მოღის ედ-დინის** საქციელი. თავის დროზე რუმის სულთნის თოღრულ შაჰის ძე მოღის ედ-დინი გაქრისტიანდა და რუსუდანზე დაქორწინდა. ჯალალ ად-დინის გამოჩენისთანავე სამეფო კარი ქუთაისში გადაბარგდა. მაგრამ, ეტყობა, გაქცევისას „სრულიად საქართველოს“ მეფუკა მოღის ედ-დინი თბილისში „დარჩათ“. მისი არსებობა, ალბათ, არც არავის „გაახსენდებოდა“, დამპყრობლებისთვის თვითონ რომ არ შეეხსენებინა თავი. **როდესაც მტარვალი ქრისტიანთა ხოცვა-ჟლეტით ტკბებოდა, საიდანღაც გამოხოხდა „სრულიად საქართველოს“ მეფუკა, ჯალალ ად- დინს მუხლებში ჩაუვარდა და სამუდამო ერთგულება შეჰფიცა.** გაქრისტიანებული მოღის ედდინი ისევ „ჭეშმარიტ სარწმუნოებას“ დაუბრუნდა. ხვარაზმშაჰმაც დიდსულოვნად აპატია ისლამის ღალატი და რჯულშეცვლილი საჩუქრებით აავსო.. რა ულმობელია ბედისწერა! ვახტანგ გორგასლისა და დავით აღმაშენებლის ტახტზე მედროვე და გაიძვერა მოღის ედ-დინი იჯდა. როგორც **მუხრან მაჭავარიანი** იტყოდა: „ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა, გვეცლება ქართლი თვალსა და ხელს შუა“.

თბილისში ჯალალ ად-დინს აცნობეს, ქერმანის გამგებელმა **ბარაყ ჰაჯიბმა** მონღოლებთან გააბა კავშირი და ერაყის დასაპყრობად ემზადებაო. ხორეზმშაჰმა ვაზირი **შარაფ ალ-მულქი** დატოვა საქართველოში, თავად კი ქერმანს გაემგზავრა. ალ-მულქმაც თავი არ „შეირცხვინა“ და მბრძანებლის არყოფნაში მოაოხრა სამხრეთი საქართველო: „იწყეს რბევად, ტყუევნად, ხოცად და კვლად სომხითისა და კამბეჩიანისა და იორის პირთა, ქართლს და თრიალეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კანიფორასა და ანისის მიმდგომთა ქუეყანათა“.

1226 წლის სექტემბერში ხორეზმშაჰი თბილისში დაბრუნდა და იქიდან ანისზე გაილაშქრა, მაგრამ კარგად გამაგრებული ქალაქი ვერ აიღო. წარმატებას ვერც მისმა გაგზავნილმა სარდალმა მიაღწია და ქალაქ კარის (ყარსი) აღებაც ვერ შეძლო. ჯალალ ადდინს ხელი მოეცარა ხლათთანაც. სამჯერ მიიტანა ამ ქალაქზე იერიში და წარმატებას ვერც ერთხელ ვერ მიაღწია. **ხორეზმშაჰის დამარცხებებით ისარგებლეს ქართველებმა, თბილისში დატოვებულ გარნიზონი დაამარცხეს და 1227 წლის თებერვალში დედაქალაქი დაიბრუნეს, მაგრამ ჯალალ ად-დინის გამოჩენისთანავე თბილისს ცეცხლი წაუკიდეს და ისევ გაეცალნენ. თან „გაიყოლეს“ რუსუდანის ქმარი მოღის ედ-დინიც, რომელმაც მაჰმადიანობა უარყო და ხელახლა გაქრისტიანდა.**

ამის შემდეგ დამპყრობელმა საქართველო მიატოვა, ვინაიდან მონღოლები ირანში გამოჩნდნენ. 1228 წელს ხორეზმშაჰმა სამჯერ გაუმართა ბრძოლა მონღოლებს და სამჯერვე დამარცხდა. რუსუდანის სამეფო კარზე ხელსაყრელად მიიჩნიეს შექმნილი ვითარება და ჯალალის წინააღმდეგ მეზობელი მუსლიმანური სახელმწიფოებიც აამხედრეს. **მართალია, ამიერკავკასიისა და წინა აზიის სულთნები და ამირები ხორეზმელებს ისე შეხვდნენ, როგორც მხნელებს, მაგრამ ჯალალ ად-დინის ზღვარგადასულმა სიმხეცემ მათაც აუვსო მოთმინების ფიალა და რუმის, რანის, შამისა და სომხეთის ამირები და სულთნები ისევ საქართველოს შეეკრნენ.**

ქართველებმა ოსები და ყივჩაღებიც დაიქირავეს და ჯალალის დასახვედრად მოემზადნენ, თუმცა **გადამწყვეტ მომენტში „მაჰმადიანი მოკავშირეები“ არ გამოჩენილან. რუსუდანმა კი მხოლოდ 40 ათას მეომარს მოუყარა თავი. ქართველთა ჯარი ბოლნისის მახლობლად დაბანაკდა. ბრძოლის დაწყების წინ ჯალალის აგენტებმა თანამოძმე ყივჩაღების გადაბირება მოახერხეს. მეორე დღეს შუა ბრძოლაში მოღალატე ყივჩაღები მოულოდნელად ქართველებს დაერივნენ. ამის შემდეგ ხორეზმელებს აღარ გასჭირვებიათ ქართველთა დამარცხება.**

მტერმა კარგა ხანს ითარეშა საქართველოში, შემდეგ კი ხლათს შეუტია. ალყის დროს **შაჰარმენმა** მოსალაპარაკებლად მიიწვია ჯალალ ად-დინი და უთხრა: „ორივე მხარე დაიქანცა, ეგებ ორთაბრძოლა მოგვეწყო და ამით მოგვეთავებინა საქმეო“. ხორეზმშაჰმა გამოწვევა მიიღო. ვეზირებმა დაუშალეს, — ხლათის გამგებელი შენი ტოლი რ არის და მასთან ორთაბრძოლის გამართვა არ გეკადრება. რომც მოკლა ორთაბრძოლაში, ხლათელები უბრძოლველად მაინც არ დაგვნებდებიანო. ჯალალმა მაინც თავისი გაიტანა: „როგორ იქნება, არ შევებრძოლო იმას, ვისაც ბრძოლა სურს. როგორ ვთქვა უარი, როდესაც ორთაბრძოლაში მიწვევენ?!“ ის ცხენს მოახტა და დანიშნულ ადგილას მივიდა. მაგრამ მეტოქე არ გამოცხადდა, სამაგიეროდ ხლათელებმა ისრების სეტყვა დააყარეს. გაწბილებული და რისხვით ავსილი ხორეზმშაჰი ბანაკში დაბრუნდა. ჯალალმა მიზანს მაინც მიაღწია, ხანგრძლივი ალყის შემდეგ, 1230 წლის 14 აპრილს, ხლათიც დაეცა.

**მიუხედავად ყველაფრისა, ხორეზმშაჰი დღითიდღე კარგავდა მომხრეებს. მისი წრეგადასული სიმხეცე შიშს ჰგვრიდა მუსლიმ ამირებსა და სულთნებს. საკმარისი იყო, ჯალალს რომელიმესთვის „ცუდი თვალით“ შეეხედა, რომ მისი თავი გაგორებულიყო. გარდა ამისა, ველარ აუდიოდნენ სიმდიდრისმოყვარული ხორეზმშაჰის „მადის დაკმაყოფილებას“. ამას თან ერთვოდა ხორეზმშაჰის წარუმატებელი ბრძოლები მონღოლებთან, რამაც ძალიან დასცა მისი ავტორიტეტი. ამიტომ თავის გადარჩენის მიზნით ხორზმშაჰის „ერთგული“ ამირები და სულთნები მისი ბანაკიდან უკანმოუხედავად გარბოდნენ. ჯალალ ად-დინის საქმე ბოლოს ისე წავიდა, რომ ერთ დროს ძლევამოსილი სულთანი ასამდე მეომრის ამარა დარჩა.**

1231 წელს ირანში ისევ გამოჩნდნენ მონღოლები. ჯალალ ად-დინმა აზერბაიჯანს შეაფარა თავი და იქ გამოიზამთრა, მაგრამ, როდესაც უგედეი ყაენის მეომრები აზერბაიჯანს მიუახლოვდნენ, ხორეზმშაჰი დასავლეთისკენ გაიქცა. მონღოლებიც კვალში ჩაუდგნენ მას და დიარბაქირთან მძინარეს დაადგნენ თავზე. **ყველასგან მიტოვებულმა მტარვალმა ისევ გაასწრო სიკვდილს და ბასიანის მთებში გადაიხვეწა, მაგრამ ბედისწერას მაინც ვერ გაექცა, 1231 წლის 17 აგვისტოს, ერთ-ერთ ქურთს ჯალალ ად-დინის ხანჯალი მოეწონა და მისი წართმევისას ხორეზმშაჰი ხელში შემოაკვდა.**

ჯალალ ად-დინის ხუთწლიანმა ლაშქრობებმა გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩვენს ქვეყანას. მან საქართველო ისე დაასუსტა და გააჩანაგა, რომ 1235 წელს, როდესაც მონღოლები შემოიჭრნენ, ქვეყანას მათთვის წინააღმდეგობის გაწევის თავი აღარ ჰქონდა. ეს მხოლოდ საქართველოზე არ ითქმის. **უგუნურმა ხორეზმშაჰმა მონღოლებს ისე „გაუსუფთავა“ ირანის, ერაყისა და ამიერკავკასიის ტერიტორიები, რომ უგედეი ყაენის მეომრებს წინააღმდეგობა თითქმის არსად შეხვედრიათ.**

**მონღოლთა გამოჩენით და ჯალალ ად-დინის სიკვდილით დასრულდა თურქთა და ქართველთა დაპირისპირების კიდევ ერთი ისტორიული ეტაპი. ამის შემდეგ თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ჩვენი გზები არც სამტროდ და არც სამოყვროდ არ გადაკვეთილა,** თუ არ ჩავთვლით **თემურ ლენგის** ეპოქას. სამარყანდელი **თემურ ლენგი** ერთნაირად უქმნიდა საფრთხეს როგორც საქართველოს, ისე თურქებს, ანუ რუმის სასულთნოს. ლოგიკის მიხედვით, ისინი უნდა გაერთიანებულიყვნენ და ერთად უნდა ებრძოლათ მონღოლების წინააღმდეგ, მაგრამ თვით მტარვალმა თემურმაც ვერ გვაქცია „სტრატეგიულ მოკავშირეებად“. ვერც მაშინ შედგა თურქთა და ქართველთა პოლიტიკური უნისონი. პირიქით, დიდი სულთანი **ბაიაზიდი** კმაყოფილი შეჰყურებდა, თემურის მიერ მთელი წინა აზიის აოხრებასა და გაჩანაგებას და მისი ელჩები „სიყვარულს ეფიცებოდნენ“ მონღოლთა დიდ ემირს, მაგრამ კოჭლმა თემურმა საქართველოს მიწასთან გასწორების შემდეგ არც ბაიაზიდი დაინდო. 1402 წლის 28 ივლისს ანგორასთან (ანკარა) გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა ოსმალები, ბაიაზიდი ტყვედ ჩაიგდო და ქვეყანა დაიპყრო.

**(გაგრძელება იქნება)**

**ვანო სულორი**

**ყველასგან მიტოვებულმა მტარვალმა ისევ გაასწრო სიკვდილს და ბასიანის მთებში გადაიხვეწა, მაგრამ ბედისწერას მაინც ვერ გაექცა, 1231 წლის 17 აგვისტოს, ერთ-ერთ ქურთს ჯალალ ად-დინის ხანჯალი მოეწონა და მისი წართმევისას ხორეზმშაჰი ხელში შემოაკვდა**



**უილიამ შექსპირი (1564 —1616)**
**ინგლისელი დრამატურგი და პოეტი**

ყველა გიჟს თავისი ლოგიკა აქვს.

* * *

**სულელს თავი ჭკვიანი ჰგონია, ჭკვიანმა კი იცის, ვინ არის სულელი.**

* * *

უმოდგმოდ ქრება სილამაზე, ვით მოჩვენება, მომავლის შემქმნელს ჭირისუფლად რჩება მშვენება.

* * *

**უფრო ღირსეული იქნებოდი, ვიდრე ხარ, შენს ღირსებას ხშირად რომ არ ახსენებდე.**

* * *

ჭეშმარიტ სიყვარულს არ შეუძლია ლაპარაკი, რადგანაც ჭეშმარიტი სიყვარული მჟღავნდება ქცევით და არა სიტყვებით.

* * *

**ჩვენ ვიცით, რაც ვართ, მაგრამ არ ვიცით, რა შეიძლება ვყოფილიყავით.**

* * *

დაბადება მოტაცებას ჰგავს, რომლის შემდეგ მონობას გისჯიან.

* * *

**გულქვა დიაცი სატანაზე უარესია.**

* * *

როდესაც ვიბადებით, ვტირით, რადგან ვგრძნობთ, რომ სისულელეში შევაბიჯეთ ფეხი.

* * *

**აქ ბევრია ისეთი, ვისაც ჭკუაზე მეტი თმა აქვს.**

* * *

ღვინო ზრდის სურვილებს და ამცირებს შესაძლებლობებს.

* * *

**ჩემი პიროვნება ჩემი ბაღია, ჩემი ნებისყოფა — მებაღე.**

* * *

სისულელე ბრძენს უფრო რგებს, ვიდრე სიბრძნე — სულელებს.

* * *

**ვისაც არ სურს თავის ბედის სხვასთან გაყოფა, ამ ქვეყანაზე მისი ყოფნა არის არყოფნა.**

* * *

ლაჩრებიც კი, როდესაც ვინმეს შეიყვარებენ, მამაცდებიან, თუნდ სიმამაცე მათი ბუნებრივი თვისება არ იყოს.

* * *

**ბევრი ისმინე, მაგრამ ცოტა ილაპარაკე. ყური მიაპყარ სხვების აზრს, შენი — დაფარე.**

* * *

ყველას რომ ისე მოექცე, როგორც ეკადრება, არავის ასცდება გამათრახება.

## იცით თუ არა, რომ:

**რეაქტიული რაკეტის — „კატიუშას“ სახელი უკავშირდება მის შემქმნელ კოსტიკოვს, რომელმაც იარაღს „კატ“-ი (კოსტიკოვის ავტომატური თერმული იარაღი) უწოდა, მაგრამ ფრონტზე „კატ“-ი „კატიუშად“ მონათლეს.**



MITSUBISHI

„სამი ბრილიანტი“ — ასე ითარგმენება იაპონური კორპორაცია „მიცუბიშის“ სახელწოდება.

**ბილ კლინტონი ბავშვობაში ჯეფერსონის გვარს ატარებდა, მერე გადავიდა მამინაცვლის გვარზე და კლინტონი გახადა.**



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იმამს არასოდეს დაუმალავს თავისი ორგანიზაციის მიზნები, ამოცანები და მეთოდები, რომელთა რეალიზაცია, უწინარეს ყოვლისა, ხელს აძლევდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ახალი კოლონიური, არაძალადობრივი პოლიტიკის განსახორციელებლად, ეხმარებოდა ისეთ მსოფლიო ჰეგემონად მის ჩამოყალიბებას, რომლის ინტერესების მატერიალიზაცია „სხვა ქვეყნებს ვერ დააბრკოლებს“. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია კლიენტ-სახელმწიფოებში (მაგალითად საქართველოც გამოდგება) მმართველთა ლოიალური კლასის ჩამოყალიბება.**

# გიულენიზმის ობობას ქსელი

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „გიულენი — დასავლეთის საიდუმლო აგენტი“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №03) მიმოვიხილეთ ექსპერტების მოსაზრებები თურქეთში 15-16 ივლისის პუტჩის მოწყობის სულისჩამდგმელის, ყოფილი იმამის — ფეთჰულა გიულენის მოძღვრების არსზე. დღევანდელ პუბლიკაციაში გთავაზობთ ექსპერტების შეფასებებს განათლების იმ სისტემაზე, რომელშიც გიულენმა მსოფლიო ობობას ქსელივით გაახვია.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ რესპუბლიკებში, სოციალურ-ეკონომიკური სფეროების მოშლასთან ერთად, მკვეთრად გაუარესდა განათლების სფეროს მდგომარეობა — სწავლების ხარისხი, ორგანიზაციულ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე ნულამდე დაეცა.

ამ დროისთვის, ანუ 80-იანი წლების დასასრულისთვის, თურქეთში საგანმანათლებლო დაწესებულებების სისტემა ისე იყო განვითარებული, რომ დაიწყო საზღვარგარეთ მისი ექსპორტირება. ამ მიმართულებით პირველობდა, რა თქმა უნდა, **გიულენი**, რომელიც ჯერ კიდევ 1960-იან წლებში აარსებს თავის პირველ სკოლებს იზმირში. 1990-იანების ქაოსში კი კერძო განათლების საკუთარი სისტემა შეაქვს აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, ყირგიზეთში, მონღოლეთში, მოლდოვაში, რუსეთსა და უკრაინაში. ასეთივე სკოლები იხსნება კენიაში სახელწოდებით „სინათლის აკადემია“, პაკისტანში — „პაკ-თურქი“; ყირგიზეთში — „სებათი“. გიულენის სკოლების ქსელი მსოფლიოს ედება, უმეტესად ისეთ ქვეყნებს, რომლებშიც ძლიერი ისლამური ტრადიციები არსებობს და მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვანია.

გიულენიზმის ფენომენის მკვლევარი **აგილ ალესკერი** აღნიშნავს, რომ იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც ფესვი გაიდგა აღნიშნულმა ქსელმა, ყველაზე უარეს მდგომარეობაში ყირგიზეთია.

**„ეს ქვეყანა გიულენზე დამოკიდებულია. მისი ეკონომიკა მოშლილია, სიღატაკემ შეარყია სახელმწიფო და არავინ არის სხვა , ამ სექტის წევრების გარდა, ვინც ამ ქვეყანაში რაიმე ინვესტიციას ჩადებს, — მიიჩნევს ალესკერი, — განათლების სისტემაში ცენტრალური აზიის გიულენის ამერიკული უნივერსიტეტი დომინირებს, ხოლო აქ მოქმედ 25 გიულენისტურ სკოლაში 12,5 ათასი ბავშვი სწავლობს.“**

შარშანდელი გადატრიალებიდან სულ რამდენიმე დღე იყო გასული, როცა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მევლუთ ჩავუშოღლუმ** ყირგიზეთის ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა: ან გარკვეულიყვნენ „გიულენის ბანდასთან ურთიერთობაში“, ან რესპუბლიკა თურქეთის მსგავს გადატრიალებას ემსხვერპლება.

მაგრამ ამ მუქარას ღირსეული პასუხი გასცა ყირგიზეთის პრეზიდენტმა **ალმაზბეკ ატამბაევმა:** „ეს აბსურდია. თუ ასეთი ჭკვიანები იყვნენ, როგორღა დაუშვეს გადატრიალება თავიანთ ქვეყანაში?! ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველა რჩევას მოვისმენთ და ინფორმაციას შევამოწმებთ. ჩვენი შეშინება და ჭკუის სწავლება საჭირო არ არის“.

ასეთი პოზიცია მით უფრო ხაზგასასმელია, რომ მანამდე ყირგიზეთის გადასახადებს გაეროში თურქეთი იხდიდა.

არ გამათხოვრებულან. კარგი მაგალითია სხვა სუვერენული ქვეყნებისთვის, რომლებიც მოწყალების გამცემთა თვალებში შეციცინებას არიან მიჩვეულები. დაგიკონკრეტოთ, ვის ვგულისხმობ?

**ბიშკეკი ანკარას ფეხქვეშ არ გაეგო იმიტომაც, რომ ზურგი რუსეთისკენ ორიენტაციის აღებით გაიმაგრა: დიპლომატია პოლიტიკურ ვაჭრობასაც გულისხმობს.**

**ყირგიზეთზე ყურადღების გამახვილება იმიტომაც ღირს, რომ სწორედ ამ ქვეყნის მაგალითზე კარგად ჩანს, როგორ მკვიდრდება გიულენიზმი მომავალი თაობის შეგნებაში და როგორ განავრცობს იგი თავის გავლენას ელიტაზე.**

ზემოთ ნახსენები აგილ ალესკერი, რომელიც მოვლენათა შუაგულში ტრიალებს და ამიტომაც ნდობას იმსახურებს, წერს, რომ ექვსმილიონიან ყირგიზეთში მოქმედი 25 სკოლა „საბათი“ (შეუპოვრობა, დაჟინება) არის ფეთჰულა გიულენის იდეების გავრცელების მთავარი ბუდეები, ხოლო მათსა და საჯარო სკოლებს შორის განსხვავება კოლოსალურია.

აქვე ვთქვათ, რომ ყირგიზეთი გიულენის მოძრაობის შეღწევის კარგი საჩვენებელი მაგალითია და ამიტომაც ღირს აქ შექმნილი ვითარების გამოწვლილვითი განხილვა.

განვაგრძოთ სკოლებზე საუბარი.

**„სებათელები“ სხვებზე გაცილებით ხშირად იმარჯვებენ მოსწავლეთა ოლიმპიადებში, მათი კურსდამთავრებულების თითქმის 100 პროცენტი სწავლას განაგრძობს როგორც ადგილობრივ, ისე უცხოეთის უნივერსიტეტებში, მაგრამ „სებათის“ სკოლებში მხოლოდ ელიტის შვილები არ სწავლობენ. სწავლის საფასურის გაიაფება, უფასო სწავლამდეც კი, საშუალებას აძლევთ ღარიბესი ოჯახების შვილებს, განათლება ამ სისტემის სკოლებში მიიღონ.**

**უპერსპექტივო ბავშვებს თავიდანვე განთესავენ შიდა სასკოლო ტესტირებით.** მერვე კლასიდან დაწყებული ყველა ზუსტი მეცნიერება (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია) ისწავლება მხოლოდ ინგლისურ ენაზე, აშშ-ში გამოცემულ-დამუშავებული სახელმძღვანელოებით.

„სებათის“ ლიცეუმებიდან საუკეთესოს მინიჭებული აქვს დიდი ყირგიზი მწერლის — **ჩინგიზ აითმატოვის** სახელი. ეს ლიცეუმი, რომელშიც ბიჭები და გოგონები ცალ-ცალკე სწავლობენ, ბიშკეკის გარეუბანში, ახალთახალ შენობაშია განლაგებული, აქვს საკუთარი საერთო საცხოვრებელი, დიდი, კარგად გამწვანებული ეზო და ყველა საჭირო სათავსო.



**გიულენიზმის პრინციპებით მოქმედი სკოლებისა და მისი მოძღვრების მიმდევართა გარდა, ყველა ქვეყანაში ჩანერგილები არიან აგენტები, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზროვნებაზე**

სისტემა ინტერნატულია: მოსწავლეები დროის უმეტეს ნაწილს მასწავლებლებთან ატარებენ, მშობლებს კი შვილებს მხოლოდ დღესასწაულებსა და არდადეგების დროს ატანენ შინ.

**ატმოსფერო სასწავლებლებში განსაკუთრებულია. კლასებსა და შენობის ვესტიბიულებში შეხვედრისას მოსწავლეები და მასწავლებლები ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით ესალმებიან. სკოლა უფრო მეტია, ვიდრე განათლების მიღების ადგილი, მასწავლებლები კი — უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ მასწავლებლები. ისინი მოსწავლეებისა და მათი მშობლების მეგობრები ხდებიან და ოჯახებშიც სტუმრობენ ხოლმე.**

დასვენებაც სკოლის ჩარჩოებით არის შემოსაზღვრული: მოსწავლეები თამაშობენ ფეხბურთს, ფრენბურთს, ჭადრაკს... დღის წესრიგი მკაცრია: ყველაფერი საათობრივად არის გაწერილ-დადგენილი — „არაფრის კეთების“ დრო, მოცალეობის ჟამი საერთოდ არ გააჩნიათ. აკრძალული აქვთ სმარტფონების ტარება, სარგებლობენ მხოლოდ ტელეფონებით ნათესავებთან დასაკავშირებლად. ეს ღონისძიება, ისევე, როგორც ყველასთვის აუცილებელი ერთიანი სასკოლო ტანსაცმელი, მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება: ელიტური და ღარიბი ოჯახების შვილები ერთმანეთისგან არ არიან განსხვავებულნი, ყველა საერთო წესებს ემორჩილება, ყველას ერთნაირი შესაძლებლობა აქვს.

მასწავლებლები და სკოლების ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ მოსწავლეებს წარმოდგენაც კი არ აქვთ, ვინ არის გიულენი, მაგრამ საკმარისია, ბიბლიოთეკაში შეიხედოს ნებისმიერმა მსურველმა, რომ დარწმუნდეს — ყველაზე თვალშისაცემ ადგილზე გამოტანილია სტენდი ჟურნალებით, რომელთა გარეკანზე აღბეჭდილია გიულენის ფოტო. ერთ-ერთი ასეთი ლიცეუმის დირექტორის მოადგილემ **არსტანბეგ სეკიმოვმა** ამ საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარს განუცხადა: „იგი (გიულენი) არა მხოლოდ მქადაგებელი, არამედ უდიდესი ჰუმანისტია. მისი თეზისი ცივილიზაციების დიალოგის შესახებ დაუსწრებლად ეწინააღმდეგება ჰანტინგტონის იდეებს, რომელიც ცივილიზაციების შეტაკებაზე ლაპარაკობდა“.

**„გიულენის ქსელი, რომელიც ოსმანიზმის იდეებსაა ამოფარებული, ამერიკანიზაციის კურსს განახორციელებს“. თურქულ ლიცეუმებში თურქული ენა ფაკულტატური საგანია, გინდა — აირჩევ, გინდა — უარს იტყვი. ინგლისური სავალდებულოა.** ოსმანიზმის მხარდასაჭერად შეთავაზებული პროექტებისთვის აშშ გასცემს გრანტებს. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უმაღლესი რგოლის წარმომადგენლები: **გრემ ფულერი** და **ჰენრი ბარკი** გიულენს ეხმარებოდნენ, როცა აშშ-ში მისთვის თავშესაფრის მიცემის საკითხი წყდებოდა“, — წერენ ამ საკითხებში კარგად ჩახედული ანალიტიკოსები.

**გიულენიზმის პრინციპებით მოქმედი სკოლებისა და მისი მოძღვრების მიმდევართა გარდა, ყველა ქვეყანაში ჩანერგილები არიან აგენტები, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზროვნებაზე. ისინი მოღვაწეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაცია „დიალოგი ევრაზიის“ საფარქვეშ, რომელიც გიულენის იდეების გამტარებელია მაღალ ინტელექტუალურ დონეზე ისტებლიშმენტის ლიდერების ჩართულობით.**

ექსპერტებმა ყურადღება მიაქციეს ერთ სპეციფიკურ გარემოებას: ყირგიზეთში, მაგალითად, სოციოლოგიური გამოკითხვით გაირკვა, რომ აქაური მოსწავლეების მხოლოდ 8 პროცენტს მიაჩნია, რომ პატრიოტები არიან.

მხოლოდ 8 პროცენტს!

და ამ ნიჰილისტურ ფონზე მხოლოდ „სებათის“ სკოლებში სწავლის დაწყების წინ მღერიან ეროვნულ ჰიმნს. ამასთანავე, მაინცდამაინც ამ სკოლებში ასწავლიან პატრიოტული აღზრდის საფუძვლებს.

შეუთავსებლის შეთავსება თუ ფორმალიზმი?

არც — ერთი, არც — მეორე.

ავტორს წიგნისა „მუსლიმური მასონობა“ — **გლებ პროსტაკოვს** ერთმა ადგილობრივმა ჟურნალისტმა განუმარტა, რომ პატრიოტიზმის დეფიციტის პირობებში შესაძლებელია ნებისმიერი გეოპოლიტიკური ავანტიურის რეალიზება: „თურქულ სკოლებში ნერგავენ ეროვნული პატრიოტიზმის ისეთ ცნებას, რომლის მიხედვით ყირგიზეთის აღმასვლა შესაძლებელია მხოლოდ დასავლური კურსის ერთგულებით“.

აქვე ერთი პარალელიც. **ყირგიზეთში, რომლის მაგალითსაც განვიხილავთ, საზოგადოებრივი აზრის ადგილობრივი ლიდერები სოროსის გრანტებით განათლებამიღებულები არიან.**

ხომ არ გეცნობათ?..

აშშ მსოფლიო ხომალდის კაპიტანია, ვერც ერთი ორგანიზაცია, რომელიც მას დაუპირისპირდება, წარმატებას ვერ მიაღწევს, — ერთ-ერთ ინტერვიუში გიულენი შტატებს ასე ახასიათებს. მისი აზრით, აშშ ერთადერთი მსოფლიო ლიდერია, რომელსაც ძალუძს გლობალური მასშტაბის ცვლილებების განხორციელება. გიულენის ზომიერი ისლამი, აგილ ალესკერის აზრით, უპასუხებს ვაშინგტონის ინტერესებს, რომელიც მის დაჩქარებულ გავრცელებაში ხედავს ყურანის რადიკალური გაგების დაძლევის შესაძლებლობას. **იმამს არასოდეს დაუმალავს თავისი ორგანიზაციის მიზნები, ამოცანები და მეთოდები, რომელთა რეალიზაცია, უწინარეს ყოვლისა, ხელს აძლევდა ამერიკის შეერთებულ შტატებს ახალი კოლონიური, არაძალადობრივი პოლიტიკის განსახორციელებლად, ეხმარებოდა ისეთ მსოფლიო ჰეგემონად მის ჩამოყალიბებას, რომლის ინტერესების მატერიალიზაცია „სხვა ქვეყნებს ვერ დააბრკოლებს“. ამ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია კლიენტ-სახელმწიფოებში (მაგალითად საქართველოც გამოდგება) მმართველთა ლოიალური კლასის ჩამოყალიბება.**

აშშ, ისტორიულად მიგრანტების ქვეყანა, ახალ მიგრანტებს აღარ საჭიროებს. „მას იმდენად სამუშაო ძალა კი არ სჭირდება, რამდენადაც გამოწვლილვით შერჩეული ტალანტების იმპორტი“.

მასობრივი მიგრაცია ამწვავებს ცივილიზაციურ კონფლიქტებს, რომლის თვალსაჩინო მაგალითია დღევანდელი ევროპა. აქედან გამომდინარე, ექსპერტების აზრით, **შტატები მიგრანტებს უწინდებურად კი არ უღებს კარს, არამედ თვითონ მიდის მათთან, აყალიბებს ლოიალურად განწყობილ ელიტას ადგილებზე, ანუ სხვა ქვეყნებში, რომლებიც მისი ინტერესების სფეროში შედის.**

ამიტომ სჭირდება ვაშინგტონის ადმინისტრაციას ისეთი გავლენიანი თურქი (იმამი, ღვთის მსახური, მქადაგებელი), როგორიც ფეთჰულა გიულენია, უწინარეს ყოვლისა, „თურქული სარტყელის“ ქვეყნებში და მთელს ისლამურ სამყაროში. „ამ არეალში აყალიბებს იგი ადგილობრივი ინტელიგენციის კლასს, რომელსაც შესწევს თვითრეალიზაციის უნარი საკუთარ სამშობლოში, მაგრამ, ამასთან ერთად, ერთგული რჩება დასავლური ფასეულობების“.

**არმაზ სანებლიძე**
**(უცხოური პრესის პუბლიკაციებზე დაყრდნობით)**

**მუშმულას დასარგავად უნდა შეირჩეს თბილი და ქარისგან დაცული ნაკვეთი. რგავენ გაზაფხულზე — მარტსა და აპრილის დასაწყისში. დარგვა წარმოებს 1 მ სიგანისა და 40 სმ სიღრმის ორმოებში 6X6 მ კვების არეთი, ხოლო შემჭიდროებული ნარგავი 6X3 და 7X3,5 მ-ის დაცილებით, რაც 400-600 მცენარეა ჰექტარზე.**

ფერმერის სკოლა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ერთობლივი პროექტი

რუბრიკას უძღვება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გოგოლა მარგველაშვილი.

# მუშმულასა და წყავის აგროტექნოლოგიები

# მუშმულა — იაპონური ზღმარტლი

**მუშმულა — იაპონური ზღმარტლი, ანუ ლოქვა მარადმწვანე სუბტროპიკული ხეხილოვანი მცენარეა, რომლის სამშობლოა ჩინეთის სუბტროპიკული რაიონები, რომლიდანაც გავრცელდა იაპონიაში, XIX საუკუნეში კი — ევროპაში.**


მუშმულა


კავკასიური მუშმულა — ზღმარტლი

იაპონური ზღმარტლი მიეკუთვნება ვარდისებრთა ოჯახს, ვაშლის ქვეოჯახს. მისი სიმაღლე 6-9 მ აღწევს და ნაყოფი ქიმიური შედგენილობით ვაშლს უახლოვდება. ეს სახეობა მეტ-ნაკლებად ჰგავს კომშს, მსხალსა და კუნელს. იაპონური ზღმარტლის დამახასიათებელი თავისებურებაა გვიან შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ყვავილობა (ნოემბერი-დეკემბერი-იანვარი), რის გამოც ხშირად მისი ყვავილები ზიანდება მინუს 5-6 გრადუსი ტემპერატურის დროს, თვით მცენარე კი საკმაოდ ყინვაგამძლეა. ნაყოფი მწიფდება გაზაფხულზე — მაის-ივნისში, როდესაც სხვა ხილი თითქმის არ არის შემოსული, რაც კიდევ უფრო ზრდის ამ კულტურისადმი ინტერესს. ნაყოფები მსხლის ფორმისაა, ზომით 10 სმ დიამეტრის. კანის ფერი ნარინჯისფერ-ყავისფერია, რბილობი — წვნიანი, მომჟავომოტკბო გემოთი. მუშმულას თითოეულ ნაყოფში 1-5-მდე მსხვილი მუქი-ყავისფერი თესლია. გვხვდება ერთთესლიანი ნაყოფებიც. თესლი საკმაოდ დიდია, სიგრძით 20 მმ. ნაყოფი იწონის 50-70 გრამამდე. ნიადაგის მიმართ მუშმულა არ არის დიდი მომთხოვნი, მაგრამ უკეთესად ვითარდება სტრუქტურულ, საკმაოდ ტენიან ნიადაგებზე.

*** მუშმულას დასარგავად უნდა შეირჩეს თბილი და ქარისგან დაცული ნაკვეთი. რგავენ გაზაფხულზე — მარტსა და აპრილის დასაწყისში. დარგვა წარმოებს 1 მ სიგანისა და 40 სმ სიღრმის ორმოებში 6X6 მ კვების არეთი, ხოლო შემჭიდროებული ნარგავი 6X3 და 7X3,5 მ-ის დაცილებით, რაც 400-600 მცენარეა ჰექტარზე.**

* ვარჯის ფორმირებისას შტამბს აძლევენ 50-80 სმ სიმაღლეს და ტოვებენ 5 ძირითად ტოტს. 2-3 წლის შემდეგ, როდესაც ვარჯი ფორმირდება, აწარმოებენ მსუბუქ გამოხშირვას, გარდა ამისა, აშორებენ დაზიანებულ ან ხმელ ტოტებს. ნიადაგის დამუშავება და შემდგომი მოვლა სხვა ხეხილოვანი მცენარეების ანალოგიურია. კარგ შედეგს იძლევა ნარგავის განოყიერება გადამწვარი ნაკელით (15-20 კგ თითოეულ ძირზე).

ნაყოფის აღება წარმოებს მთლიანი მტევნების კრეფით. ნაყოფი გამოიყენება უმად, მისგან ამზადებენ მურაბას, ალკოჰოლურ სასმელს, კომპოტს და ა.შ.

მუშმულა ტენის მოყვარული მცენარეა, ამიტომ ტენიან სუბტროპიკულ ზონაში ნორმალური ზრდა-განვითარება მორწყვის გარეშე შეუძლია, ხოლო მშრალი სუბტროპიკული ზონის პირობებში აუცილებელია მელიორაციული ღონისძიებების ჩატარება.

**ჯიშები.** აღწერილია მუშმულას 45 ჯიში, რომელთაგან სამრეწველო მნიშვნელობა აქვს რვას. საუკეთესო ჯიშებია: **ედვანსი, შამპანი, ადრეული წითელი, პრემიერი, ტანაკა, ფელასი და კომუნე.**

**მუშმულას გამრავლების თავისებურებები.** მუშმულა მრავლდება როგორც თესლით, ასევე ვეგეტატიურად. თესლით გამრავლებისას მცენარე არაერთფეროვანია და მნიშვნელოვნად განსხვავდება დედა მცენარისგან. ამიტომ თესლით გამრავლებისას არჩევენ ისეთ მცენარეებს, რომლებიც ხასიათდება საუკეთესო თვისებებით. თესვა წარმოებს ივნისში, კვლებს შორის დაშორება უნდა იყოს 25 X8 სმ. თესლის აღმოცენებას 10-15 დღე სჭირდება. აღმოცენებული თესლი შემოდგომისთვის სტანდარტულ ზომას — 40-50 სმ სიმაღლეს აღწევს. ნერგს რგავენ გაზაფხულზე — მარტ-აპრილში ან შემოდგომაზე — ოქტომბერში. დასარგავად უნდა შეირჩეს ქარისგან დაცული და თბილი ადგილები. დარგვა წარმოებს 1მ სიგანისა და 40 სმ სიღრმის ორმოებში. მუდმივ ადგილზე დარგვისთვის კვების არედ მიღებულია 6X4 ან 5X4 მ ფართობი, რაც ჰა-ზე 400-500 მცენარეა.

**ვეგეტაციური გამრავლებისას** იყენებენ კვირტით ან კალმით მყნობას. უკეთეს შედეგს კალმით მყნობა იძლევა. საძირედ იყენებენ იმავე იაპონურ ზღმარტლს, ჩვეულებრივ ტყის ზღმარტლსა და კომშს. საძირის დიამეტრი უნდა იყოს 1-1,5 სმ, კვირტი სამყნობად აიღება წინა წლის ტოტებიდან გაზაფხულზე, მისი ზომა უნდა იყოს არანაკლებ 3 სმ-ისა.

**იაპონური მუშმულა მსხმოიარობას იწყებს 2-3 წლიდან, ხეების სიცოცხლის ხანგრძლივობა 60-70 წელია, მაქსიმალური რაოდენობის მოსავალს იძლევა 15-დან 35 წლამდე, შემდეგ მოსავლიანობა თანდათან მცირდება. ზრდასრული მცენარეების საშუალო მოსავლიანობა 60-80 კგ-ია, ხოლო მაქსიმალური კი —150 კგ.** როგორც სხვა ხეხილოვანი კულტურების ნორმალური ზრდა-განვითარებისთვის, მაღალი მოსავლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს სწორი აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას, განსაკუთრებით ნარგაობის უზრუნველყოფას საჭირო საკვები ელემენტებით, ამიტომ მნიშვნელოვანია იაპონური მუშმულას განოყიერების სისტემა, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს მინერალურ და ორგანულ სასუქებს, რომელთა ნორმები ცვალებადობს მცენარეთა წლოვანებისა და ნიადაგის ნაყოფიერების დონის მიხედვით. განოყიერების საქმეში მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მწვანე სასუქების გამოყენება.

მუშმულას ინახავენ ბნელ, ცივ ადგილას, ისე, რომ ნაყოფები ერთმანეთს არ ეხებოდეს.

**100 გრამი ნედლი ნაყოფი შეიცავს:** 2,1 გ ცილას, 0,8 გ ცხიმს, 14 გ ნახშირწყლებს, 80,5 გ წყალს, ნაცარს — 0,6 გ-ს, კალორიულობა 52,5 კკალ. მინერალურ ნივთიერებებს: კალიუმს, რკინას, მაგნიუმის, იოდს, კალციუმს, ფოსფორს, ნატრიუმს, თუთიას და სხვ. აგრეთვე, ფრუქტოზას, საქაროზას, ლიმონმჟავასა და ვაშლის მჟავას, ფიტონციდებსა და მთრიმლავ ნივთიერებებს, რომლებიც დადებითად მოქმედებს საჭმლის მომნელებელ სისტემაზე. აწესრიგებს ნაწლავების ნორმალურ მუშაობას, ამსუბუქებს თირკმლებსა და შარდგამომყოფ ორგანოებში კენჭოვანი დაავადებებისას გამოწვეულ ტკივილს. მუშმულას დაუმწიფებელი ნაყოფი აჩერებს ნაწლავებიდან სისხლდენას და ხსნის ანთებით პროცესებს. მწიფე ნაყოფების რბილობიდან ამზადებენ სპირტიან ნაყენს, რომლითაც მკურნალობენ ბრონქულ ასთმას და სასუნთქი გზების სხვა დაავადებებს.

## კავკასიური მუშმულა (ზღმარტლი)

**გერმანული, ანუ კავკასიური მუშმულა ვარდისებრთა ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელია. ფოთოლმცვენი ნაყოფმსხმოიარე მცენარე, რომელიც წარმოშვა სამხრეთ-დასავლეთ აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებში.** გერმანული მუშმულას მნიშვნელოვანი აგროეკოლოგიური თავისებურება არის ის, რომ მისთვის საჭიროა თბილი ზაფხული და რბილი ზამთარი. გერმანული მუშმულასათვის მისაღებია მზიანი, მშრალი ადგილები და სუსტი მჟავე ნიადაგები. სინათლის მოყვარულია, ვერ ეგუება ტენიან ადგილებს, სადაც გრუნტის წყლები ზედაპირზეა.

ველური სახით გავრცელებულია ჩრდილო კავკასიაში, სამხრეთ ყირიმის სანაპიროებზე, საქართველოში, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში. ერთეული ნარგავების სახით გვხვდება უკრაინის ცენტრალურ რაიონებში.

გერმანული მუშმულას ნაყოფები მაგარია, მოწითალო-ყავისფერი ფერის, ნაყოფის დიამეტრი 2-3 სმ-ია. მუდამ შეხვეულია ჯამის ფოთოლაკებში. მსხმოიარე ხის ნაყოფები საშუალო ვაშლის ზომისაა, აქვს დიდი, პრიალა თესლი.

ნაყოფი იკრიფება ყინვის დაწყებამდე.

**ფართოდ გამოიყენება სახალხო მედიცინაში, კოსმეტოლოგიაში, ფარმაცევტიკაში სხვადასხვა ბიოაქტიური ნივთიერებების დასამზადებლად.**

გამრავლება შეიძლება თესლით, ამისათვის აუცილებელია თესლის სტრატიფიკაცია (3-4 თვეს აჩერებენ სიცივეში). ბუნებრივ პირობებში თესლი აღმოცენდება დარგვიდან 2-3 წლის შემდეგ, ამიტომ აღმოცენების პროცესის დასაჩქარებლად თესლს ათავსებენ 5 საათის განმავლობაში 3%-იანი გოგირდმჟავას ხსნარში, შემდეგ კი კარგად რეცხავენ. ასეთი წესით დამუშავებული თესლი ღია გრუნტში ითესება შემოდგომაზე და გაზაფხულზე. ღია გრუნტში დათესვის შემდეგ სასურველია, ნათესი დაიფაროს ტორფის მულჩით ან, უბრალოდ, პოლიეთილენის ფენით. თესლის დათესვა შესაძლებელია დახურულ გრუნტშიც. მიღებული აღმონაცენის გადარგვა შეიძლება, როცა ის გაიზრდება 25-30 სმ-მდე. დარგვა ხდება წინასწარ მომზადებულ ნიადაგში.

კავკასიურ მუშმულას უყვარს კარგად დრენირებული ფხვიერი ნიადაგი. მისი მოვლისა და განოყიერების აგროტექნიკა ისეთივეა, როგორც სხვა ხეხილოვანი მცენარეების: ზომიერი ირიგაცია, ხმელი და დაზიანებული ტოტების მოშორება, გასხვლა და შტამბის ფორმირება გემოვნებით. ნარგავების ქვეშ სეზონზე 2-3 ჯერ ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა. აღსანიშნავია, რომ მუშმულა სათუთი მცენარეა, ზიანდება და ავადდება სხვადასხვა დაავადებითა და მავნებლით, ამ მიზნით რეკომენდებულია, სეზონზე 2-ჯერ შესხურდეს მცენარეებზე ინსექტიციდები: ფიტოვერმი (1,5-2მლ 1ლ წყალში), ლეპოდიციდი (20-30 გ 10ლ წყალში), ინსეგარი (5გ 10ლწყალში).

**კავკასიურ მუშმულას აქვს დიდი სამკურნალო ძალა, მისი ფოთლები შეიცავს ანტიოქსიდანტებს, რომლებსაც ჩვენი ორგანიზმიდან გამოაქვს მავნე ნაერთები.**

## წყავი

**წყავი მიეკუთვნება ვარდისებრთა ოჯახს. ამ მცენარის სამშობლო დასავლეთ საქართველო და მცირე აზიაა. წყავი მარადმწვანე ბუჩქი ან ხეა, რომელიც სიმაღლით 12 მეტრს და მეტსაც აღწევს.** ფართო პრიალა, ოვალური ფოთლებით. ყვავილები წვრილია, თეთრი ფერის არომატული. ნაყოფი შავი კენკრაა. არის დაახლოებით 25 სახეობის. გავრცელებულია ევრაზიაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და ანტილის კუნძულებზე.

წყავის ნაყოფისგან ამზადებენ გამაგრილებელ სასმელებს, ფოთლებისგან იღებენ „წყავის წყალს“, რომელიც მედიცინაში გამოიყენება, ფოთლები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, რომელსაც იყენებენ ტყავის წარმოებაში. მწიფე წყავის ნაყოფი შეიცავს 50-52 მგ% C ვიტამინს, 22,5% მთრიმლავ ნივთიერებას, 15–20% შაქრებს. მცენარე შეიძლება გამოყენებულ იქნას მებაღეობაში, ქარსაფარად და ფერდობების გასამაგრებლად.


წყავი

წყავის კულტურულ ჯიშთა ნაყოფი (რბილობი) გამოიყენება ნედლად და წარმოადგენს სიცხის დამწევ საშუალებას. წყავის კურკა საჭმელად უვარგისია. წყავის ნაყოფს მრავალი კვებითი, დიეტური და სამკურნალო მნიშვნელობა აქვს, მედიცინაში გამოიყენება პრეპარატები, რომლებიც მიღებულია ამ მცენარის ფოთლებისა და სხვა ნაწილებიდან. ამასთანავე, წყავის ნაყოფში შემავალ ნივთიერებებს გააჩნია უნარი, ადამიანის ორგანიზმში გააუვნებელყოს მავნე რადიოაქტიური ნივთიერებები. დასავლეთ საქართველოს პირობებში წყავის მცენარე სავეგეტაციო კვირტების ზრდას იწყებს დეკემბრის მეორე ნახევრიდან, როდესაც საშუალო დღეღამური ტემპერატურა 70 გრადუსია. წყავი ყვავილობას იწყებს აპრილის პირველ დეკადაში და მისი ხანგრძლივობა შეადგენს 8-15 დღეს.

ის უხვად მოყვავილე მცენარეა, პირველი მასიური ყვავილობისას საშუალოდ მცენარეზე წარმოიქმნება 2-დან 9 ათასამდე, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში 11 ათასამდე საყვავილე ისარი (მტევანი). წყავის მცენარზე ნაყოფის მომწიფება დასავლეთ საქართველოს პირობებში იწყება ივლისის პირველ-მეორე დეკადაში და მთავრდება ივლისის მეორე-მესამე დეკადაში. თუმცა, ცალკეულ საადრეო ან საგვიანო ჯიშებში განსხვავებულ ვადებში ხდება ნაყოფების მომწიფება. წყავის ჯიშებიდან აღსანიშნავია ჩვეულებრივი წყავი, შავნაყოფატკბილი (ნაკიფვუ), თეთრნაყოფა ტკბილი წყავი, ხოლო წყავის ფორმებიდან: ფორმა 14 (შავნაყოფა ჩლოუ), ფორმა 28 (წითელნაყოფა მსხვილი), ფორმა 29 (შავნაყოფა ტკბილი), ფორმა 33 (მოვარდისფრო), ფორმა 40 (შავნაყოფა ნარაზენი).

**რეზო ჯაბნიძე,**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი**

# გოგი კუპრეიშვილის აღსარება: ჩემი დაკავების პროცესს პირადად გივი თარგამაძე ხელმძღვანელობდა

**აჭარის უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე გოგი კუპრეიშვილი, რომელმაც საპყრობილეში ხუთი წელი გაატარა და პატრიარქის შეწყალების შედეგად დააღწია თავი პატიმრობას, თავის დაკავებაში ბრალს დებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის იმდროინდელ თავმჯდომარეს — გივი თარგამაძეს.**



„მე ჯერ კიდევ არჩილ კბილაშვილს შევხვდი, როცა მთავარი პროკურორი იყო, დავწერე განცხადება და მცნეს დაზარალებულად. ხმამაღლა ვაცხადებ: ჩემი დაკავების პროცესს თავიდან ბოლომდე ხელმძღვანელობდა თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის იმდროინდელი თავმჯდომარე, გივი თარგამაძე. ამ საქმეში აქტიურად იყვნენ ჩართულები: გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი, გიორგი ღვინიაშვილი და ზურაბ ადეიშვილი. ეს ხალხი განსაზღვრავდა ნებისმიერი ადამიანის ბედს მიშა სააკაშვილის დადგენილების მიხედვით, ეს ხალხი იყო თავად კანონი“, — აცხადებს გოგი კუპრეიშვილი expressinfo-სთან ინტერვიუში.

**„2004 წლის თებერვალში, მარტსა და აპრილში ჩემგან ითხოვდნენ, მიმეწოდებინა ინფორმაციები და ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადმოვსულიყავი თბილისში, კონსპირაციულ ბინაში, როგორც ასლან აბაშიძის რეჟიმს გამოქცეული გენერალი. მე ეს არ შევასრულე და ამიტომაც დამსაჯეს.**

**ეს შემომთავაზეს ზურაბ ადეიშვილმა და ამირან მესხელმა.** 2004 წლის 12 მარტს პირადად მესაუბრნენ. როდესაც ესენი შემოვიდნენ აჭარაში, გიგი უგულავა მოვიდა და დაჯდა ჩემს კაბინეტში, 5 რიცხვში რომ შევიდა, 11 რიცხვამდე იჯდა.

ჩემი კაბინეტი გადატენა იარაღით, იძახებდა ბიზნესმენებს და ბოლომდე წეწავდა, ფულს აწერდა. ორგანიზებას უკეთებდა ძვირადღირებული აპარატურის გატანას, ასევე ძვირადღირებული ხატებისა და სხვა ძვირფასი ნივთების გატანას. ეს იყო კონტრაბანდული გზით გატანისას ჩამორთმეული ხატები და ნივთები. არსებობდა კატალოგი, რომელშიც ეწერა მონაცემები და ინახებოდა უშიშროების სამინისტროს ერთ-ერთ ოთახში, სხვაგან სად უნდა შეგვენახა? სად წაიღეს, არ ვიცი. რაც კი უშიშროების სამინისტროში ღირებული იყო, ყველაფერი წაიღეს. ჭურჭელიც კი წაიღეს, ხომ წარმოგიდგენიათ? სოსო გოგიტიძის კაბინეტიდან ოდეკოლონები, პერანგები და ფეხსაცმელი გაზიდეს. ახლა რაღაც კანონებზე და ხალხის კეთილდღეობაზე ლაპარაკობენ, სირცხვილი არ არის?! 320 ათასმა კაცმა გაიარა მაგათ წნეხში, სად არიან ეს ადამიანები?!

როდესაც გიგი უგულავა ჩემს კაბინეტში დაჯდა, მისი განკარგულებით გადმომიყვანეს თბილისში, იმ დროს გამომწყვდეული ვიყავი მოდულის შენობაში, „კაპეზეში“. შემდეგ გამამწესეს ორთაჭალის ციხეში. წელიწადი და ერთი თვე ახლობლებს არ მაკარებდნენ. ბავშვების სურათები მოვითხოვე, ადეიშვილმა და მერაბიშვილმა ციხის ადმინისტრაციას აუკრძალეს, სურათები არ გადასცეთ, გოგი კუპრეიშვილი ინერვიულებსო. წარმოგიდგენიათ, როგორი ცინიკოსები და დაუნდობლები იყვნენ? წელიწადი და ერთი თვე მხოლოდ ეკა ბესელია შემოდიოდა ჩემთან, ოჯახის წევრებიც კი ვერ მნახულობდნენ და ესენი ლაპარაკობენ დღეს ევროპულ ღირებულებებზე? ამათი პროკურორი ითხოვდა 12 წელს, მაგრამ მომისაჯეს 8 წელი, თითქმის 5 წელი ვიჯექი. 2 წელი შეწყალება გამიკეთა პატრიარქმა, მადლობა ამისთვის.

თითქმის 10 წელი დავკარგე ამათთან ჭიდაობაში, ცხოვრების საუკეთესო წლები. ამ პერიოდში საკუთარ შვილებსაც კი არ მაჩვენებდნენ.

მოგვიანებით გივი თარგამაძეს ჩოლოქზე შევხვდი და ვილაპარაკეთ. მე ეს ყველაფერი გავაკეთე ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეო. მან ვახტანგ კომახიძეზე თავდასხმის საქმე შემითითხნა, ტერაქტის ორგანიზებაში დამდო ბრალი, ვერ დამიმტკიცა და ბოლოს ზურაბ ადეიშვილმა მოიგონა ასანიძის საქმე, თითქოს მე ვლახავდი მის უფლებებს, ციხეში მყავდა უკანონოდ გამომწყვდეული. ადეიშვილმა კარგად იცოდა, რომ დასავლეთში ამაზე ხმას არავინ ამოიღებდა, მე ხომ ადამიანის უფლებებს ვლახავდი? თენგიზ ასანიძეც დაარწმუნეს, შენი მტერი გოგი კუპრეიშვილიაო. არადა, ყველამ კარგად იცოდა, რაშიც იყო საქმე. 2005 წლამდე ასანიძესთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა, მის მეუღლესთანაც და ნათესაობასთანაც, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, რა უთხრეს, არ ვიცი, სასამართლო პროცესზე ყველამ აქეთ შემომიტია. არაფერი აღარ აინტერესებდათ, ჯოხი საბოლოოდ ჩემზე გადატეხეს.

**„მე ბრალს ვდებ ექვსეულს, გიგი უგულავა ერთ-ერთი მათგანია. ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში და უამრავ დანაშაულს სჩადიოდა»**

**მე ბრალს ვდებ ექვსეულს, გიგი უგულავა ერთ-ერთი მათგანია. ეს იყო ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც მოვიდა ხელისუფლებაში და უამრავ დანაშაულს სჩადიოდა.** გარდა იმისა, რომ ციხეში ჩამსვეს, წამართვეს ყველაფერი, რაც კი გამაჩნდა“, — განაცხადა კუპრეიშვილმა.





# რიტუალური მკვლელობის გამოძიება გრძელდება და ახმაურებს მომხდარი შემთხვევის პიკანტურ დეტალებს

**რიტუალური მკვლელობის გახმაურებული საქმე, რომელმაც საქართველო შეძრა, კვლავაც განხილვის საგანია. გამოძიება გრძელდება და ახმაურებს მომხდარი შემთხვევის პიკანტურ დეტალებს, მკვლელობაში ბრალდებულთა აღიარებით ჩვენებებს.**



„ბექა შენგელიასა და არასრულწლოვან ნ.ჩ.-ს ერთმანეთთან ხშირად ჰქონდათ სქესობრივი კავშირი და დავსწრებივარ. ანალოგიურად, ჩემი და ბექა შენგელიას სექსუალურ აქტს რამდენჯერმე დასწრებია ნ. ჩ.“, — აღნიშნული ჩვენება 76 წლის დედის მკვლელობაში ბრალდებულ **ირმა ყოჩიაშვილს** ეკუთვნის, რომელიც გაზეთმა „პრაიმტაიმმა“ ექსკლუზიურად მოიპოვა.

როგორც გამოცემა წერს, ბოლოს „მარიამი“, ვისთანაც **ლუბა ყოჩიაშვილის** მკვლელობაში ერთ-ერთ ბრალდებულს, ბექა შენგელიას, სექსუალური ურთიერთობა ჰქონდა, 19 წლის ირმა ყოჩიაშვილი იყო. მარიამი ირმას ბექამ დაარქვა.

გამოცემა დაინტერესდა, რატომ არ წარედგინა ბრალი ბექა შენგელიას არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირისთვის, მაგრამ მთავარ პროკურატურაში განაცხადეს, რომ ბექა შენგელიასა და ნ.ჩ.-ს შორის სქესობრივი კავშირი არ დასტურდება.

ცნობილია, რომ ბექა შენგელიას გოგონებთან სექსუალური აქტი, ძირითადად, სასაფლაოებზე ჰქონდა. სასაფლაო მისთვის მისტიკური დანიშნულების ადგილია.

„პრაიმ-ტაიმისთვის“ ცნობილი შეიქნა, რომ შენგელია და მისი მეგობრები ხშირად იკრიბებოდნენ კოჯრის ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში, რომელიც ლეგენდების გამო მისტიკის მოყვარულთა თავშესაფრადაც იქცა.

გამოცემის ინფორმაციით, 76 წლის ლუბა ყოჩიაშვილის რიტუალური მკვლელობის საქმეზე გამოძიება კიდევ ერთ პირს ეძებს, თუმცა მისი ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. გამოძიების მასალებში დევს ფარული მიყურადების შედეგად მოპოვებული ჩანაწერები, რომლებშიც ისმის დაუდგენელი პირის მითითება, რომ გვამს მჟავა დაასხან. ჩანაწერს ექსპერტიზა სწავლობს, შესაძლოა, დადგინდეს, ვის ეკუთვნის ეს ხმა. არ არის გამორიცხული, აღნიშნული პიროვნება ამ საქმის მთავარი ფიგურანტი აღმოჩნდეს.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


ვალერი ხაბურძანია:

# ტრამპი მასმედიის ტოტალურ სიცრუეზე როცა საუბრობდა, მეგონა, საქართველოს მასმედიის ძირითად ნაწილს გულისხმობდა

**უშიშროების ყოფილი მინისტრი ვალერი ხაბურძანია სოციალურ ქსელში გამოეხმაურა აშშ-ის ახლი პრეზიდენტის პრესკონფერენციას და აღნიშნა, რომ ამერიკაში მიმდინარე ცვლილებები ჩვენი ქვეყნისთვის სამაგალითო უნდა იყოს. მწვავედ გააკრიტიკა რა ტელეკომპანია „რუსთავი 2“, მას დეზიმფორმატორი უწოდა.**



„I like this guy, ჯერჯერობით... მოუსმინეთ. „რუსთავი 2“-ის გუშინდელ ბინძურ კაკაფონიაზე გამახსენდა. ამ სიტყვაში ტრამპი საუბრობს მასმედიის ტოტალურ სიცრუეზე, მეგონა, რომ საქართველოს მასმედიის ძირითად ნაწილზე საუბრობდა და არხი, რომელიც დილით ჩართო, „რუსთავი 2“ იყო. :)

P.S. სამწუხაროა, რომ ე.წ. მეოთხე ხელისუფლება ყველაზე მეტად მატყუარად იქცა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში და აღმასრულებელი ხელისუფლებაც კი ძალიან შორს ჩამოიტოვა, ვნახოთ, მოიგებს თუ არა აშშ-ის პრეზიდენტი ამ ომს“, — წერს ხაბურძანია.

„რაც შეეხება იპპ-ის ლიდერებს და მათ ცალკეულ წევრებს, კარგი იქნებოდა, ისინი მაშინ ჩამოსულიყვნენ საქართველოში და მაშინ გაეკეთებინათ განცხადებები, როდესაც პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა ადამიანის დაპატიმრება, ქუჩაში დახვრეტა, ქონების წართმევა. დღეს ამაზე ლაპარაკი, უბრალოდ, კოჭის გაგორებაა კონკრეტული ადამიანებისათვის, მეტი არაფერი“, — განაცხადა ხაბურძანიამ.


საქართველო

ესტუმრეთ ჩვენს საიტს

პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894